ლიცეუმელების ალბანახი

14

ლიტერატურული ალმანახი
№14

UDC (უაკ) 821.3553.1(051.2)
ჩ - 433

90-იანი წლების დასაწყისში, ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ლიტერატურული სალონი, „ჰელიკონი“ ჩამოყალიბდა. ეს იყო მუზათა ნავსაყუდელი, რომელმაც ურთულეს მდგომარეობაში მყოფი ქვეყნის ერთ-ერთ რეგიონში, შემოქმედი ადამიანების ტკივილით დამძიმებული სული იტვირთა...

ყოველი კვირის ხუთშაბათს ვიკრიბებოდით სულიერი შიმშილითა და აზრთა გაზიარების წყურვილით აფორიაქებული ადამიანები... სწორედ აქ, ამ პერიოდში, გავიცანით ბატონი ლერი ნოზაძე. მან, ჯერ კიდევ 2005 წელს, შესანიშნავი ერთობლივი საჩუქარი გაგვიკეთა, - ხაშურში და საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტში მოღვაწე შემოქმედი ადამიანები „ლიტერატურულ ალმანახში“ ერთად „დაგვაბინავა“ და ერთმანეთი ამ გზით გაგვაცნო. ასევე, ხაშურელთა შემოქმედებას მიუძღვნა მან „ჩემი ჰობი პოეზიაა“ ალმანახის მე-8 და მე-9 ნომრები. დღესაც იგივე გამეორდა, -

„ლიტერატურული ალმანახი“ ხაშურში მოღვაწე შემოქმედ ადამიანებს ისევ მასპინძლობს!

მრავალჟამიერ, ჩვენი ერთობა, მეგობრებო!

პატივისცემით,
ხაშურის სამუზეუმო გაერთიანების დირექტორი;
ფილოლოგიის დოქტორი *კლარა გელაშვილი*

რედაქტორი: ***კლარა გელაშვილი***
პერიოდული გამოცემა

გამომცემელი: ***ლერი ნოზაძე***
ISSN 1512 -1542

ეკა ბაქრაძე

დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. ბავშვობიდან წერს ლექსებს. გამოცემული აქვს ექვსი პოეტური (მათ შორის საბავშვო) კრებული. მინიჭებული აქვს ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის პრემია. წლების განმავლობაში გამოსცემდა ლიტერატურულ-შემეცნებით ჟურნალ „გ ზაჯვარედინს“. ამჟამად არის გაზეთ „ლიტერატურული ხაშურის“ რედაქტორი; ხელმძღვანელი საბავშვო თეატრალური წრისა „აკვარიუმი“. ჰყავს ერთი შვილი.

ახლა გულზე უნდა გაკსვდებოდე...

აპრილი რძეჩამდგარ კერტებს ბურჩნის,
თბება დედამიწის სასთაულით,
ყვავილობს სამყაროს თეთრი ბუჩქი
- ბუნების ჩვეული სასწაული...
ითმენენ ნაზამთრალ ნართაულებს
და თვალებს ახელენ ბრმა კვირტები,
წვიმა მიწას დაასათაურებს,
- მანამდე ცის ლუპით გაკვირდები...
ტკივილგაუმტარი მაკრავს კბოდე,
ბაღში ალუჩების ტკარცალია,
ახლა გულზე უნდა გავსკდებოდე,
მაგრამ სასიკვდილოდ არ მცალია...
თეთრი პენუარით ალუჩები
დგანან მარტოობის პოდიუმზე
და, შენც, ტკივილივით გაურჩდები,
რადგან მზეს თვალებში როდი უმზერ.....

ბაღში გაზაფხული კერტებს ბურჩნის
და ხეებს ევსებათ ლავიწები...
და იწყება გზათა შორის ურჩი
გზა - უგზო-უკვლობის დავიწყების...

* * *

აპარებს მზერას თითქოსდა რიდით
და სხვისი ქმარი დაეძებს საყრდენს,
უკვე ნაცადი ძველ მეხამრიდით
ოცნებობს, ახალ გაზაფხულს აჰყვეს...
შეცდომით შეთემ* შეირთო ცოლი,
გაუმხელელის ჯიუტი ჯიბრით,
ჟამკარით გზაკვალარეულ ცთომილს
სარეცელივით შეაცვდა ხიბლი...
სადღაც, სივრცეში აცდენილ ქორდას
უმისამართოდ ანათებს ხომლი,
იმ ვერგამხელილს სურნელი ჰქონდა
და სიწრფოება პირველი თოვლის...
მდედრის ალღოთი ღაღანებს ღალღა,
აჟრჟოლებს ჟვავი სექტემბრის ჟიჟოს,
ფერადი ფუნჯით შემოდის ლაღად
და, შემოდგომა ბავშვივით გიჟობს!
ახალ ლიბრეტოს ასრულებს წვიმა,
ღუდღუდებს სულის სახმილში ცეცხლი...
და მარადიულ ცრემლივით ბრწყინავს
სიცარიელე ამოცლილ ფერცხლის**...

---

* შეთე - დამთხვეული.

** ფერცხალი - ნეკნი.

ის კი მიჰყვება ცხოვრების ქანობს,
ალეწილ მზერას დაჰყვება რიდი
და სხვისი ქმარი წარსულ გზას ნანობს,
იმ გზას, რომელიც აღარსად მიდის!..

* * *

... და სანამ მოაღწევ ჩემამდე,
(მოგყვება უფერო ნაფთეევი),
შენი შემოდგომა მე მანდე, –
დაღლილი და ღამენათევი...
ვაგროვებ თოვლზე და თოვლიან
ლექსებს, ჩემეული ფაციცით,
ვიცი, რომ ცრიატი ხომლია
მხოლოდ, ერთმანეთზე რაც ვიცით...
როდინში ლოდინი სლუკუნებს,
ფერით და გემოთი ღანძილის,
ჩემამდე ეკვროდი უკუნეთს,
– შემოკლდა ჩემამდე მანძილი ...
ტაატით ტორტმანებს ურემი,
ჯვარივით მძიმეა სათარი,*
უჩემოდ ფიქრია ულევი,
ჩემთან კი – სიმშვიდის საფარი ...

* სათარი - ურემს გამობმული დიდი მორი.

* * *

მე ანბანივით გასწავლი ჩემს თავს
და შენც მკითხულობ სასოებით...
სხეულზე, როგორც სურიდან, წვეთავს
ცრემლები – სულის ასოები...
ეს შემოდგომაც ქარში ცახცახებს, –
თალხი და ფერებწართმეული...
და ფრთხილი ვნებით ნებივრობს ცახე*
არილზე, ჩემი სათმეულის.
გზაჯვარედინზე წევს ფერი წითლის,
გაკრთობს აკრძალვა შუქნიშანთა,
დროის მდინარე დინებებს ითვლის,
ცხელი ხუნდები სულს გიშანთავს...
ვარსკვლავს მაკვირდები, როგორც მოგვი,
მიხმობ მაგიურ ფალანგებით,
ვიდრე დედამიწას ქარი მოგვის,
მანამდე, თავად დავლაგდები...

P.s. რითმებად ირთვება ასოები,
გარეთ ნოემბრის ისხარია,
უხმოდ მკითხულობ, სასოებით
და მე, ბავშვივით მიხარია...

* ცახე - მზის სხივით განათებული მტვერი

* * *

სუბსარქისის ღამეა - სურვილებით გულუხვი,
სულს უბერავს არევიკ მარილიან მადაურს,
სიზმრად უნდა შემასვან წყალი, თურმე, თულუხით,
ბედი ვისთან წამიყვანს, ანდა - საით, სადაურს?
მარიგებდა მზრუნველი, დაზე ტკბილი დობილი,
ჰქონდა ვარდის სურნელი სიზმარეულ ინანთებს.–
ის გახდება საბედო, – შენებრ ბედს მინდობილი,
წყალს ვინც გამოგიწოდებს მანამ, სანამ ინათებს!
უწინდელი ცეტობის მოგონებებს ვადედებ,
სუბსარქისის ქარებმა იხმეს პაროქსიზმები –
ამ ცხოვრების სცენაზე არშემდგარი პა-დე-დე
და წარსულს შეხიზნული არნახული სიზმრები...
ჩამიქროლა თეთრონმა ულაგამო აღვირით,
თრიმლი თვლემს და ტოტებზე თოვლის თექა თამთამებს,
წლების თეთრად თქარუნში, ზამთრის ციდან დაღვრილი,
თრთვილი ეთამაშება შემორჩენილ თავთავებს.
სუბსარქისის ქარია, ჩაუხერგავს ვიწრობი,
დინჯი ათასწლეული სიწრფოებას იწონებს,
ახალ ვიბრაციებით რკინასავით ვიწრთობი,
სადღაც მზე იბადება - უკუნის საპირწონე!..

P.s. უკვე ობი მოედო მარილიან მადაურს,
ჩაირბინა საბედომ, ბაჩასავით, ბზაკუნით,
- არსად არ წამოგყვები, სადაური - სადაურს,
ბედო, აღარ გაბედო ჩანაფიქრი მზაკვრული!

ყმაწვილკაცობისკენ ახლადფეხადგმულ შვილს

„საულვაშეზე გაუჩნდებათ ღინღლი და მალე,
საიალაღოდ გაიწევენ, როგორც ხარები..."
ზურაბ კუხიანიძე

საიალაღო სურვილებს მალავ
და ღვინობისთვე გეღვრება მაჭრად...
ახლა ვიხსენებ პატარა წალამს,
- შენს სადღეობოდ, პაპამ რომ აჭრა.
ის ლერწმის ღერო ვაზია უკვე
- გადაწიდნული მწიფე მტევნებით,
იმ უცხო სურნელს საკმეველს უკმევს,
შენ რომ ჯიუტად აედევნები!..
ღვინობისთვეა... დგას თავმომწონედ
და დედამიწის ივსება ვარცლი,
ქარით აწეწილ ქარვის კოწოლებს
მზეს, წვიმა, სველი თითებით ვარცხნის...
ბევრის მომსწრე და მრავლის მნახველი,
მაჭარს სისხლივით წამოახველებს,
- ბერიკაცივით დგას საწნახელი
და შემოდგომა ქარით ახელებს...
მზეჩამდგარ მტევნებს ბანივით ბეკნი,
ჩურჩულით გლოცავს აჩრდილი პაპის,
შენთვის შექმნილი, ადამის ნეკნით,
ვიღაც ვარდისფერ მირაჟებს ჩხაპნის...
საულვაშეზე გიღიმის ღინღლი,
ჯერ შეუცნობელს გკარნახობს ალღო,
აწყვეტილ წვივებს სწორებთან იღლი,
ნავარდი გიხმობს, საიალაღო!..
ვიდრე წვეთ-წვეთად ივსება საწდე,

გამითეთრდება თოვლით კაწაწი,
უფალს ვედრებას ზეცამდე ვაწვდენ, -
შენზე ლოცვით და სულის კაწკაწით...
სამყაროს ხსენი გასვი კერტებით,
ცალუღლით გზარდე მუხლჩაუხრელად,
მანამდე, მე არ დაგიბერდები,
ვიდრე მზეს სხივი არ ჩაუქრება!..

მამის ხსოვნას

თოვლმა მოწყენილ ხსოვნის ნალიას
გადააფარა თეთრი ნაბადი,
რაც მაბადია, შენი კვალია,
- თოვლივით წრფელი და თვითნაბადი...
ჩემთვის რომ დაგრჩა გაუკვალავი,
იმ ბილიკს მძიმედ, კირთებით ვკაფავ,
თოვს... უსასრულო და უთვალავი
ეცემა ფიფქი მშობლების საფლავს...
თოვლი სათუთად ართავს საჩეჩელს,
- როგორც ზღაპარში - გოგო ობოლი,
სული სარჩულით შემომაჩეჩეს
და ვეღარ ვარჩევ ცხადს და მოგონილს...
ჩემ ცივნულ კედლებს იტკიებს კერა
და ჩაეწმინდა ბუხარს სასულე,
მარადისობის ბავშვივით სჯერა
თოვლს... და ფიფქების გამას ასრულებს...

დაიბადა ქარელის (ყოფილი ზნაურის) რაიონის სოფელ ავნევში 1975 წლის 20 აპრილს. ავნევის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ჩააბარა ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში.

დღემდე მუშაობს ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად ქ. ხაშურის N9 საჯარო სკოლაში.

ეკა გეგელაშვილი

სიზმარი

მე ყოველ ღამე გავდივარ მანძილს
ჩემი სახლიდან, ჩვენს თეთრ ტაძრამდე...
ვგალობ „ოსანას“. „მაღალთა შინას“
და უიმედოდ საყდარს არ ვტოვებ.
დედის და ჩემ დის საფლავთან ვდგევარ,
ბალახს ვაშორებ მათ ძვალთშესალაგს,
მერე დავყვები სოფლის შარაგზას
და ვეფვეთები აწმყოს მუხანათს.
სუყველას სახლში შევდივარ ფიქრით
და ვეფერები ნაცნობ ადგილებს,
მერე გავრბივარ, სულმოუთქმელად,
სახლში მისასვლელ მივსდევ ბილიკებს...
ჩვენს ნასახლარზე ბალახი ყვავის
და ისტერიულს ვიწყებ გოდებას,
გადავემხობი კერას დანაცრულს,
ეკალ-ბარდები სახეს მიხოკავს...
ცრემლით ვასველებ ლიბო-საძირკველს,
მოგონებები რა რიგ მწველია!
ეზოში ვაზი გადაუჩეხავთ
და ჯიბრზე, მაინც რქა აუყრია...

ჩამეძინება ასე გატანჯულს,
მსურს, რომ გათენდეს დღე კეთილ ნების,
გულით უსაზღვრო სურვილად დამაქვს
სურვილი ჩვენი იქ დაბრუნების!...

სულო ამაღლდი

სულო, ამაღლდი სხეულზე ზევით,
სულო, ხუნდები ჩამოიშორე,
უფლის წიაღში დაბრუნდი სულო,
ზღვა სურვილების გადაიარე....
იპოვე შენი ნავთსაყუდელი,
უფლისკენ სწორი გზებით იარე
და არც იმაზე არ დაიჩივლო,
გულზე ბევრჯერ რომ გადაგიარეს...
ამაღლდი სულო, სხეულზე მაღლა,
მოუშუშდება გულს ეს იარაც,
მოიწმინდება ცა მოღრუბლული
ზეცა გახდება ისევ კრიალა,
ამაღლდი სულო სხეულზე ზევით
იყავი, მუდამ იმედიანად!

უბრად ცრემლებთან

ო, როგორ მინდა შევძლო როგორმე
და ნაღველს კარი გამოვუკეტო,
ქარებმა სადღაც გამაქროლონ და
დამტოვონ როგორც უმისამართო.

ო, როგორ მინდა დავმარხო დარდი
და უბრალდ ვიყო მერე ცრემლებთან
თმებს მიწეწავდეს თავნება ქარი,
ბზარებს არ ვგრძნობდე გულის კედლებთან...
ო, როგორ მინდა ვაჯობო ტკივილს
ჩემი ღირსების გადასარჩენად!

წვიმა გადარეცხავს

რა ვქნა?
არ გამომდის
ჩრდილში ყოფნა,
სიტყვებს ემოციურს
ფრთებს ვერ ვკვეცავ,
კითხვებს, უპასუხოდ
დარჩენილებს,
სკივრში ვკეცავ...
ვიცი, ბევრ რამეს რომ
მტვერს აყრიან,
თუმცა წვიმა
მაინც გადარეცხავს...

* * *

რას ვისურვებდი დამებედოს?
ალბათ დანდობას,
ქარტეხილებთან გამარჯვებას,
სულის მხნეობას,
სიცოცხლისადმი სიყვარულის
კვლავ დაბრუნებას,

ჩემი ნოდიკოს,
ახლობლების კეთილდღეობას,
განსაცდელისგან თავდაღწეულ
კაცობრიობას,
ბედნიერ აწმყოს,
მომავალსაც უფრო ხვავრიელს
და გაბრწყინებულ საქართველოს
მრავალჟამიერს!

* * *

გაზაფხულს გადმოჰყვა
ზამთრისგან სიცივე,
კვირტები შეცბუნდნენ
ქარიშხლის კივილით,
ტყემლების სურნელმა
მინდა რომ გააქროს
დენთის, სისხლისა და
სიკვდილის სურნელი...
მშვიდობა სუფევდეს
დღე იყოს ნათელი,
სიკვდილის სიცოცხლის
ვერ გახდეს მძლეველი.
უღრუბლო ცა მინდა
ფარავდეს პატარებს,
თვალებში არ ჰქონდეთ
შიში და ცრემლები...
და ამ გაზაფხულსაც
თალხით რომ შემოსეს,
უფალო, შესძინე
იმედის ფერები...

* * *

ჩვენს ნასახლარზე ამოსულმა
ბალახის სუნმა
და ნაღვერდალის ქვეშ წარსულმა,
ფერფლად რომ ყრია,
გული დამიწვა.
ეტყობა ტკივილს
უჩვეულო დაჰყვა თვისება,
რაღაცები დროზე ადრე
გადაგვავიწყდა.
თორემ ოკუპანტს,
ჩვენ მიწაზე დასასვენებლად
აბა, რა უნდა?!
რაში გვჭირდება ბინძურ ფულით
შექმნილი აწმყო,
როცა ქარს მოაქვს
გადამწვარი სახლის სუნი
და ის იარაც მოურჩენელი
გულში ტკივილობს?
თუ ძალა არ გვაქვს შევებრძოლოთ
ქვეყნის მტერს ახლა,
იქნებ ღირსება შევირჩინოთ
როგორმე შევძლოთ,
მათგან დაყრილმა ნამცეცებმა,
რომ არ მოგვხიბლოს!

* * *

ეჰ, მერამდენედ
ჩამოსცვივდა
ხეებს ფოთლები
და მერამდენედ
შეასრულეს ტანგო
უჩვენოდ...
ეჰ, მერამდენედ
დაუღამდა სოფელს
და მერე,
წელში მოხრილი
შეეგება მარტო ალიონს...
სოფლის შარაგზას
შემოდგომა უქსოვს
ხალიჩას და
სამწუხაროდ,
დაბრუნების კვალი
არა ჩანს!

* * *

ჩემი მეგობარი პილატეა,
შენს ტანჯვაში წილი
არ მაქვს მეო...
ხშირად უმეორებს
საკუთარ თავს,
მასთან არაფერში
შევცოდეო.
უხმოდ ვეთანხმები
გულმოკლული,
უდანაშაულო დამნაშავეს,

დიდი სიყვარულის შედეგია,
ტკივილს თუკი
მარტო შემატოვეს...
ჩემი მეგობარი პილატეა,
მაგრამ მაინც მიყვარს
ამ გულმტკივანს,
თვითონ არ ვიცი და
მე კი მინდა,
ქვეყნად ვუყურებდე
მუდამ მზიანს!

* * *

მე აღარ მჯერა
გაზაფხულის ისევ მოსვლა და
შენ დამაჯერე,
რომ ჩემს სულში სახლობს ზამთარი...
ხელი გაგიშვი,
ოცნებებსაც გამოვეთხოვე,
უიმედობაც თავს დამესხა,
როგორც აფთარი...
მას შემდეგ ბევრჯერ
ქარიშხალმა გადამიარა,
თუმცა ვიპოვე ძალა მაინც
ფეხზე დგომისთვის,
ჩემი სულიდან მოვახერხე
ზამთრის განდევნა
და ვიდრე აქ ვარ,
ვიბრძოლებ ხვალინდელ დღისთვის,
ვინ ვიყავი და რა შევძელი წუთისოფელში,
ლექსები იტყვის!

კლარა გელაშვილი

დაიბადა ახალციხის რაიონის სოფ. საყუნეთში. მწერალი; მკვლევარი; ფილოლოგიის დოქტორი.

გიგა ლორთქიფანიძის სახელობის კინოს თეატრის, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემიის წევრი. 20 წლის მანძილზე მუშაობდა დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმის ფონდების მცველის თანამდებობაზე.

ამჟამად ხაშურის საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორი. ოთხი წიგნის ავტორი. ცხოვრობს ქვიშხეთში.

* * *

სადაურობას მკითხავდა ერთი...
(ჯერ საქართველოს მზეს დავიფიცებ),
მახსოვს, მესხეთში ღიღილოს ვკრეფდი,
მერე ქვიშხეთში გამოვიღვიძე.

საბავშვო ბაღი...

ცხოვრება დიდი საბავშვო ბაღია; ჩვენ – მუდმივი ბავშვები. დაუსრულებლად ვწუწუნებთ და ცრემლიანი თვალებით ვუმზერთ კარს, საიდანაც დედები გაუჩინარდნენ... ვუმზერთ ამაოდ... ისინი არასოდეს დაბრუნდებიან!... მერე ამ ბაღში ჩვენც დავტოვთ შვილებს... მერე - ჩვენი შვილებიც... ასეთია ერთ-ერთი კანონზომიერი, მაგრამ ძალიან მტკივნეული კანონი ბუნებისა... დღემდე აფორიაქებული და ხელგაწვდილი ვბორგავ ამ ბაღში და ცრემლიანი თვალებით ვითხოვ სითბოს, რომელიც დედამ წაიღო!... არ მომწონს ეს ქაოსური საბავშვო ბაღი, - უდედოდ, უსიყვარულოდ, უნუგეშოდ დარჩენილი ადგილი, რომლის სარკმელსაც მზე არსაიდან ანათებს... კედელ-

ზე მიხატული სხივები ცივია, ყალბი... ახლა ვხვდები, რატომ არ უყვართ საბავშვო ბაღი ბავშვებს... რატომ ითხოვენ, მათთან ერთად იყვნენ დედები... დატოვეთ, დედები შვილებთან საღამომდე, დატოვეთ...

მხოლოდ მესამე...

როს მშობელიური სურნელისგან ქარი გაგძარცვავს და ავდრისფერი კაბის შრიალით მოგეახლება დედინაცვალი-ავი მყოფადი, დასანანია!... ხშირად სახელს ვერც კი დაარქმევ, ერთდროულად რომ ტკივილიც გაქვს და სიყვარულიც!... ცხოვრების ზღვაში განძით სავსე გემსაც, თან მეტად, დამუქრებია, შტორმის სახით, საშიშროება - ჩაძირვისა ან გამორიყვის... ერთი ნაპირი სიცრუით და სიძვით სავსეა!... აი, მეორეც! - ჭრელაჭრულა ფერებით მოსილთ ზე აღუმართავთ ჭრელი დროშა, თუმცა, გარკვევით, ვერავინ გეტყვის ვის იცავენ, ან რას ელიან!.. მზე შუბისტარზეც ვერ ასწრებს ასვლას, რომ ხვდები, აქაც იგივეა და მსგავსად სხვათა, შენც შენი დროის უმხურვალეს ღუმელში იწვი!... რადგან გრძნობ, ფიქრობ, თვლი, რომ თურმე გაცემული - არა შენია! არცა სხვისია! ზე ნისლად ადის და მერე კი ალბათ, ნალექად, შეერთვება მიქცევ-მოქცევას. რაღაცა ახლის ძიებაში იწრთობა სული და, ჰა, იმედად, წუთისოფლით ნაგვემი მდგმური, შორს, ჰორიზონტზე ამჩნევ ნაპირს, მესამე ნაპირს, რომელიც თურმე, სულთა კვნესამ გამოიგონა!.... მესამე ნაპირს იშვიათად დაეძებს ვინმე, რადგან ცხოვრებას, რახანია, დაზავებიან... იქ, მარტოსულთა სავანეშიც ძნელია ყოფა, რადგან სარკმლიდან, რაც მესამე ნაპირს აქვს მხოლოდ, რეალურ ხედებს, სამყაროსას, მიელტვის თვალი... იქ კი, პირველს და მეორეს შორის, თანაბარი სიმჩატით დაქვთ სიძულვილით და სიყვარულით სავსე ტომრები!... თუ

სურთ, შარბათად შეასმევენ ერთურთს საწამლავს - ვნება რომ დაცხრეს წუთისოფლის ატრაქციონზე... ბუნებრივია, სული ელ-ტვის მესამე ნაპირს! - რწმენისა და სინათლის ნაპირს, სადაც არავის უჩხრიალებს არცერთი ვერცხლი!.. (შესაბამისად, არც გაყიდვა არ გემუქრება!) დგას სამრეკლოსთან გაცრეცილი სტი-ქარით მნათე... იქვე სიმშვიდის მთები დგანან და ამ დუმილში გაცხადებულა ამა სოფლის ამაოება... მომწონს ნაპირი, არც პირველი და არც მეორე, მხოლოდ მესამე, სადაც თეთრი ღუზა ჩაეშვა. ღმერთმა ნუ ქნას და თუკი იქაც დანაღვლდა გული, ნაპირს, მეოთხეს, აღარავინ გამოიგონებს!... ზეცის სარკმლიდან თუ გადმოხტა იმედის სხივი, დაიმსხვრევა და უგზოუკვლოდ გაიფანტება... მომწონს ნაპირი-არც პირველი და არც მეორე, მხოლოდ მესამე!... განრიდების სამოთხურ სამ-ყოფს, იცავსო თურმე, ღვთისმშობელის კალთა, თვალები... რა ძვირფასი და უბრალოა განძი იმ გემის, ნაპირთშორისი სიძულ-ვილი რომ ვერ იტვირთა! ზღვა სევდიანი თვალით უმზერს კაცთა მარათონს-ფინიშთან მხოლოდ ერთი დროშა აღი-მართება!!! უფლის ჯვარცმასთან თავს მახსენებს დათმენის ვალი - ნეტავ, „გაქცევამ“, „არგაქცევას“ ხომ არ აჯობა?!

ლექსო

იეჭვიანეს შვილებმა შენზე,
ვგრძნობ, ზოგ-ზოგებმაც ასწიეს წარბი,
თუმც არ ვიმჩნევდი, გულის ქვითინით,
ყელგამოღადრულ ფურ-ირემს ვგავდი...
მერე, რააო!... რა ვქნა, თუ დღემდე,
ვერ მოვიკიდე ფეხი მიწაზე,
ვერ ვაგვირისტე ოქროს სირმები,
რომ მელაპლაპა მტრების ჯინაზე...
რადგან სანგარში ვირჩიე წოლა,

სისხლი ისე მდის, ვერავინ მამჩნევს
და ჩემი სულის ლაჟვარდში სრბოლით
თუ წამოვდგები, ვინ უნდა წახდეს?!
იეჭვიანეს შვილებმა შენზე...
მეც შემოგჩივლე დასჯილ ბავშვივით...
გულზე რომ ცეცხლი მომედო, ახლაც
მოგეხვიე და შენში ავტირდი...

ხმა უფოლადო...

შენ ვერ შეძელი... ერთხელაც კი-ვერ...
მე, არაერთგზის, გასაღები მოგეცი გულის...
მოიბუნაგე ჩემს სამყოფში, ჟამს სიცივისას,
მანამდე, ვიდრე გაზაფხულის სუნი იგრძენი...
ეს მერამდენედ ჩამოკაწრე სულის კედელი,
ჭიანი თოვლის მკვდარი გუნდით სახე ამიწვი...
ფერად სამოსს რომ შემოიხევ, როგორც გჩვევია,
მერე რას შვრები?!-
თერძმა უარი განაცხადა, დადნა ქსოვილი...
ამდენ რყევებში ბურჯი აღარ შეუნარჩუნდა
იმ ხიდს, რომელზეც გზა ათასჯერ მოვაპირკეთე...
მორჩა, ერთმანეთს გაემიჯნა ორი ნაპირი!..
თუ მოენატრა შენს გლუვ კედლებს სხივი ნათელი,
კარი გახსენი სინანულთან შესაგებებლად...
რამდენი ფრესკა ჩამორეცხე, ღმერთი უარჰყავ!...
ვერ დაეწია სანთლის ალი, შესაჩერებლად,
გრიგალს, რომელსაც არც ყური აქვს და არც სახელი...
გულწრფელად მიკვირს და კითხვაზე პასუხი არ მაქვს,-
მორიელს როგორ აღმოაჩნდა სისხლი, იმ ფერის,
როგორიც მე მაქვს?!

მოდი...

ცრემლის ღელეებს ჩავყევი ხევში
და განაკაფზე შემოვრჩი მდელოს...
ანგელოზები არკვევდნენ, ჩემში
სიცოცხლის ნიშანს ბინა თუ ედო...
და მე გადავრჩი... გათეთრდა ცა და,
წამოიქოჩრნენ ყლორტები ლოცვით...
სიმშვიდის ქოხში ლოდინი ფეთქავს,
კარი ღიაა, უფალო, მოდი...

უფალო...

უფალო, მუზის საყდარში
ნუ დამიმარხავ მუზას,
ასეთი მსხვერპლი სამშობლოს,
ან ვის და, რაში უნდა?!
არ დამიმსხვრიო ის გემი,
რომელიც სევდას მაცლის, -
დგას ოკეანის სიღრმეში
და იმედია, დაცლის!...
ამდენ ბატონთან ჭიდილში
კვართი დამეხა, ჯვალო,
ვგრძნობ, სული სულ სხვა
სივრცეს მთხოვს, -
მთხოვს, მიწას გავეცალო!
თორემ თუ თქეშად გადმოსკდა
ცა და აზილა მიწა,
სულში ჩალექილ ტალახებს
შემოგაფრქვევენ იმ წამს!

ჰოდა, ვისაც არა აქვს სხვა გზა,
ან ძლიერია ჩემზე,
ის გაიწვიე დუელში,
გაუძლებს თამაშს რქებზე!
მე აქ სულს ვღაფავ თევზივით,
სხვას კი ჰგონია, ვცეკვავ...
რამდენი ზურგში მიჯიკეს,
რტო შემაგება ღმერთმა!..
ლამპიონები არ მინდა,
მზის ქვეშ დავდივარ მშვიდად,
მუზათა ნავსაყუდარში
მე სხვა სიცოცხლე მინდა!

ტიციან...

წარუხოცავი სირცხვილის ტვირთით,
წლები მოხრილი მხრებით მიდიან
და ქვეტექსტებით დატვირთულ სივრცეს,
დღემდე, სახელი არ აქვს, ტიციან...
დაატარებდი დენდი სიმბოლოს,
(სხვა ფარის შექმნა არ კი გიცდია),
ჰო, შენი მკერდი აიღეს მაშინ,
როცა მიხაკი თვლემდა, ტიციან!..
ვერ დავამშვიდე შავი არაგვი
და გული მიტევს, როგორც სტიქია,-
ამაოდ ვეძებ კარაბადინში
იმ წლების წამალს, ჩემო ტიციან...



პოეტი; ისტორიკოსი; მკვლევარი დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმის დამფუძნებელი პირველი მენეჯერი. ოთხი წიგნის ავტორი.

გივი გელაშვილი

რით განვსხვავდებით?

რით განვსხვავდებით, ძაღლო, მე და შენ?!-
ორივეს გვარჩენს პური და წყალი...
მეც ხომ ლუკმისთვის დავძრწი, შენსავით,
და კიდით კიდე მიწევს წანწალი!
ლუკმის ლოდინში შენ კუდს აწვალებ.
მე-ნიღაბს ვირგებ, როცა ვიცინი
და ამ ცხოვრებამ მეც ხომ მასწავლა
შენებრ ლაქუცი, კუდის ქიცინი.
მეც ხომ შენსავით მტანჯავს ცხოვრება,
მეც ხომ შენსავით ვღრინავ და ვყეფავ,
მეც ხომ სამადლოდ მიგდებენ ლუკმას
და განსხვავება რაღაა, ნეტა?!

ვიხსენებ

ვიხსენებ სოფლის მტირალა წნორებს,
წასული წლების სურნელი მათრობს,
გავხედავ სევდით დაბინდულ შორეთს
და ჩემს უდარდელ ბავშვობას ვნატრობ.
გამახსენდება პატარა მეხრე,-
ნახირს სიმღერით მოჰყვება თავქვე,
მოგონებები გარდასულ დღეთა,
მიხმობს, კვლავ სოფლის ბილიკებს გავყვე.
მოდის მეხრე და უღიმის სახე,
სახე მხურვალე მზისგან დამწვარი,
უჭირავს იფნის მოქნილი სახრე,
არტყია წელზე ლახტის ქამარი.
ახლაც ჩამესმის სნეული დედის
ლოცვა-კურთხევა და ჩუმი კვნესა,
ასე მგონია, დაღლილი მკერდი
დედის ღიმილით მითბება დღესაც.
ვიხსენებ სოფლის მტირალა წნორებს,
წასული წლების სურნელი მათრობს,
გავხედავ სევდით დაბინდულ შორეთს
და ჩემს უდარდელ ბავშვობას ვნატრობ.

დედის აჩრდილთან

ხსოვნად ტკივილი დატოვე, დედა,
(ამწვანებული ორიოდ ბელტი),
ეჰ, ის დრო იყოს, ვიყავით ერთად,
სხვა არაფერი არ მინდა მეტი!

დედა, შენს შემდეგ ვწვალობ და მიჭირს...
ჯოჯოხეთში ვარ, გამთელეს ფეხით,
ბევრი ჩემს ტკივილს და გაჭირვებას
ხვდება ხითხითით და მანჭვა-გრეხით.

დრო შეიცვალა, სამშობლოს სჯიან,
კრძალვა და შიში აღარ აქვთ ღმერთის,
უიმედობამ იმედს აჯობა,
ღიმილს კი-დარდმა, ცრემლებს რომ ერთვის...

აღარაფერი შემოგვრჩა წმინდა,
შეგვრჩა ქვეყანა ტიალი, ბნელი,
ჯოჯოხეთიდან გაქცევა მინდა
და ბედის ახალ განაჩენს ველი!

* * *

ჭეშმარიტების ძებნაში
ბევრი წავიდა გზამართალს,
ვერც მოსამართლე-მსაჯულნი
ვერ ამკვიდრებენ სამართალს.
ვინ იბრძვის სიმართლისათვის,
ვინაა აზრის განმრცობი,
როცა თვითონვე კაცია,
ჭეშმარიტების საცობი!

* * *

ბედის განგებავ,
ჩემს მომავალზე
მოგსურვებია
ჩუმად ჩურჩული,
საით მიგყავარ,
საით მიმათრევ,
თვითონ უგზო და
გზააბურდული?!

ცხენი

თავისუფლებას
და ლაღად ნავარდს
დრო ულმობელი
ქამანდით სდევდა,
ბედშერიგებულს
თვალებში უკრთის
თვალუწვდენელი
ტრამალის სევდა!

დაიბადა სურამში. პროფესიით ჟურნალისტია. ბავშვობიდან წერს ლექსებს, არის ხუთი კრებულის ავტორი, საქველმოქმედო ფონდის დამფუძნებელი და არაერთი საქველმოქმედო ღონისძიების ორგანიზატორი.

ხათუნა გელაშვილი

* * *

უიღბლო ღამე გვითევია უკვე რამდენი,
რაც იყო, ახლა, ვიცით, წარსულს ვერ ჩაბარდება,
როცა დრო მოვა, მე ჩემს ლექსებს, შენზე დაწერილს,
შენს სავალ გზებზე დაგილაგებ ფიანდაზებად.
ვიცით, რომ ტკივილს იებივით ფერება უნდა,
ბევრჯერ გაგიშვი, ბევრჯერ დამთმე... მერე ვინანეთ,
ორივეს გვსურდა დიდი ცოდვის ჩადენა ურცხვად,
მაგრამ ვიცოდით, რომ უფალი ვერ შეგვინანებს.
ახლა ვერ მოვშლით, ბავშვობიდან რაც რომ დაგვჩემდა,
ახლა აღარ ღირს გადაშვება ვნების მორევში,
ბედთან ვერ ვდაობთ უბედობის გამოსარჩლებლად
და ვერც ჯვარი ვერ დავიწერეთ სვეტიცხოველში...
ახლა ის გზები, საიდანაც დღემდე მოვედით,
ყაყაჩოებით ბრიალებს და არც კვალს არ ინდობს,
უნდა შევიძლო, უნდა გავხდე მართლა პოეტი,
რომ ჩემი ლექსით აგამაღლო და განგადიდო.
რომ ვარსკვლავები გავდეს სტრიქონს - ცაზე გაწელილს
და ყველა ფურცლის შენი სუნთქვა იყოს თავდებად,
როცა დრო მოვა, მე, ჩემს ლექსებს, შენზედ დაწერილს,
შენს სავალ გზებზე დაგილაგებ ფიანდაზებად...

* * *

ახლა რა დალევს უფერულ დღეებს,
ცამ ნისლი მთაზე ამოიხვნეშა,
ზამთრდება და ჩემს სულში ბადეებს
ფსკერზე ყრის მუზა დამფრთხალ რითმებთან.
შეხედე, ზამთარს პირი აქვს ღია,
მოთოვოს... მე შენ მაკლიხარ, თორემ...
სერზე კი ისევ ამოვა ია
გაზაფხულობით, რომ ვნატრობ ხოლმე...
და ვიდრე მოვა, რა გითხრა მეტი...
ეს ეზოც თითქოს ჭიგოზე დარჩა,
წინათ რომ დღეებს ფურცლებზე ვხევდით,
ვუყურებთ, ტანზე გვაცვდება ახლა.
ბავშობის სახლიც ვერ იტევს დარდებს,
გულს უყვარს, თვალს რაც ეუკადრისა,
მამა ყოველდღე სანთელს რომ ანთებს,
ის ჩამომწვარი კუთხე სარკმლისა...
და სახლის მიღმა, მონგრეულ ჭასთან
არ დგახარ, როგორც იმ ჭაში წყალი
და ერთმანეთშიც იმგვარად გაქრა
გრძნობები, როგორც წაშლილი კვალი...
ჰო, ყველაფერი იცვლება მაგრამ,
სიბერე მალე შეგვირხევს გულებს.
მოვა და ლექსი დარჩება დაღად
გულებს, რომლებსაც ვერ ვუერთგულეთ...
ვეღარ მოვიხდენ ამ თმას, დავერცხლილს,
შენს წინ და ვეღარც ბრმად ვიტყვი სათქმელს
და ოქროს თოთლებს, წვიმით გარეცხილს,
ქარი სიბრაზით გაავლებს, გათენს...

* * *

მე არ მწყინს, თვალებს რომ ლოდინი მოსწყინდა,
რომ ისევ სიყვარულს ვერ მიყოფ რეტიანს,
არ მწყინს, რომ შენს გვერდით ფუსფუსებს ცოლი და
შენს გულში მისთვის რომ ადგილი მეტია...
მე არ მწყინს, დილით რომ თმას უწყობ ტალღებად
და კოცნით მის ყელზე ბორგავ და ირევი,
არ მწყინს, რომ მე, ამ დროს, სიცოცხლე მაკლდება,
ის ერთი სიცოცხლე - კუთვნილზე მცირედი...
რომ ბალიშს გისწორებს სათუთად დილით და
ზრუნავს და სითბოთი გევსება თითები,
პატარას გვერდით რომ ჩაგიწვენს თილისმად
და უკვე ცხადია, ზედმეტად ვითვლები...
რომ მისი კისკისი სიცოცხლით აგავსებს,
ჩემს ცრემლს კი ეჭვის და სიმლაშის გემო აქვს,
ჩაიკრავ გულში და ოქტომბრის ბარათებს
ოთახში მოხრილი ფოთლები შემოაქვს...
სულ არ მწყინს, რომ აღარ ვსაუბრობთ ამინდზე,
თავს აღარ მახუტებ - თბილსა და ფიქრიანს,
რომ ლექსი ბავშვივით აბუჩად ამიგდე
და სულში ქერქეტი მუზები იბრძვიან.
არც კვალი აღარ ჩანს კოცნის და იმედებს
მიფანტავს დრო, სადაც გაჩერდა საათი,
არც ის მწყინს, რომ ასე, ქარისთვის მიმეტებ
და ქარსაც უღირსი სახელი დაარქვი.
სულ არ მწყინს, სიზმარს რომ ჩამომდებ თათივით,
არ მინდა გათენდეს და ვეღარ გეშვები,
სიყვარულს ფერადი საქსოვი ძაფივით
თითებზე ვიხვევ და სხეულში მეშლები.

რა გითხრა... შენ იცი, ჩემს გულში რაც ხდება,
რაც მთელი ცხოვრება მექნება საწერი
ამქვეყნად რაც ჩემი არასდროს გახდება,
რომ არ მწყინს, უბრალოდ, ამით ვარ ნაწყენი!!!

* * *

კვლავ გამახსენდა ჩვენი ტყის ქოხი - ჩვენს ბავშობაში რომ ჩავდგით წყლის პირს, შენ რომ საღამოს მოგქონდა დოქით ღვინო და ბუხრის ალთან რომ ვშლიდით სუფრას... ჯორკოზე მიფენდი ფარდაგს, მისხამდი ღვინოს, კაფიებს ვთხზავდით, გაზაფხულობით ვიწყებდით დარგვას ნეკერჩხლის ხის და უეკლო ვარდის... და მერე ჭიგოს ვასობდით სუროს, ვავსებ-დით ქვევრზე აყოლილ ბზარებს, რკინაზე, ცეცხლში რომ ცემდი უროს ფოლადს და ცხენებს უჭედდი ნალებს... გაწვიმ-დეს გინდა? წვიმაში ფეხშველს გვიყვარდა ჩავლა ჭალების ბოლოს და დილით შიშველ ნაფეხურებზე თავი მოჰქონდა შავჩოხა სოკოს. ჭილებით ვწნავდით კალათს და ხეზე მიჰქონ-დათ ბულო შეკივნულ ჩიტებს, შენ წინსაფარი გიყვარდა წელზე ჩემი და მჭადზე გიმჩნევდი თითებს. ვიდგამდით მხარზე გატე-ხილ კოკას და ვიწურავდი კაბას მალულად, ჩემს ყველა გრძნობას უქადდი მოკვლას მერე კოცნიდი იმ თოფის ლულას...

არ გვეყო მთელი ბავშობა მაინც, ვერ გამოვლიეთ იმ ქოხში საქმე,

ვერც სიყვარული... და მერე საით წავედით? - ქოხიც როგორღა დავთმეთ - არ ვიცით დღემდე... და დაგვაქვს დაღად, დაგვაქვს ცოდვილებს აწ და მარადის, ჩვენ ახლა ჩვენი ცხოვრება გვაქვს და ის ქოხი ჩვენში ჩვენვე გადავწვით... მას შემდეგ არ თოვს ზღაპრულ ფიფქებად, ჩვენმა შვილებმა - ჩიტებ-ღაბუამ არც კი იციან, როგორ იქმნება გუნდიდან დიდი

თოვლის ბაბუა... და არც ვუყვებით... ამ გულის ჭიშკარს ვიცავთ და უკვე ვეღარ გავცდებით, ნასახლარებში ვცხოვრობთ და გვიდგას ახლა ჩვენ ჩვენი დიდი სახლები...

და ქარი ისევ დაათრევს ფოთლებს, ფოთლებს დეკემ-ბრის კალთებით ზიდავს, გვინდა, რომ თოვდეს... მაგრამ აღარ თოვს და აღარ ვიცით, რას ნიშნავს „გვინდა!..“

დ ე დ ა...

გული მიფრთხის, საგულეში არ დგას გული...
ოკეანე გაიყინა ჩემი ცოდვით,
მე, მიწაზე უგზო-უკვლოდ დაკარგული,
თუ შინ აღარ დამხვდებოდი, რა ვიცოდი...
რომ დამპირდი გაზაფხულზე გულში ჩაკვრას,
ხომ გირჩევდი ფერად კაბებს, ჩემო დედა,
შენ მატკინე ახლა ისე, გულისტკენა
ცხოვრებაში რომ ვერავინ გამიბედა...
რას მერჩოდი?! იმ დღეს ტკბილად დავიძინე,
სიზმრად გნახე, ამომძახე: „მშვიდად, შვილო“,
ბავშვობაში, შენს კალთაში ნაცრემლები,
შენს ცხედართან როგორ უნდა მაქვითინო...
არც ეს მერგო, დედაჩემო, ვერ ვიშუშებ,
ამ იარას, გულში ცრემლი ამოდედდა...
და ის სახლი, შენ რომ აღარ დაფუსფუსებ,
წაქცეული ტაძარია ახლა, დედა...
ოკეანეს ჩემი ცრემლის წვეთს ვუმატებ,
თუმც, სიცოცხლეს ვირჩევ მაინც, საიმედოდ,
რომ შენსავით, მსგავს ტანჯვისთვის, დედაჩემო,
მეც, შენსავით, შვილები არ გავიმეტო...

დედა, ვხედავ უცოდველი გადგას რიდე,
ანგელოსნი გიკვალავენ გაუვალ გზებს,
გშვენის კაბა, სიკვდილის წინ რომ იყიდე
და მამაჩემს ამ დღისათვის დაუმალე...
დედაჩემო, ქარიც ტირის ჩემი ცოდვით,
ოკეანე ლეწავს ტალღით ყინვის ლოდებს,
სულ მელოდი, ვიდრე სახლში მოვიდოდი,
მაგრამ ახლა რატომ აღარ დამელოდე?
ამ იარას ვერასოდეს მოვიშუშებ,
რით ვატარო ეს ტკივილი ამოდენა...
და ის კერა, სადაც შენ არ იფუსფუსებ,
ჩამოშლილი ტაძარია ახლა, დედა...

დაიბადა 1961 წელს, ქვიშხეთში. პროფესიით ეკონომისტი.
სამი შვილის დედა.
თვლის, რომ პოეზიაა მისი სულის ჟანგბადი.

გრიგალაშვილი ლილი

* * *

შენკენ გამექცევა ფიქრი, სალოცავო,
ცხოვრება მილეულს და დამზრალს,
მამულს შეგავედრებ, ჩუმად მოვილოცებ,
რწმენით გავანათებ საყდარს...
მერე დავეშვები ცვრიან ფერდობებზე
დამშვიდებული და წმინდა.
გავთელავ ეზო-კარს შიშველი ფეხებით,
ბავშვივით შემოვირბენ მინდვრებს,
ყვავილებს დავკრეფ და კონებად მივართმევ
ჩემი ბავშვობის ხილვებს...
– წავალ ვინახულებ იმ ხალხთა საფლავებს,
ვინც ჩემში სიკეთეს წნავდა...
მიწას ჩავეკვრები, ასე მონატრებულს,
ასე მშობლიურს და ნატანჯს...
როცა დავიღლები, სადმე ჩავიმუხლებ,
რწმენას დავიტოვებ საგზლად,
მადლად შემეწევა ჩემი ნაკვალევი,
ჩემი მთაწმინდა და ჯვარცმა.

აღარ...

აღარ - იგი მონატრება,
აღარ - იგი შეხვედრები,
ზამთრის სუსხი დათარეშობს
წლებს გადაჰყვა შარბათები...
თუ კვლავ მოვა გაზაფხული
აპრილი და ყვავილები,
ქედს მოვიხრი ბედმორჩილი,
კიდევ ერთხელ ავენთები...
შენს მოძახილს გამოვყვები,
წლებს ჩავმარცვლავ ჭრელი ფერით,
მერე, თუნდაც მექცეს ცოდვად,
გამოგყვები ზარის რეკვით,-
ცეცხლმოდებულ გულს მოგართმევ,
კვლავ ფერხულში ჩავებმები,
ვითამაშებ ცოდვილ ევას,
თუმც ეშმას არ დავნებდები...

* * *

თვალმიუწვდომი სიშორე სულს ღლის
და შიშიანობს ჩიტისგულა ჩუმალა შიში...
სიცოცხლე ჩემი ალვის ტანია
შენი სიმაღლის რწმენად რომ მიღირს...
ცხოვრება ჩემი - რბოლის ფინიში...
ვარ შენი ხატი, უბრალოდ - ნიში...

მეგობარ პოეტს

არსად ხარ, სად დამეკარგე,
ფიქრი ლოდინში ვქარგე,
ოქროცურვილი ნართები
ცივ ნოემბერში ვთარგე...
შენ კი არ ვიცი სად ხარ,
სად გაგიყოლა ქარმა –
იქნება მუზებს დარაჯობ,
ლექსებს დაუგე სარმა...
მოდი ჩემთან და მიამბე,
ღიმილს მოვირგებ შარმად,
მოდი, ვილექსოთ ბუხრის პირს,
იქნებ, იდაროს დარმა.

9 აპრილი

გასხივოსნებულ აპრილის თვეში,
ცას რა ღრუბელი გადაეფარა!
სად ჩაიუანგა სიმტკიცე ხმლების,
ფარი ქართველ ერს რად არ ეფარა!?
ამ გადარეულ ყვავილობაში,
ჩამოწვა გლოვა, სევდა, წუხილი,
უცხო გრიგალმა გათელა სული,
ჩაკლა სიცოცხლე, გძნობა, სურვილი...
სიკვდილს ებრძოდა დილა აპრილის...
მზე დარცხვენილი... წვიმდა ცრემლები...
და მაინც იდგა ძალა ერთობის...

გაზაფხული

გაზაფხული ჭრელა-ჭრულა,
არხევს სულის სამხილებს,
მთის ბილიკებს აფერადებს,
იის სურნელს აპკურებს,
არჩევს კაბებს საპატარძლოს,
საქორწინოდ კატრიონს,
მზის ათინათს შემოავლებს
ცვარდანამულ ალიონს...
გაზაფხული, ჭრელა-ჭრულა,
რას არ ჩაგადენინებს,
ოცნებებს და ყველა ნატვრას
ურცხვად გაგამხელინებს...
გამაბრიყვა, გამიყოლა,
გვირგვინები ჩამაწნა,
ყვავილებით მოჩითული
ჭრელი კაბა ჩამაცვა.
ფიანდაზად დამიფინა
ცისარტყელის კამარა,
ოცნებები გამომპარა
მაცდურივით მატარა...
არ მაკამარა თვალის ჩაკვრა,
გამიყოლა ლანდად –
ხან ღიმილად დავიღვარე,
ხან უსაზღვრო დარდად...
შევიფერე მზის ფერები,
თან სიმორცხვეს ვმალავ,
მინდორ-მინდორ ყვავილებით
მწვანე ატლასს ვქარგავ.
იქ ტირიფებს ვეჩურჩულე

ვიხალისე ანცად,
გავუმხილე რა ძნელია
სიჩუმე და მალვა...
აწყვეტილმა წყლის ტალღებმა
ჭორისჭორად გამთქვა,
დაკვირტული ყვავილები
სულ სიცილად დასკდა...
გაზაფხული ჭრელა-ჭრულა
თავნება და მზეწვია.
ისე ჩუმად მომეპარა,
ისე ჩუმად მეწვია...
არ ვიქნები დამნაშავე,
მეყოლები ფარად
ყვავილებით მომიქარგეთ
საპატარძლო კაბა...

* * *

სიმშვიდე ნიღაბია, გულს ნაფლეთებად შლის,
სევდა ტკივილია და დრო ულმობელი, - არაფერს ინდობს...
ჭკუაში ვიხდით ძვირს, თუმც ჭირდება ვის!?
ფორტუნა იმედია და ითხოვს წილს,- ძაფივით აბამს სიმს,
რისკებს გვპატიობს ვინ?!... სიცოცხლე ზვარაკია,
ცხოვრება თამაშია აზარტული და ბედი ბედენაა,- გვხდის...

თითქოს ზღაპარ იყო...

ნეტავი ასე რატომ მენატრება,
ჩემი ბავშვობის წლები,
ჩემი ქვიშხეთი, ჩემი მთაწმინდა,
ჩემი ოცნების მთები...
მინდა მოვეფერო მიწას და ბალახს,
პურის თავთავებს და კალოს,
ბავშვივით მოვირბინო ეზო-კარმიდამო,
ჩიტის ბუდეები ვთვალო...
დედა მენატრება, დედა მილეული,
მაინც დედაბოძად მდგარი –
მუდამ მოფუსფუსე, ღამეგათეული;
ცხელი თონე და ძარი,
პურებს მოჩენილი ჩვენი ეზოს ძაღლი,
ყელყელა სურაში წყაროს ცივი წყალი,
ჩემი კბილა გოგო – თეთრი მეგობარი
კალთა აწეული სავსე მწიფე ბალით...
თითქოს ზღაპარ იყო – ისე მომენატრა
ჩემი ორღობე და ჩიხი...
ჩემი მეგობრები უნდა ვინახულო,
უნდა მოვირბინო ლიხი;
უნდა ჩავიბნიო თეთრი ენძელები,
ბავშვურად აწეწილი თმებში,
ნიავს ავედევნო, პეპლებს მოვეფერო,
მზის სხივს ვეთამაშო სხვენში.
უნდა შევაგროვო ასკილი და
ლურჯად შეთვალული კვრინჩხი,
თორემ გამაგიჟებს მონატრება,
თორემ გამიჩნდება შიში...

წლები გასულა, დროს გაჰყოლია,
ვქარგავ ხსოვნაში ბედნიერ ღიმილს,
მე ჩემი სოფლის მთები მეძახის
და შორეული შრიალი ვერხვის...

* * *

სადღაც მიფრინავს ჩემი ოცნება,-
ლურჯი ფრინველი და ფიქრი მთანგავს:
ო, იქნებ სადღაც ჩაიფერფლა გრძნობების ცეცხლი,
ან იქნებ ჩაქრა... და კვლავ დავრჩები მე ისევ მარტო,
როგორც ოდესღაც, შეჩვეულ თმენით
გავათენებ ღამეებს თეთრად...
მექნები დარდად და ლამაზ დღეებს, -
ნაზ მოგონებებს ავანთებ სანთლად
და მივენდობი ღამის სიჩუმეს,
როგორც მეგობარს... ისევ დავრჩები
უშენოდ, მარტო, როგორც ოდესღაც...

პაპაჩემი

მე ერთი პაპა მყავდა,
იყო უბრალო, ქველი,
გულის კარს ფართოდ აღებდა,
ღიმილი ჰქონდა წრფელი.
იყო გულუხვი, მართალი,
მოქეიფე და მთქმელი,
უყვარდა კარგი მოლხენა
„ხელის დაბანა ხელით“.

სისხლში გამჯდარი ჰქონდა
ნედლი სურნელი მიწის,
ნიშა ხარივით გამწევი,
მისი ერთგული ჯიშის.
ეხერხებოდა ღონივრად
გუთნით გაყვანა კვალის,
ოფლით გაპოხილ მიწაზე
თესვა კეთილი მარცვლის...
სულაც არ იყო ხარივით
თვინიერი და მშვიდი,
მტერს მტრულად შეებმებოდა,
არ ექცეოდა რიდით,
არ დაუთმობდა ერთ გოჯს,
მიწას, გაჟღენთილს სისხლით...
„ახლა შენ ხარო პატრონი“,-
დამადებინა ფიცი...

დაიბადა 1982 წ. ხაშურში. 2005 წ. დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის ფილოლოგიის ფაკულტეტი.

2007 წ. დაამთავრა ამავე უნივერსიტეტის მაგისტრატურა.

ამჟამად ცხოვრობს ქვიშხეთში. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

მზისა გოგალაძე

მონატრება

(დედას)

ჩვენს შორის მანძილს ნაბიჯებად აკეცავს ქარი.
მე ოცნებაში შევინახე შენი სახელი...
ო, სანატრელო, ჩემს ოცნებას არ უჩანს ბოლო,
ქარი მომტაცებს მე გულისთქმას ლოცვად გამხელილს.
შეეჯახება გზად ერთმანეთს
ქარებისაგან მოპარული ჩურჩული ჩვენი.

ირაკლის

გაჩნდი ამ ქვეყნად
ბედნიერებას თუ ვინატრებდი,
ამხელას ნეტავ?
სხვა შინაარსი მიეც სამყაროს,
შენ - შვილი ჩემი, მე - უკვე დედა!
გიმზერ, ციცქნაც ხარ, უზარმაზარიც,
შენა ხარ ჩემი ცაც, ზღვაც და მიწაც,
ბედნიერია ჩემი სამყარო!

* * *

გულსევდიანი პოეტის მზერით
წამი წამებით გადაჰყვა მზეწამს
და საოცნებო - სანატრელ ფიქრით
ვიღაცა თავის ცხოვრებას ძერწავს.
მზეკაბანისას დავეძებ რითმებს,
მზეკაბანისას ზეცა დიდია,
მართალი იყო, ცრუს უწოდებდნენ
ამ ცხოვრების მე ვერ გამიგია.
თავგამეტებით დაჰკრეს ზარებმა,
ჩამოდის ზეცა მსუბუქ დარჩებად,
რა საჭიროა გქონდეს სიცოცხლე,
უსიყვარულოდ თუ გეხარჯება!

შვილებს

შენ რომ ხატავდი ცხრათვალა მზეებს,
მზე ჩემს გულშიაც აენთო უცებ!
თვალს ვადევნებდი ზღაპარულ სამყაროს -
შენი თითებით მოხატულ ფურცელს!
შენ მზეს აცოცხლებ ბავშვურ თითებით,
ჩემი სამყაროც ცოცხლდება მზემდე!
დე, ხატე! ხატე ცისფერი ზეცა,
სამყარო ვრცელი და ჩემს გულს ენდე...
რომ დედის გული დაიტევს მრავალს,
შენგან მოხატულ მზეების სითბოს,
შენი ნახატი-ჩემთვის ნახატი
თვით მზეზე უფრო თბილია თითქოს!
ო, აფხაზეთო

შენზე წუხილით ძალგამოცლილი
გული - გრძნეული გაათევს ღამეს.
ო, ათხაზეთო დაგითმობ გულსაც
თუ შენს იარას უწამლებს რამეს...
მიწას დაღვრილი ქართული სისხლით
ტკივილებს მოვქსოვ შენს წამლად, ერთო,
ოღონდ მოშუშდეს, ოღონდ მოშუშდეს
შენი იარა, ო, ათხაზეთო!

* * *

მზეს დაუბერდა ოქროს საგულე,
ჟამი მოდის და ჟამი წავიდა...
საუკუნეთა ორომტრიალში
ჩვენც ვიბადებით თითქოს თავიდან.

დაბადა 1957 წლის 21 ივნისს, ქ. ხაშურში. 1982 წელს დაამთავრა თბილისის 82-ე სამედიცინო სასწავლებელი;

ჰყავს მეუღლე და სამი ვაჟიშვილი.

20 წლის ასაკიდან წერს ლექსებს. წერის მიზეზი: მონატრება, სიყვარული, ტკივილი,...

ეთერ გონგლაძე

ჩემი გაზაფხული ხარ...

გულში დაზამთრულ სევდას
მოყვასის სითბო შველის
და გაზაფხულმა შენით
გამომიწოდა ხელი...
მომხვია, წამომაყენა
ნამი მაპკურა ცისა,
იების სურნელს ვადარე
სურნელი შენი თმისა,
ატმის რტო ყელმოღერებით
ყვავილს ბაგეზე გათოვდა,
მზის სხივი შენი თვალებით
მანათებდა და მათბობდა.
უნაპირო ზღვა, ლურჯი ცა
შენით ხიბლული რაცაა
მღერიან, გაზაფხულია
გაზაფხულია... რა ცაა...

ფიქრით და გრძნობით, ფარულით,
რითმებად შემოპარულით,
შენ, გაზაფხული გიწოდე
მიყვარხარ! მიყვარხარ იცოდე!

* * *

იმდენად ერთ სულ, ერთ ხორც სახლობენ
ჩემში შვილნი და სამშობლო ტკბილი,
რომ ვგრძნობ: სამშობლო ჩემი გულის ფეთქვაა,
შვილები - სულის ამოძახილი...
მამული ჩემი წინაპართა მძლავრი ფესვია,
შვილები, ჩემი, - ამ ფესვებზე ნაზარდი ნერგი
და მათ ძარღვებში, ვით მირონი, სისხლი ამაყი
მოჰყივის, მოსჩქეფს, ვითარცა მტკვარი,
ალაზანი, რიონი, თერგი... და, განა ძალმიძს
ერთურთისგან მათი გაყოფა?!
ორთავ საფიცარს დავულოცავ იმერ - ამიერს!...
ძლიერ ფესვებზე კვლავ ხარობდეს ნერგი ძლიერი,
დე, უკუნითი - უკუნისამდე, მრავალჟამიერ!...

არჩევანის უფლება

სულით-ხორცამდე შეძრული ვარ
იმგვარ ფიქრებით, -
რა ვიყავ, ვინ ვარ,
ან მომავალში ვინ ვიქნებით,-
ეს ღმერთმა უწყის...
არ მახსოვს, მაგრამ

ვგრძნობ წარსულიდან,
გულს მაქვს რაღაცა ნაიარევი,
ადამის ცოდვით დამძიმებული,
თავად ცოდვილი დავიარები...
არ ვიცი, მაგრამ თუ მომავალმა
მაქცია გედად, გედად ეულად,
ვიმღერებ შენთვის დაისის მიმწუხრს
და მომისმინე გამორჩეულად...
იქნებ ცხოვრების ორომტრიალში
გეწვიო ფიქრის ლამაზ ხვეულად,
მაქციე ლექსად, ლამაზ სიმღერად
და შემიყვარე გამორჩეულად!
წლების სიმკაცრით შეჭირხლულ მზერას,
შეაფერადებს თოვლის ფიფქები,
ჭაღარა თმებით შენს წინ მთრთოლვარე
ეს თოვლის ფიფქიც თავად ვიქნები...
თუ არ ვეწამე, როგორც ცოდვილმა
და არჩევანის მომცეს უფლება...
მე მოვალ შენთან, კვლავ როგორც ქალი,
შენ გარდა ვერვინ დამეუფლება...

უკიდეგანო სიმარტოვეში

მთვარემ ღრუბლებში დაიდო ბინა,
საოცრად ბნელა, საშინლად მცივა...
ფიქრმა სევდიან გზებით იარა,
ჩამოწვა გულში როგორც იარა
და უსაშველო ლოდინით დაღლილს
სევდა - ნაღველი გამიზიარა.

დამსხვრეულ იმედს ცრემლების თოვა
წამწამთ შეყინულს მძივებად შვენის,
ვხუჭავ თვალებს და, როგორც ყოველთვის,
ზღვა სიყვარული იწყება შენით,
და შენით სავსე ბავშვობის ხილვებს
ქარი ლანძავს და შორეთში მიაქვს,
წლებს რომ შემორჩა ასე სათუთად
ამ მონატრებას ნეტავ რა ქვია?!...
ცრემლი იყო თუ წვეთები წვიმის,
ქარში მღეროდა ნაცნობ „არიას“,
უკიდეგანო სიმარტივეში
შენს ხილვას ვთხოვდი....
სიყვარულს ვთხოვდი....
შენდობას ვთხოვდი
წმინდა მარიამს.

* * *

მე შენი ერთი მზერაც მათბობს,
თუნდაც უსიტყვო...
მთელი სიცოცხლე დაგფოფინებ,
როგორც ფერია,
ცისა და მიწის გასაგონად ვყვირი:
- მიყვარხარ! რომ ყოფა ჩემი
უშენობით არაფერია!
შენა ხარ ჩემი სასთუმალი,
გულის იარა... როგორ აგიხსნა,
ფიქრმა შენსკენ რარიგ იარა,
შემყვარებიხარ გულით,
გონით, - თვალით კი არა,
თვალებით მხოლოდ

შავ-თეთრს ვარჩევ,
გრძნობას კი არა.
გულს ვერ უბრძანებ,
გული გულია,
თუნდ იყო კაცი, ერთობ რთულია,
რისთვის ვიკითხო, კარგო, - ვინა ხარ?
მთელი სიცოცხლე როცა მიყვარხარ,-
სწორედ ისეთი, სწორედ ისეთი,
სწორედ ისეთი, როგორიცა ხარ!
დავეხეტები... ფიქრს არ აქვს ბინა,
უშენოდ გული მთლად გაიყინა...

* * *

თუ გიყვართ, მასზე ფიქრიც კი,
ისეთ ღიმილს დაგფენს სახეზე,
აღარც კი იცი, სად დამალო მეტყველი მზერა,
გაბადრულ სახეს გადაისვრი
სარკმლის გადაღმა დაეძებ თვალებს
და იპოვნი, რატომღაც გჯერა...
მშფოთვარე სული არ მოგასვენებს
და გზააბნეულს, მასთან შეხვედრის
იმედებით გატარებს დიდხანს,
შინაგანი ხმა ამოგძახის: - რა გემართება?!
თუ ღირს ის ვიღაც ამ გრძნობის ფასად?!
ან, თავად ვინ ხარ!
- ნუთუ ამ სითბოს მრუშობასთან რამე ხელი აქვს!?
ნუთუ ვერასდროს გაიგებენ ამ გულის გლოვას?!
მინდა მჯეროდეს, რომ სიცოცხლის დასასრულამდე
ცხადად თუ არა, სიზმრეულად უთუოდ მოვა...
მოვა და მოგიტანს ზღვად ქცეულ სიყვარულს...

მოვა და მოგიტანს უნაზეს მზერას...
მოვა და სალბუნად ედება შენს ტკივილს,
აჩუქებს სიცოცხლეს ამ გულის ძგერას...
არა მსურს, გახდე სხვათა ალერსის მონა - რჩეული,
წაგლეკავს ნება უსიყვარულოდ, სატანისაგან გადარეული...
მსურს რომ დაგიდგა სიყვარულით ტახტი მეფისა,
ღვთის წყალობაა,- შენი სითბო თუ კვლავაც მეღირსა...

მიყვარხარ...

ცოტაც და გაიზაფხულებს
გულს მოიბრუნებს მზეც,
ეს სუსხიც დაგვავიწყდება
ყველას, მათ შორის მეც...
მემახსოვრება უდავოდ,
ყველგან, ღამეც და დღეც
როგორი ცეცხლით მათბობდა,
სიტყვა:
- მიყვარხარ, მეც!...

* * *

ცა ჩამოქცეულ ცივ ღამეს
დასველებოდა პერანგი,
შენზე ფიქრები მართობდა,
არაშმაგი და ვერაგი;
თვალს რული დავიწყებოდა,
სულში ხანძარი ენთო,
გული კვლავ იმეორებდა...
რა ვქნა, მიყვარხარ, ერთო...

* * *

დღე მშვიდობისა! - როგორ ხარ?
ჩვენთან წვიმს, ცივი დარია...
მომნატრებიხარ, მიყვარხარ...
რა ვქნა, რა ჩემი ბრალია?!...
მინდა, ცეცხლი სიყვარულის,
მარად გულში კიაფობდეს,
არა გახმეს, ვითარც ჩირი,
ფას დაკარგოს, იაფობდეს...
შენზე ფიქრები მათოვს და,
მათბობს, ნატვრადაც შევიცან,-
ამ სამყაროში, მარტოდენ,
ყურში მესმოდეს შენი ხმა...

* * *

მზიანი დარია, გულს უხარია,
შენი ბრალია, მიყვარხარ!..
წვიმაა... ქარია.. ოცნების ბრალია,
ჩემს ოცნებებშიც მიყვარხარ!..
გინდოდა, გქონოდა პატარა გალია,
გულმა შენ შემოგინახა...
შენ ტყვე ხარ ამ გულის, დიდი ხანია,
რა ვქნა, თუ დღესაც მიყვარხარ?!
მოგწერ ბარათებს, ცეცხლით დანანთებს,
შენზე ფიქრს არ აქვს თავი და ბოლო,
სამყარო ჩემი, ასე ლამაზი,
შენი თვალებით შევიცან მხოლოდ...



შოთა დარბუაშვილი

პოეტი, მუსიკოსი, ჟურნალისტი, პუბლიცისტი. დაიბადა 1955 წლის 8 მაისს, ცხინვალში. დაამთავრა ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი. ცნობილი საესტრადო როკ-ჯგუფის „ბონვარონის“ (ცისკრის ვარსკვლავი) ერთ-ერთი დამაარსებელი (ოთხეულის წევრი). 1988-90-წლებში სამხატვრო ხემძღვანელი. ხუთი პოეტური კრებულის ავტორი. საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი. ეწეოდა აქტიურ ჟურნალისტურ მოღვაწეობას. მინიჭებული აქვს საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის წოდება და ივანე მაჩაბლის პრემია. ამჟამად მუშაობს დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმში.

ბროწეულის ცრემლები... ანუ, სი მინორი...

ჭკვიანი ვირი, ორჯერ ვირია
და ეს ქვეყნისათვის, ნამდვილად ჭირია!..
გაღმიდან - აქეთკენ, ძლიერად ყვირიან,
აქ პური და ღვინო, ისედაც ძვირია...
არ მინდა, - არც აქეთ, არც იქით - ფიქრები,
ხვალიდან, დღეიდან, მე ჩემთვის ვიქნები...
ესენი, ყველანი, მე კარგად მიცნია,
ახალი სახენი და - ძველი პარტია...
მოდიან რაჯები, ან იქნებ ქაჯები?!..
მოგველის მგონია, ახალი სასჯელი...
დღევანდელ მუსიკას რად უნდა ნოტები,
როცა გვყავს ამდენი, ჩვენ „პა-ტრი-ოტები“...
მღერიან... მთავარი სოლისტი აჯაზებს,
რა დაღლის სცენაზე ამ ახალ ჯამბაზებს?!...
ახტები, დახტები თუ ჩაილახტები,

მარჯვნივაც, მარცხნივაც, გვხვდებიან კახპები...
ვეღარ ვსჯით, ვერცა ვჭრით, გაღმა თუ გამოღმა,
წაგვლეკავს, ნამდვილად, ჩვენ შური და ბოღმა...
ძველებს არ სწყალობენ!... ახლებს კი, ჰკიდიათ,
მათთვის ელ-ტონ ჯონი მთავარი გმირია...
როდესაც ვიკითხეთ, რა მოხდა ნატანებს?!-
ადგნენ და სოც-წყობის ქვეთავი გან-გან-დეს...
მერე კი, დათესეს აქ დემოკრატია...
მას შემდეგ შევცქერით, ჩვენ, ამდენ რეტიანს...
ლენინი, სტალინი, ტროცკი თუ ბერია,
ასეთი ამ დროში, ნაკლებად ბევრია...
ამბობენ, „მაღალი“, ამისი კენტია,
არსებობს ასეთი საშიში ვერსიაც...
მას, ვისაც აწუხებს ამ ქვეყნის იღბალი,
უნდა წავიდეს ან, - მოირგოს ნიღაბი...
ვცხოვრობთ „ასე“ და „ისე“კი გვგონია,
აქ უმუშევარი, რამდენი გონია...
იქნება ეშველოს დევნილთა ქვეყანას
და გახდეს არა-ქვე, არამედ-ზე, ყანა!
აქ ხელოვანებიც, ზოგადად, წვალობენ,
ცოცხლებს არა და, მკვდრებს მაგრად წყალობენ...
სოფელი ვაშენოთ, მანდ არის საშველი,
მაგრამ რომ არა ჩანს დავითი, აღმშენი?!...
ვურჩევდი, იმათმა შეწყვიტონ ცოცვანი
და გონზე მოვიდნენ, იკითხონ ლოცვანი...
სულ მალე ავირჩევთ ჩვენ ახალ პრეზიდენტს,
ჰე, ბიჭო, ქართველი არჩიე რეზიდენტს...
ახლა კი, გავლექსავ მე ჩემს ძველ ძმაკაცებს,
კეთილი ხალხია და ძლიერ ვაფასებ...
დავითი გამხდარა წონაში ნაკლული,
ნამდვილი ნიჭია, ამ დროში დაკლული...

ზაზამ დაივიწყა სუფრაზე „ტოსტები“,
გველეშაპს შებმია თავისი პოსტებით...
გივი კი, ყველასთვის, მაშველი რგოლია,
ეს მისი ცხოვრების მთავარი როლია...
მევლუდი სახეა, დღეს, ჩვენი თეატრის,
ის ბევრის მომსწრეა, როლები მოუდის...
რობერტი, ამ დროში, საჯარო კაცია,
აღელვებს დევნილთა ლტოლვილიზაცია...
გუჯიკომ გიტარას გაუბა სიმები,
აშენებს, ოჯახის ის არის იმედი...
აბა, ჰე!.. აბა, ჰო!- ავიღოთ სი მინორ,
ბუბას ხომ უმართლა და გახდა მი-მი-ნო...
ეს იყო, რაც იყო, მეც მოვრჩი არაკებს,
დღეს კმარა, მეტს უკვე, ნუ მალაპარაკებთ...

ქალბატონო...

კარზე შენი შემოდგომა ჩამომდგარა,
ქალბატონო მგონი ხანში შედიხარ,
გაზაფხული გადაფარა ზამთრის დარდმა,
მაგრამ ახლა უფრო მეტად ჩემი ხარ.
ვერაფერი ვერ გაჩუქე ლექსის გარდა,
გავბედე და შეგიხსენი საკინძე
და ლექსებში, მე ის ქალი, ვინც მიყვარდა,
ვნებიანად ჩაგეკონე, აგკინძე.
სექტემბერი გაიტაცა ზამთრის ქარმა,
დამათოვა თოვლის თეთრი ფანტელი,
ქალბატონო, ახლა უკვე გვიანია,
ვნებას მიკლავს ზამთრის კორიანტელი...

ნანატრი დილა

ცხინვალში, როცა გაზაფხულს ემატებოდა მწვანე,
როცა აპრილის პაემანს უთვალთვალებდა მთვარე,
ისეთი წვიმა იცოდა, ციდან სიყვარულს ხსნიდა
და წუთისოფლის იგავის,ბოქლომს, ამ მადლით ხსნიდა.
ემბაზი იყო ცხინვალი, ტაძარი - სავსე მრევლით,
ვინ მომადევნებს საკმეველს, მუხლში წყალჩამდგარ დევნილს?!
აქედან ვქსოვდი სამყაროს, დილა-მშვიდობის მადლით,
ჰაიდა, წუთისოფელო, რატომ ამავსე ჯავრით?!
ცხინვალში, როცა ზამთარი ფანტელს ლექსებად თოვდა,
ჩემს მეგობრებთან სტუმრობას აღარაფერი ჯობდა!
ჩამოირბენდა სუფრაზე ღია რიალი ძმური,
ჩვენში არ იყო ბეწოზე, ბოროტება და შური...
ოსურ ხაბიძგინს ზალინა,მოაყოლებდა მწნილსა,
„შახარაჯინსა“, „ფიტჯინსა“, ოჯახში ჩვენი ძმისა,
ხორბლის არაყსაც ჩავკრავდით,მივაყოლებდით ლუდსა,
და ჩვენებურსა, დირგულას, რომ გვიწითლებდა ცხვირსა,..
ღამით, გვიანით, სიმღერით, ავუყვებოდით ქუჩას,
ებრაელების უბანში, გავაგრძელებდით ლხინსა,
ვალმერი პირველს იტყოდა, მეორეს გივი, გუჯა,
ჰამლეტი, ღუღუნა ხმითა, სულს გაგითბობდა, გულსა,
დათო, ზაზა და მევლუდი, აგუგუნებდნენ ბანსა.
ოსურსაც შემოვძახებდით, აქ, ბესო გვედგა მხარში,
და მივდიოდით ბიჭები, გულკეთილები სახლში...
ყოველი სახლის სარკმლიდან თვალთა სინათლე ცრიდა,
შემოდიოდა ცხინვალში, ასე ნანატრი დილა.
ასეთი იყო ცხინვალი, დარბაისლური, თბილი,
ო, როგორ მომნატრებია მისი ბადაგი ტკბილი,
ცხინვალში, ასე, გაზაფხულს ემატებოდა მწვანე,
კვლავ მინდა, მისი სურნელით, რომ გამითენდეს ღამე!

შენ და შოპენი

შენს სახლში ახლა უკრავენ შოპენს,
ჰქრის კლავიშებზე შენი თითები
და სადღაც იქვე ქალაქის ქუჩებს,
დაუფლებიათ მშვიდი სიზმრები.
ეს სიჩუმეა, ამ მელოდიას,
ყურს ვუგდებ ახლა იმ მოგონებით,
მე ანგელოზი შოპენი მიყვარს,
და მაპატიე, რომ ვემონები...
მე ანგელოზი შენშიაც მხიბლავს,
ვთრები სიცოცხლის უსაზღვროებით,
შენს შიშველ მხრებზე ვერცხლს აფენს წვიმა,
ვემშვიდობები შოპენს დროებით..
დილის რიჟრაჟი, ცისკრის პალიტრა,
რეალობით და მელოდრამებით,
რა უცნაურად მიმოფანტულა
ეს აღტაცება შეუდარები.

ბროწეული

ბაღში ვზივარ, მივცემივარ ფიქრთა მორევს...
მოდის ქალი თან ყალიონს მ ო ა ბ ო ლ ე ბ ს...
შემომხედა, თვალი მომჭრა მისმა მზერამ რა მიყო და -
გამაოგნა, გამაშტერა! ქალი იყო, შვლის ფეხა და ნუშისთვალა,
კაცი ვარ და მეც სხვა ფიქრმა ა მ ი ტ ა ნ ა...
მკერდი ჰქონდა, - ბროწეულით სავსე ხონჩა,
ახლა სხვა გზა იწყება და, ფიქრი მორჩა!

თეთრი იასამანი

გახსოვს ჩვენი ქალაქი,
ჩვენი ეზოს სამანი
და სურნელი ქუჩებში,
თეთრი იასამანის.
მზის და მთვარის ქორწილი -
ცა, ნეტარი ფერებით...,
მერე, დროის ცვლილებით,
დილა - გარდაცვალებით...
იმ ცხოვრების ავ-კარგით
ავაშენე შენობა...
დედაჩემის ნაქარგი,
კაბა როგორ გშვენოდა...
ქარი, ფოთლებს, სარკმელთან,
ნებით ამიფრიალებს,
გულის წადილს გაგიმხელ,
მონატრება იალებს...
და იქ, გულის სიღრმეში,
სადაც მარტო სულია,
უშენოდ ხომ პოეტი,
დიახ, მარტოსულია...
მახსოვს წრფელი წუთები,
ის დღეები მღელვარე,
ო, რა გოგო იყავი,
ნაზი, თანაც ელვარე.
ისევ ჩემში ხმიანობს,
მოგონება წარსულის,
ჩემი ამაყთვალება,
ცხინვალელი ასული...
დღეს კი არაფერია,
იმ ყველაფრის პასუხი, -
მენატრება ცხინვალი,
ჩემი სინდის - ნამუსი!
გახსოვს ჩვენი ქალაქი,
ჩვენი ეზოს სამანი
და სურნელი ქუჩებში,
თეთრი იასამანის..

შენკენ

წვიმების მერე ვიმშრალებ თვალებს
და ასე ჩემში შემოდის დილა,
შენ მახსენდები სევდის სიშორე,
ოცნების ქალი, მზე, არსაიდან...
დრომ ვერ წალეკა თვით ხსოვნა შენზე,
ვსვამ სადღეგრძელოს შენი მშვენების,
ჩემი ტირიფის მტირალა ტოტზე

შემოსხდებიან წვიმის ცრემლები..
მე ძველისძველი მახურავს ქუდი
და ვდგავარ ასე, ახალ სცენაზე,
რადგან იმედი არროდეს კვდება,
მეც ვფიქრობ შენკენ გადმოფრენაზე...

ნუ გადამივიწყებ...

ღრუბელი აივანზე ქარმა შემოდენა,
სტრიქონს ვწყვეტ მეხუთე ხმოვანზე...
ნუ გადამივიწყებ, ახლა მაისია,
ნუ გადამივიწყებ ხსოვნამდე;
შენ ხარ ათინათი, გრძნობით სავსე მნათი,
ცხოვრება მდუმარებდა აქამდე,
ბედი უშენობით თითქმის განწირული,
ისევ დამიბრუნე, გადამდე..
ნისლი მორევია მყინვარს, მთაქათქათას,
რაღად ამირიე აზრები?!
უკვე ხელისგულზე ფეთქავს მომავალი,
ვფიქრობ, აღარა ვართ ბავშვები!
ერთად გავიაროთ ჩვენი გასავლელი....
შევხვდით ციცაბო კლდის კიდეზე,
ახლა უშენობით გრძნობადაზაფრული
ვზივარ მოლოდინის კიბეზე.

* * *

ის დრო ჯობდაო,
მეტყვი დაღლილი
და შემეხსნება
მეც ხსოვნის ღილი,
ახლა ორგულთა
თრთოლვის ჟამია,
შემოპარულა
ცბიერი ხიბლით.
ჩვენი სამშობლო-
თავისუფლება!
თავისი კითხვით,
თავისი ვიშით,
სიტყვის და საქმის
ყველა უფლება
თავისუფლება,
უფლების იქით!..
და მოგონების
იმ თეთრ მინდორზე,
ვეღარ ვიხსენებ
მას ვინც მიყვარდა,
ეგებ შენ გახსოვს
სიმღერა მგზავრზე,
პაემანზე რომ
დააგვიანდა...
გახსოვს ძველი დრო
და ჩვენი ბაღი,
რეპეტიცია
„პოპი“ და „როკი“

ჩვენი ბავშვობა,
მერე ბიჭობა,
მუსიკოსობა
საბჭოთა დროში?...
დავდივარ წვიმას
ვუყვები ზღაპარს
და ვეღარ ვამჩნევ
სხვის კარზე მდგარი,
ის დრო კი არა,
ის წლები ჯობდა,
ახალგაზრდები
ვიყავით მაშინ.
ყველა ბორკილი
შეატყდა ზამთარს,
ვარ ამ ცხოვრებით
დამღადასმული,
დევნილი კაცის
დრო და საათი,
„მარადისობის
ტოლია თითქმის“
ნისლი ჰფენია
ქართლის სანახებს,
დგას საუკუნე
მდუმარედ ფიქრში,
დემოკრატია
აქ დემარშია,
თუმც არაფრისგან
ამ დროში ვიშვით.

დაიბადა 1953 წლის 1 იანვარს ქარელის რაიონის სოფელ დირბში. 1970 წელს დაამთავრა ადიგენის რაიონის სოფ. მოხის საშუალო სკოლა. 1974 წელს - ა.ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ბიბლიოთეკათ მცოდნეობის ფაკულტეტი. 1979 წლიდან ცხოვრობს ქ. ხაშურში.

ჰყავს სამი შვილი და ერთი შვილიშვილი.

დარეჯან თაგვაძე

უკვდავება

სისხლიან თათებს გაილოკავს ლურჯი აპრილი;
დედამიწის ცრემლს - ზღვას
მზე უხმოდ მიეფარება;
გაიჟღრიალებს მრავალთათვის
ჯერაც უცნობი, უხმო მინორი
და ყოველივეს დაერქმევა გარდაცვალება.
გარდაცვალების მწუხარებით შეძრული სული
გაახელს თვალებს და მაისის დილას შეხედავს,
ამაოებას გაიაზრებს ნანახ კოშმარად
და წუთისოფელს კვლავ მაჟორის ნოტით შეღებავს.
ისევ იფეთქებს მწვანე ზოლი ცის დასალიერს,
ზურმუხტისფერი ფასკუნჯის ფრთად გაიშრიალებს,
გააჟრიალებს ყოველ სულდგმულს ცა საფირონის
და უკვდავება მთელ სამყაროს ა ა ხ მ ი ა ნ ე ბ ს!
ა ა ხ მ ი ა ნ ე ბ ს!

მკითხველს!

მწამს, არ გამკილავ,
კრძალვით მოვედი.
ჩემს სათქმელს უხმოდ,
ლექსებად ვართავ.
გულის კარები
თუკი გამიღე
მოგართმევ გრძნობებს,
ალალს და მართალს.
ვიცი, გაწუხებს მამულზე
ფიქრი;
ვიცი, შეიგრძნობ სამყაროს
ფერებს;
თუ დაგაფიქრებ, თუ
აგატირებ,
მე ბედნიერი ვიქნები მერე,
მწამს, არ გამკილავ,
ვეკუთვნი ნეტართ;
გთავაზობ აზრებს,
ლექსად მდუმარი,
დავაკაკუნე, კარი გამიღე,
შენ მასპინძელი,
მე კი - სტუმარი!

* * *

პოეზია - გაოცება,
პოეზია - ზღაპარი;
პოეზია - სიყვარული,
პოეზია - ლამპარი;
პოეზია - გაოცება,
თეთრი ფიქრი საგანთა,
პოეზია - აზრთა წყება,
ფიქრი დაუსაბამო...

ღელავენ ტალღები

„წინაპართაგან წასულა ყველა“...

ბავშვობა... მდინარე...
კლდის თავზე ცაცხვები;
ზუზუნა ფუტკარი,
წინა წლის თესლები –
მრავალზე მრავალი;
სიცოცხლე, სიკვდილი
და მალვა გრძნობისა –
ნაპარეევ ცხენივით –
დრო უხმოდ სავალი,
მოქუხდა მდინარე,
ღელავდნენ ტალღები,
მიჰქონდათ ბავშვობა,
ლამაზი სიზმარი.
ისევ ქუხს მდინარე,
აღარ ჩანს ფუტკარი,
ვერავის ვერ ვხედავ,
არავინ არ ჩანან,
არ ისმის ბავშვების
სიცელქის ყიჟინა,
კლდის თავზე ლამაზი
ცაცხვები გამხმარან.
კვლავ მოქუხს მდინარე,
ღელავენ ტალღები...

დროის სონატა

მზეც სადღაც გარბის,
ზღვაც ძლიერ ღელავს,
მთვარესაც სადღაც მიეჩქარება;
დრო დროობს უხმოდ,
ცა რჩება ცადა,
ზუზუნით ქრიან
სველი ქარები.

* * *

გასხლული ვაზიდან ცრემლები
კალთაზე მეყრებოდა.

ვაზო, რასა მეტირები,
კალთას მივსებ ცრემლით, რადა?!
ვიცი, შენი ცრემლი რომ ღირს
გაზაფხულის ლექსის თქმადა.
ვაზო, შე რქადაგრეხილო,
იწურები ცრემლის ღვრადა,
მერე ყვავილს გადაიყრი
მწვანე-ყვითლად, მთვარისფრადა,
მარცვალ-მარცვალ აივსები
ტკბილი წვენით, ნელ-ნელადა
ხან ბადაგად მოწანწკარებ,
ხან ჩინჩხლებს ყრი მაჭრის თქმადა.
ხელადებს და აზარფეშებს
ჩამოფერავ ლალისფრადა,
ხმაში სილბოს გამოურევ,
ხან ბუზს აქცევ აქლემადა,
ხან ჭინჭყლობ და ხანაც მღერი,
ქრისტეს სისხლის ნათლულადა;
ვაზო, ვიცი, შენი ცრემლი
ღირსი არის ლექსის თქმადა.

* * *

ვუძღვნი მართალ კაცს, ბატონ გივი გელაშვილს

კარგა ხანია, ბავშვობის ბილიკს
დაშორდი უკვე, გავიდნენ წლები.
„აღარა შფოთვენ, ბევრი წყნარად წევს“,
ათასწლეულებს აცილებ, ხვდები.
შეიგრძნობ, ხატავ სიტყვებით განცდებს,
გაგება, ხედვა შენი ნიჭია
და მაინც კითხვით მიმართავ უფალს,-
რაა მიწაზე მოკვდავთ მისია?
შენც იზიარებ მამულის ტკივილს,
გხიბლავს ედემი, ლაჟვარდი ზეცა.
დარდით იხსენებ დედის ყავარჯნებს,
მშობელზე ფიქრით მიწვდები მზესაც.
ჯოჯოხეთიდან გაქცევას ლამობ,
გაწუხებს განცდა - „სამშობლოს სჯიან“.
ხსოვნად დარჩენილ ამწვანებულ ბელტს
დედა-შვილობის ტკივილი ჰქვია.
მუზების ტაძრის მკვიდრია სული,
წითელფეხება მტრედივით წვალობ,
შენ შენი წილი საწუთრო ზიდე
და ლეწე შენი ცხოვრების კალო.
აყვები თერხვის ქარების ქროლვას
ლექსად ჩამოწნავ სიტყვებს მთვარიდან,
პოეტის ენით გვესაუბრები
თავდადებულის ნატერფალიდან.

10.01.2009

წამებად ვკეცავ

მამულზე ფიქრი
გულის კოვზს ლოკავს,
სევდის ანარეკლს
ვისაგზლებ აწი.
ახლა არ ვიცი,
თუ რამე მომკლავს,
წარსულიც, აწმყოც
იშლება თვალწინ.
მომავლის რწმენით
დარდის ნისლს ვფანტავ,
დავრითმავ ლექსებს
იის მწკრივებად,
სევდის ანარეკლს
ჩირაღდნად ვანთებ
და სიხარულით გამეცინება.
განუშორებლად თან მახლავს გრძნობა,
ვუგზავნი გზავნილს მზემაღალ ზეცას,
დრო დროობს, უფლის საოცარ ნებით,
ნაომარ დღეებს წამებად ვკეცავ!

* * *

როცა იმედი უარყოფის უარყოფაა,
გავთელავ ამინდს ქარიშხლიანს, სევდას, მინორებს,
განვსხეულდები, კვლავ სიცოცხლის გზებით გავივლი,
ხედვას და განცდებს
ტკივილიანს გავიმეორებ.

* * *

წუთისოფლის ინტიმი,- გრძნობების სიმფონია;
ვარდის იდუმალება-სურნელის აგონია;
ზღვის სილურჯის ფირუზი-ცის უდიდეს სარკეში;
მადლი ქართულ მიწისა, ღვთისმშობელის
ნამწყემსი.
გულო, გულო, იხარე, ირგვლივ მწვანე ზოლია
და სიცოცხლედ ზეიმობს გრძნობების სიმფონია,
ვარდის იდუმალება –
სურნელის აგონია.

მე და ქუჩა

მე მიყვარს ქუჩა, სადაც თვით ვცხოვრობ
და სხვა ქუჩებიც ჩემს ახლომახლო,
ხან ღიმილით და იმედით დავალ,
ხან დარდიანი და სევდით ვსახლობ.
ხან მზის ამოსვლას ვასწრებ ქუჩაზე,
ხან სხვა ქუჩებით ვიმოკლებ სავალს.
მე ჩემი წილი ქუჩა მაქვს ქვეყნად
და ჩემი ქუჩით იმ ქვეყნად წავალ.

კრიტიკული ეტიუდი
გაბრიელ მარკესი „მარტოობის ასი წელი“

„კრიტიკა თავისთავად ხელოვნებაა.“
ოსკარ უაილდი

ამოუწურავი წარმოსახვის მქონე მწერალია გაბრიელ მარკესი. მას შესწევს უნარი, ჩვეული გულახდილობით აღწეროს ჟამი წარსულში, აწმყოში, მომავალში. „მარტოობის ასი წელი“ ფსიქოლოგიურად გაწონასწორებული მწერლის მიერ ამავე სტატუსის მქონე მკითხველისათვის დაწერილი წიგნია.

ამ ნაწარმოებში სიტყვების, აზრების, სიტუაციების გამომხატველი გაუთავებელი ნიაღვარია, რომელიც გზადაგზა ჩანჩქერად გადმოსკდება ხოლმე და ბროლის ნამსხვრევებად იფრქვევა.

მარკესს ხელეწიფება ბავშვური უშუალობით აღწეროს, მიუნჰაუზენის მსგავსად, დაუჯერებელი ამბები, გადმოგვცეს ისე, რომ თავიდან ბოლომდე შეინარჩუნოს სიკასკასე, გამჭვირვალობა. მას აქვს უფლება, თავისი შემოქმედებიდან გამომდინარე, თქვას: „ერთი ხელოსანი ვარ, ჩემი ნატვრაა ჩემს ოქროს თევზებში მოვკვდე დაღლილი, მივიწყებული, არაფრის მქონეო“, - როგორც მისი გმირი, პოლკოვნიკი აურელიანო ამბობს.

„მარტოობის ასი წელი“ მარკესის ერთ-ერთი ოქროს თევზია, რომლის ძირითადი პერსონაჟი ურსულაა; ქალი, რომელიც ოჯახის მთელი თაობების ფონად დარჩა. სწორედ ურსულას ათქმევინა ავტორმა, როცა აურელიანო მეორე შეეკითხა ბოდვაში ჩაძირულ დედაბერს, ოქრო სადა გაქვს დამალულიო. „-მოვა მისი პატრონი და ღმერთი აპოვნინებსო“.

დარწმუნებული ვარ, წიგნის ავტორს სჯეროდა, რომ მის ნაწერებში ჩამალულ ოქროს რიგიან მკითხველს ღმერთი აუცილებლად აპოვნინებდა.

ნაწარმოებში დავინახე კაცობრიობის ცხოვრების, არსებობის ტრაგიკული და, ამავე დროს, ხანდახან - სასაცილო, დაუჯერებელი ამბები; მწერლის ადამიანური თვისებები, შრომისმოყვარეობა, სიმამაცე, ერთგულება.

მწერალმა თავისეული ხედვით დაგვიხატა, რომ ცხოვრება ფანტასტიკაა, სწორედ ამ ფანტასტიკაში ნაპოვნი რეალობაა გმირობა, ადამიანთა არსებობის აზრი. აი, რა არის მარკესი ჩემთვის!

ციური ინასარიძე

დაიბადა 1957 წლის 18 აპრილს დაბა ასპინძაში. სწავლობდა ხაშურის მე-4 საშუალო სკოლაში. 1986 წელს დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. 2005 წელს დაამთავრა (გორში) ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის მათემატიკა-ფიზიკის ფაკულტეტი. ამჟამად ქ. ხაშურის მე-7 საჯარო სკოლის მათემატიკის წამყვანი პედაგოგი, ხაშურის მუნიციპალიტეტის ბავშთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრის ჭადრაკის წრის ხელმძღვანელი. ნორჩ მეცნიერთა და გამომგონებელთა პროექტების ხელმძღვანელი, სკოლის შემდგომი განვითარების სასწავლო პროექტების ავტორი, ნოვატორი პედაგოგი.

ცხოვრობს ქ. ხაშურში. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი. ლექსებს წერს 10 წლის ასაკიდან. ჰობი: ქარგვა, ქსოვა, მუსიკა, უყვარს ხელოვნება.

აფასებს ერთგულებას, სიკეთეს, სიყვარულს.

წუთისოფელი

წუთისოფელი მხოლოდ სიზმარია,
ცხადში აგვიხდება რაც არ გვინატრია
და თუ რამ გვტკივა, ან გვინატრია,
მხოლოდ წამია, წარმავალია.
ცრემლი-განსაცდელი ყველას გაუვლია,
მაგრამ საზარელი სულის სიკვდილია,
სიცოცხლე განა ადვილია,
სიცოცხლის შემდეგაც რაღაც გვავალია.
რაღაც გვავალია იმაზე მეტი,
რაც იყო ოცნება, რასაც ვერ შევწვდით,
რისთვისაც მიწაზე სულს გზავნის ღმერთი
და რასაც ჰქვია სიცოცხლე ჩვენი.

რა ენაღვლება წვიმას

ჩემს ფანჯრასთან აყვავდა ია,
მასთან ერთად დილის ვარდმა
სიცოცხლეს გაუღიმა.
ეჩურჩულება ქარი წვიმას-
როგორ უხდება ერთმანეთს
დილის ვარდი და ია.
გაგვახსენდება მე და შენ
ჩვენი ბავშვობა გვიან.
ქარები ქრიან, ქრიან...
ღრუბელს მოჰყვება წვიმა.
მეტად შორია შენამდე,
მაგ შენს სამყოფელს აქედან
მარადისობა ჰქვია...
მე გავიხსენებ ფეხის ხმას,
ნაბიჯებს ხმაურიანს,
სახეზე ალალ ღიმილს,
მზესავით ხალისიანს...
აქ უშენობა მკლავს და
სულ უშენობა მტკივა,
მანდ რას იხსენებ ნეტავ
რა დარდმა დაგაფიქრა?
ისევ ქარია, ქრის,
რა ენაღვლება წვიმას...
მართლაც უხდება ერთმანეთს
დილის ვარდი და ია,
როცა ორივე ერთად
სიცოცხლეს უღიმიან.

სანთლის ციალი

წლები სიცოცხლისა ისე ჩამოდნება,
როგორც თოვლის ფიფქი ხეზე დაფენილი,
წამი სანატრელი ისე გამშორდება,
რომ ვერ შეედრება ჩიტი გაფრენილი.
მირაჟს გავყოლივარ ქვიშის უდაბნოში,
გზაც კი ამერია გვიან ღამის ბინდში,
ისე შორს წასულა ჩემი სიყვარული,
რომ ვერ დაეწევა რაში დაოთხილი.
მაგრამ ოცნებები ჯერ არ გალეულა,
ისევ ისე ხარობს სიზმრად ახდენილი,
და ვერ დამავიწყეს წლებმა გარდასულმა
ნატვრა ერთადერთი გულში დარჩენილი.
აღმართს ავყოლივარ, რაც რამ ეკლებია,
ბილიკს მოსდებია, სულ წინ დამხვედრია.
თუმცა ტკივილები მარტოს მტკივებია,
სხვისი შეწუხება არც კი მიფიქრია.
ყველას გაჭირვება ჩემად მიმიღია,
ხშირად საკუთარი ლამის დამვიწყნია,
ჩემსას ეშველება, ბრძოლა არც ძნელია,
სხვას, რომ ვერ ვუშველო ამის მეშინია.
სხივი სიკეთისა სულს თან მოჰფენია
და თუ მიხაროდა, ან თუ მტკივებია,
ღმერთთან სამდურავი ხომ არ დამცდენია?
რაც ჩემი ყოფილა უფალს მოუცია.
რადგან მავანთათვის მდორე მორევია,
წლები სიცოცხლისა სწრაფად ჩაიქროლებს,
როცა ცოდვა-მადლს მისხლობით აწონიან,
სული სანთლის ციალს ზეცად გაიყოლებს.

სიკეთის ნერგი

ზოგჯერ სიზმარი ცხადია,
ცხადი სიზმარი არის,
ხშირად მართალსაც დასჯიან,
სამართალი ცას დადის.
წაღმაც ტრიალებს, უკუღმაც,
ბორბალი ბედის ჩარხის,
ასე ყოფილა ოდითგან,
იმედი ცოცხლობს ხვალის.
ჩიტი ცაშია ლაღი,
თევზი რომ ცურავს წყალში,
კაცი მიწაზე დადის,
რად იძირება დარდში?
რატომღაც ჩვენი სიცოცხლე,
ორომტრიალში გადის,
რად ვწვრილმანდებით წვრილმანზე,
ან რად მივსტირით ჩავლილს?
შეხედეთ, იასამანი
როგორ ლამაზად ჰყვავის,
ველად გაშლილი შროშანი,
საოცრად ნაზი არის.
თუ ავდარია სადმე,
იმედი ჩნდება დარის,
თუ დაგვიღამდა,
ღამე ელის ვარდისფერ აისს.
ქარი წაიღებს ღრუბლებს,
ბალახს ჩაუვლის ნამიანს,
მზიანი დღე გვახალისებს,
ღამეს შევხარით მთვარიანს.
სულ თითო პეშვით დაცლიან,

ზღვას წვეთ-წვეთობით ავსილს
და მაინც გზას ვერ უცვლიან,
მდინარეს დაღმა ჩავლილს.
არც რას წავიღებთ სოფლიდან,
განა რა მოგვიტანია,
სიმწარე ბევრი ვნახეთ და
ცოტათი გაგვიხარია.
სიკეთის ნერგი ვახაროთ
ყვავილი ჰქონდეს სამყოფი,
დაიკრიფება უჩვენოდ,
დამწიფებული ნაყოფი.

ღმერთო, ნუ გამაბოროტებ

თუ ყველაფერი მთავრდება, თუ ყველაფერი ქრება,
ყოველი დილა ღამდება, ყველა მოკვდავი კვდება,
ღმერთო ნუ გამაბოროტებ, სულს ნუ ამივსებ შურით,
ჩემი წილხვედრი ტკივილი მატარებინე გულით.
გულო, ნუ გეწყინება, შენ ხომ მიწასთან რჩები,
სული ნუ დამიმძიმდება, მსუბუქი ჰქონდეს ფრთები,
ღმერთო, ბოროტს ნუ მომმადლი, სულს ნუ ამივსებ შურით,
მე ხომ ვერაფერს შევცვლი, ტკივილს ვატარებ გულით.

სიცოცხლევ

ბროლის თასი ხარ, უფლისაგან გადმოლოცვილი,
თან თვალის ჩინზე სათუთი და მოსაფერები,
ალავერდივით გაილევა ყველა ლოდინი,
სულმოუთქმელად, ზოგიც კიდევ სვენებ-სვენებით.
შხამს გაურევენ ტკბილ ბადაგში ჭრელი გველები,
ჯვარს გაეკვრება დამძიმდება თანდათან მხრები,
ცარიელ თასზე დაიღვრება ცხელი ცრემლები,
დაიმსხვრევა და დაიშლება ცივი კედლები.
საოცარია სურნელება ზღვა ყვავილების,
შენ ვარდებს დაკრეფ, დაგკაწრავენ მწარე ეკლები,
ხარ ერთადერთი არასოდეს განმეორდები,
სიცოცხლევ ჩემო, საუნჯეო, ნუ გამშორდები.
სიცოცხლევ ჩემო, გადაცურე მღვრიე მორევი,
აურაცხელი შემოგხვდება ტანჯვა-წამება,
უსასრულობა გელოდება, სტუმრად მოხვედი
და არ შეგაკრთოს განსაცდელის მძიმე წამებმა.
სულ არ შეგფერის სიმხდალე და მოთქმა-ქვითინი,
არ გეკადრება გაკილვა და სხვებზე ქირქილი,
გთხოვ ისე დახვდი ბოროტებას როგორც ქვიტკირი,
მუდამ ალალი გქონდეს ყველგან ცრემლი, ღიმილი.
ჭეშმარიტების არ გაგიჩნდეს მისხალი იჭვი,
ვის რა დახვდება გზად მიმავალს არავინ იცის,
უნდა იტვირთო თავმდაბლობის, სიკეთის ნიჭი,
სხვა ყველაფერი ამაოა, ამაოდ მიდის.

გთხოვ მიტევებას

სველი ღრუბელი გამხმარ მინდორზე,
ნაკადულებად ციდან ჩამოვა,
ია დაჭკნება და მწვანე კორდზე,
კვლავ გაზაფხულზე ია ამოვა.
ჩვენს დაბადებას შევხვდით ტირილით
და სიცოცხლესაც ვტოვებთ წუხილით,
ამ ქვეყანაზე, რომ აღარ ვივლით,
გაირინდება გული დუმილით.
ცოდვილი არის ვინაც კი ცხონდა,
არ შემოვრჩებით ამ ცას და მიწას,
ვინ გაქცევია მიწიერ ცოდვას,
ვხვდებით ყველანი დაისს და ცისკარს.
და, თან ყოველდღე, ისე ვიღვიძებთ,
თითქოს არასდროს არ შევიცვლებით,
ვაგლახ ამ სოფელს სულ მცირე დროით,
გადავივლით და გარდავიცვლებით.
ნეტავი იმას, წუთისოფელი,
ვინც სიკეთის გზით ნათლით იარა,
ვინაც სალბუნი იყო მოკეთის,
მადლი ეძება, ოქრო კი არა.
წუთისოფელში ჩვენივე ყოფა,
სინანულია და სასოება,
ქარი ქარაფებს ასკდება, მოსთქვამს,
თვალ-მარგალიტის ამაოებას.
რა ძნელი იყო უღმერთოდ ყოფნა,
და უფრო მეტად ტაძართან მოსვლა,
ჩვენ ღვთისმშობელის კალთა გვფარავდა,
თან წმინდა ნინოს ჯვარი და ლოცვა.
ცრემლი გროვდება ტაძრის კედლებში

და ფრესკებიდან წვეთ-წვეთად ჟონავს,
რომ დაგვიამოს მწვავე წყლულები,
დაკემსილ გულ-მკერდს მირონით მორწყავს.
მარად ახლოს ხარ უფალო ჩემთან,
თუმც ვერასოდეს ო, ვერ გიხილო,
გთხოვ მიტევებას ცოდვათა ჩემთა,
რომ მე, ცოდვილსა ამას, მილხინო.

დედა

გაშიშვლებულა ჩემი სული,
როგორც უქარქაშო ხმალი,
მინის კედელს მიღმა ეული,
როგორც შემოდგომის ქარი.
სანთელს სწვავდა, ადნობდა ალი,
ყინულად ქცეულა წყალი,
ჟამი მეწვია საცოდავი,
მეტად შავბედი და ავი.
ტკივილი გულში სახლდება,
უხმო, უსაშველო ტანჯვის,
წუთები ფიქრში მადნება,
თავზე დამათენდეს ლამის.
დარდით დნებოდა, იწვოდა,
ქარში გათოშილი ქალი,
ვინ გამოიცნო, ღვთის გარდა,
ქვაზე დატოვილი მადლი.
კიბის საფეხურს ედება,
ხავსით დაფარული ლამი,
ცრემლია, წვიმად იღვრება,
სახეს რომ მისველებს ნამი.

ბავშვობა

ჩვენი ბავშვობა სწრაფად გაფრინდა,
იყო ლაღი და ისე ალალი,
რომ არ ვისურვეთ ოქრო თასიდან
და ავირჩიეთ ცეცხლთან თამაში.
დრო იწურება, გული დამძიმდა,
თეთრი პეპელა ველად გაფრინდა,
არ დაბრუნდება არც არსაიდან,
ნეტავ ბავშვობა საით წავიდა?
რა საწყენია, ჩვენი სიცოცხლე,
რომ არ იწყება ისევ თავიდან,
რომ არასოდეს განმეორდება,
წამი, რომელიც თვალწინ აფრინდა.
ვეღარ დამალა ტკივილი გულმა,
სული აავსო ისევ წუხილმა,
ატირებულმა დილის ცვარ-ნამმა
და გაზაფხულის ჭექა-ქუხილმა.
ფოთოლთ შრიალში აჭრილმა ქარმა,
ცაზე ღრუბელი ნელა გაჰფანტა,
არ გავჩენილვართ ჩვენ ვარსკვლავებად,
დავიფერფლებით, როგორც კომეტა.
ვის კაქტუსები შეჰყვარებია
და თავბრუს ახვევს ზოგს კამელია,
ბევრი თაყვანს სცემს ლამაზ ვარდის რტოს,
მე კი დავეძებ მინდვრის ღიღილოს.
მინდვრის ღიღილო ზღვისფერთვალება,
ვერსად ვიპოვნე, სულ მენატრება,
ისევ ჩამოჰკრეს ცისკრის ზარებმა,
შორს ჩამოტოვეს შემოღამება.

რაღაც გვშორდება, რაღაც გვაკლდება
და რაღაც, მუდამ, სულ გვეკარგება,
არ გვავიწყდება ჩვენი ბავშვობა,
მთელი სიცოცხლე სულ გვენატრება.

ვარდისფერი ოცნება

ოცნებას ვარდისფერს,
იების სურნელი აქვს
და მხატვრის ფუნჯივით
სიზმრებსაც ფერადი
ვარდებით რთავს.
ფიქრი კი, ფიქრი კი
მსუბუქად, ზეცისკენ
მიჰყვება ქარს,
ლაჟვარდში ჩიტივით კრთება
და კამარას კრავს.
ოცნებას ვარდისფერს,
იების სურნელი აქვს
უდაბნოს მირაჟებს ედრება,
ოაზისს, ხან ჩანჩქერს ჩამოჰგავს,
ხანდახან, ხანდახან.
დრო მიდის ოცნებაც ფერს კარგავს
თანდათან, თანდათან,
გული კი, გული კი ვერ თმობს და
სათუთად ინახავს.

დაიბადა ქ. თბილისში, 1986 წელს. უმაღლესი განათლებით, პროფესიით ეკონომისტი ჰყავს ორი შვილი. ამჟამად, ცხოვრობს ქ.ხაშურში.

ალექსანდრე (ლექსო) კაკიაშვილი

გზავნილი სამყაროს

ჩვენ მას ვკარგავთ... ადრენალინი სასწრაფოდ!!!

დეფიბრილატორი...

მოემზადეთ: 1...2...3 მუხტი!!! კიდევ! 1...2...3 მუხტი!!!! ------ მარკ თუ ღმერთი გწამს არ მიმატოვო... ისევ დამუხტეთ!!!

--- ექიმო ჯონსონ, ვწუხვართ... გარდაცვალების დრო... 00:01 წთ.

--- მარკ... ჩემო ღიმილო...

ეს ამბავი მაშინ დაიწყო, როდესაც პირველად ბრუკლინში საღამოს ათზე გონამღვრეული გამოვედი ბარიდან, სადაც საუკეთესო სასმელად უემოციო ბარმენის გაურკვეველი წარმომავლობის ვისკი ითვლებოდა. თუ გაგიმართლებდათ და იმ დღეს ბარმენი მოახერხებდა სახლიდან გამოპარვას ისე, რომ მისი ცოლის სტელას მომზადებულ ომლეტს არ დააგემოვნებდა მაშინ ვისკის ჭიქას უნიჭო ღიმილით ჩამოცმულ ლაიმის ნაჭერითაც გაგიმასპინძლდებოდათ. დეკემბრის სუსხში გახვეული უსახლკაროებით სავსე იყო ქუჩა... ჩემი ყურადღება პატარა გოგონამ მიიქცია, რომელსაც რკინის კასრში ჩანთებული ცეცხლის ალიღა უგიზგიზებდა უღმერთოდ

დარჩენილ სევდიან თვალებს და პატარა გაყინულ თითებს გასათბობად სულს უბერავდა, თითქოს და არ ენდობოდა მხურვალედ მოგიზგიზე სახელდახელოდ დანთებულ კოცონს. გზა ბრუკლინიდან მანჰეტენამდე არც თუ ისე ახლო იყო და არც მე მელოდა შინ არავინ ვინც ჩემი მისვლის წამებს საათის ციფერპლატს მოჰპარავდა და მარადიულობად აქცევდა.... ამიტომ გადავწყვიტე გოგონასთან მისვლა და ჩემი შეციებული სულის მასთან ერთად გათბობა. --- გამარჯობა... ცივა ხომ? არაფერს მეტყვი? ისე მეწადა მდუმარების მიღმა დაგუბებული სევდის ამოძახილის მოსმენა რომ გაუჩერებლად ათას კითხვას ვაყრიდი, თუმცა ამაოდ... ყოველი კითხვის დასმისას მხოლოდ თვალებით შემოხედვას და უსაზღვრო დაუშრეტელ სევდის ოკეანედ ნაქცევ დარდს ვიღებდი. ასე ვიდექით ორი შეციებული სული ბრუკლინის ქუჩის კუთხეში და ჩვენი წარსულის აჩრდილთ უენოდ ვიხსენებდით... მდუმარებას კი მხოლოდ ქუჩის მუსიკოსის მიერ შესრულებული სიმღერა „We are the world“ გვირღვევდა...

--- მე ელენი მქვია....

--- შენ... ანუ... კარგი.... მე, მარკი ვარ.

მოულოდნელი სიხარულით ამევსო სხეული. ღმერთო რა სათუთი და ნაღვლიანი ჟღერადობა ჰქონდა ხმაში... პირველივე ბგერიდან სულში მეღვრებოდა და ღმერთია მოწამე იმ ღამით მანჰეტენამდე წასვლას ბრუკლინის კუთხეში მასთან ერთად სევდის ალებით აგიზგიზებულ კასრთან ერთად დარჩენა მეწადა... --- უნდა წავიდე მალე ექიმი ჯონსონი მოვა და თუ ვერ მივუსწრებ ღამით ისევ მშიერი მომიწევს დავიძინო... იცი? რა ძნელია? თუმცა მე უკვე მივეჩვიე და ვიცი როგორც უნდა მოვიქცე... აი გაიხედე... იმ ურნასთან ბიჭს ხედავ?

--- კი.

--- მას ბობი ჰქვია... ბობი ვერ მიეჩვია... არ მისმენს ვუხსნი მაგრამ რატომღაც არ უნდა მოსმენა და ალბათ მაინც ჭამა

ურჩევნია. და შენ როგორ მიეჩვიე? გასწავლი. წარმოვიდგენ ხოლმე რომ ბრონქსზე ბენის ბურგერ ქლაბში ვარ და დიდ ჰუმჰულა ბურგერს ვჭამ. ანჩოუსით, პეპერონით, სტეიკით და ცხარე საწებლით... მერე ფრთხილად ვკიდებ ხელს ისე რომ ბურგერიდან სოუზი არ დამეღვაროს (ჰო, ყველაზე გემრიელი ეს სოუზია და მისი დაღვრა არ შეიძლება.) მერე კი დასაძინებლად როცა თავს ვდებ ვფიქრობ თუ როგორ გემრიელად ვივახშმე ბრონქსის ბურგერ ქლაბში და ვიძინებ.... შენც გშია ხოლმე? --- კი... --- შენ რას წარმოიდგენ ხოლმე მარკ? --- მე? მე... სულს ჩემო პატარა ანგელოზო... სულს. შეიძლება ექიმ ჯონსონთან მეც გამოგყვე? --- კი... თოვდა... ჰაერში გაჟღერებულ წარმოუდგენელ სულისშემძვრელ სიმფონიას ასრულებდა ფიფქთა ორკესტრი. მივდიოდით ბრუკლინის ქუჩაში ორნი მე და ელენი... მე ჩემი სამყაროს შეუცნობელ ლაბირინთს ვიკვალავდი რწმენის და კაცთმოსაობის შესაგრძნობად, ხოლო ელენს ანგელოზთან მის სოფი ჯონსონთან შეხვედრა ეწადა.... ქუჩის ბოლოს სახელდახელოდ მოწყობილ საველე კარავთან შეკრებილ ხალხს მივადექით... ელენი მორჩილად რიგში ჩადგა მისი წილი ცხელი წვნიანის მისაღებად... ღმერთო ეს რიგი კი არა უშრეტი სევდის ოკეანე იყო სადაც ცხოვრების ხიდიდან გადამხტარი განწირული სულები მის ფსერზე საუკუნო გოდებისთვის იყვნენ განწირულები... სულს მიხლეჩდა ამ უკიდეგანო ოკეანის თვალუწვდენელი მღელვარება... როგორ მინდოდა ვინმეს თუნდაც პეშვით ამოენთქა ეს სივრცე და გადაერჩინა ბევრი ელენი, ბობი თუ კეთრინი... მაგრამ ამაოდ შევცქეროდი ამ ოკეანეს რომლის ნაპირთან მხოლოდ ერთი მოციმციმე შექურა სახელად ექიმი სოფი ჯონსონი იდგა და გზას უნათებდა ბედის უკუღმართობით ოკეანეში უგზო-უკვლოდ დაკარგულ განწირულ სულებს. ასე გავიცანი ელენის წყალობით ჩემი ცხოვრების ყველაზე დიდი სინათლე ექიმი სოფი ჯონსონი, რომელიც მანჰეტენის წმ.ნიკოლოზის სახე-

ლობის საავადმყოფოში ექიმად მუშაობდა და ყოველ საღამოს ცვლის დასრულების შემდგომ ცხელი წვნიანით ბრუკლინის ქუჩის კუთხეში ანგელოზობდა... ბევრი აღარ გვიფიქრია ელენის და ბობის დახმარებით დეკემბრის სასრულს შევუღლ-დით და მეჯვარეობის პატივი კი სწორედ რომ ელენს და ბობის ხვდა წილად. დღეს დღე მისდევდა და ჩვენი ბედნიერებით სავსე სამყაროში ყოველი წამი უფლისგან დალოცვილ ქადაგებად ქცეულიყო. ამ ბედნიერებას კი გვირგვინად ელენი გვივსებდა, რომელიც ბალეტზე შევიყვანეთ. სოფის სწამდა რომ მას ნიჭი ჰქონდა თუმცა ისე უღიმღამოდ იქნევდა ფეხებს რომ გეგონებოდათ ქუჩაში აკიდებულ ცუგოს იგერიებდა... მაგრამ მეც მორჩილად უნდა მერწმუნა ელენის უნიჭობით აღსავსე ნიჭიერების და საღამოს 5-ზე ბროდვეიზე საბალეტო სკოლისკენ მივაქანებდი, ხან ბურგერის, ხან ნაყინის და ხან პარკში გასეირნების დაპირების ხათრით.... ერთ მორიგ რეპეტიციაზე მივეშურებოდით. იმ დღისით სოფის საავადმყო-ფოში დარჩენა უწევდა, ხო და გადაწყდა რომ მე და ელენს ბალეტის უბადლო შემსრულებელს და მომავალ პრიმას მასთან უნდა გაგვევლო სავახშმოდ. საშინელი ამინდი იყო და გადავწყვიტეთ ტაქსით მანჰეტენამდე მივსულიყავით... ელენს ისე ეჩქარებოდა ბრონქსის ბურგერ ქლაბის ბურგერით რუდუნება რომ მკვირცხლად გადმომიხტა ტაქსიდან და ფილა-ქანზე საავადმყოფომდე შურდულივივით გაქანდა.... შეშინე-ბული გადმოვხტი ტაქსიდან და ელენს გავეკიდე.... --- ელეენ! დამიცადე! ელეენ შეჩერდიი!!! მკვეთრ სინათლეს ვგრძნობდი თვალებთან და უცნაურ ბურუსში იძირებოდა ჩემი სამყარო... ჩვენ მას ვკარგავთ... ადრენალინი სასწრაფოდ!!! დეფიბრი-ლატორი... მოემზადეთ: 1...2...3 მუხტი!!! კიდევ! 1...2...3 მუხტი!!!! --- მარკ თუ ღმერთი გწამს არ მიმატოვო... ისევ დამუხტეთ!!! --- ექიმო ჯონსონ, ვწუხვართ... გარდაცვალების დრო... 00:01 წთ. --- მარკ... ჩემო ღიმილო... ვერ ვხვდებოდი

რატომ მემშვიდობებოდა ჩემი საყვარელი ქალი ან რატომ არ ესმოდა ჩემი ძახილი!!!! ნუთუ ეს დასასრულია? კი მაგრამ ჩემი გზავნილი? ნუთუ თქვენც არ გესმით ჩემი?! და თუ ასე არაა გადაეცით ეს გზავნილი სამყაროს!!! იზურენთ თქვენს წილ ელენზე, ბობზე და მაქსზე!!! იქეცით დედამიწაზე ანგელოზად როგორც ეს ექიმ სოფი ჯონსონს შეეძლო!!! მე? მე კი ამით ჩემი სულის შიმშილს თქვენს მიერ გაკეთილშობებულ სამყაროში, ბრონქსის ბურგერ ქლაბის, ელენის საყვარელი ბურგერით მოვიკლავ.

სევდის ღმერთს ცამ უჩვეულოდ შემოსა მწუხრის მანტია, თითქოს სამყაროს სევდისფერი გარსი არტყია. პირქუშ წყვდიადში მიმალულა ვარსკვლავთ ციალი ღრუბლების მიღმა... სადღაც შორით... იქ, ღმერთთან ახლოს, ქერუბიმებმა ლოცვა იწყეს მომცრო ფიალით. იბადებოდა სევდის ზღვაში თურმე გრანელი, ნოემბრის დამლევს მოევლინა სევდას მფარველი. როგორ შევკადრო ჩემს სიმძიმილს მელანქოლია, როცა ფიქრები ყოველ ღამით შენთან მოდიან. ჩამოსხდებიან ჩვენს გარშემო ირგვლივ ყორნები და გაჩაღდება სულში მკვლელი რითმის მორევი... კვლავ დაიწყება გულსაკლავი, მწარე გოდება ჩემი სამიწეც ფიქრთან ახლოს მიწად გროვდება!!! უტყვი სიტყვებით აივსება ჩემი გონება მეც დავეღვრები ჩემს სიგიჟეს სისხლის მორევად!!! ნოემბრის დამლევს ფიქრთან ახლოს ისევ ომია, ჩვენი ცხოვრებაც ხომ უბრალოდ Memento Mori-ია.

დაიბადა ქალაქ ახალციხეში. დაამთავრა ხაშურის მესამე საშუალო სკოლა.1977-1982 წლებში სწავლობდა ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში. დასრულების შემდეგ მუშაობდა ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, 1989 წლიდან არის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ხაშურის პირველ საჯარო სკოლაში.

ფატი კურტანიძე

ევას მონოლოგი

განა მოვიდა გაზაფხული?! - გულმა იძალა,
რომელიც კვლავაც მოუთმენლად ისწრაფის მზისკენ,
მე ბაღთან ვგდივარ დალეწილი რტოების მიღმა
და გაუსაძლის უშენობას ჯიუტად ვითმენ.

გაღმა სოფლად

გაღმა სოფლად დამრჩა ჩემი სოფელი,
ტყე, მდინარე და ბიეთის ნატაძრალი...
ისე კოხტა, მშვენიერი,
ვით ქორწილში პატარძალი...
უცებ სევდა მომეძალა
ასკილის და ბაღებისა...
ბებოს თითისტარის წელზე
დრო ბრუნავდა ძაფივითა...

საწუთრო

აქ ჩამომქანცავენ, გზა ვერსად გამიყვანს
და მაწვიმს ზეციდან ქარების თარეში...
აქ არ მიმღერიან და აღარც მლანძღავენ,
ამ უდაბნოეთის მწუხარე მხარეში...
მე მღლიან, მშანთავენ და ჯვარზე მაკრავენ,
რათა მომაყარონ წუმპე და ტალახი
და ჯვარცმას აღდგომა რომ მოსდევს ამ ღამეს,
მწარედ გაუელვებს გონებას დაღალულს...
ამ შუაღამისას საწუთროს უკუნეთს
ჩამოყრის, ჩამოღვრის უხეში ხელები
და მერე, როდესაც ცხოვრებას გავყურებ,
მგონია, წარმავალ წამებას ვეხები.
მე შემშლის თამამი, ძვირფასი თაღები,
რომელთა დაღარულ მზეს მივეფეიცხები,
იქნება, დრო არის ციხეთა აღების
და სიმყუდროვისა იწვნება ფაცხები?!
და მიქრის ფიქრები უდაბნოს გზაწვრილში,
სად მიეახლება ზეციურ ლაჟვარდებს,
ჯვარცმის სამსჭვალები გულამდის ჩამკაწრავს
და ქრისტეს ყაყაჩო ნუგეშს სცემს შავ ვარდებს...

ჭიამარია

(ანა კალანდაძეს)

სოფლის გადაღმა ყანაც გადახმა,
აქ კი თქეში და ნიაღვარია...
ჩემთან იყავი, არ გამიცივდე,
არ დამეკარგო, ჭიამარია...

ფატმანის წერილი

მომწყინდა, - მთვარე დავიღამე,
ნაკვალევს შლიდა ექო,
ძველ მომლოდინე ოცნების
მეათედიც რომ მერგოს,
უხვად გავცემდი გასაცემს,
ვაშრიალებდი ხეებს,
თავს დავუხრიდი ყვავილებს,
ზღვათა სამეფოს ტყეებს...
ჰე, ჩემო, ზეცაც ვიწამე,
ისიც ფიქრებით ვლესე,
რაც ცხადზე უცხადესია,
ელავს საწუთროს ცელზე...
სად მე და ქაჯეთის ციხე,
სად ნესტანი და ფატმან,
მე ჩემს სიყვარულს ზღვას შევრევ,
ცხელ ცრემლებს მასვე ვატან...
შენ, ჩემო, არ დამიღონდე,
ისეც მეწვია ღამე...
ასე მგონია, გულს მართმევ
ამ უმთვარეო ჟამზე...
ან გულანშაროს სით მოხველ,
ან მერე როგორ დამთმე?!
შენ თინათინი მიგიხმობს,
მე უსენს უნდა დავრჩე!..

იქნებ თეთრი გვირილების დროა?!

დროა, მოვრჩე საწუთროზე ქვითინს,
დროა, ფიქრი გავაყოლო ნიავს,
იქნებ, დროა, გაზაფხულის მოსვლის,
იქნებ, თეთრი გვირილების დროა...
მალე სურნელს შეიძენენ მთები,
მალე თოვლი დააადნება კალთებს,
ჩამირბენენ გარდასული წლები,
ღამე ფიქრებს ჩემთან ერთად ათევს...
შეიჭმუხნა მწვერვალების შუბლი,
ნაოჭები დააჩნდებათ თვალთან,
შევეყარე გაზაფხულის სურვილს,
როცა დავრჩი ჩემს საკუთარ თავთან...

ზღვაო!

რამდენს ინახავ, ზღვაო, უფსკრულებს?!
ცა იდუმალი მზერით დაგყურებს...
ცრუ იმედებით ნუ დააპურებ,
ნუ გადმოუყრი მიწას ნამუსრევს!..
ღრმა მღელვარება იპყრობს კარი-კარ
ზღვათა ზვირთების აბობოქრებას,
გამოიყოლებს გარეთ ნათბილარ
ამაო ფიქრებს და... დაღონდება...
რამდენს ინახავ, ზღვაო, უფსკრულებს?!

დაიბადა 10.08.1958წ. ხაშურის რაიონის სოფელ წაღვლში. დაამთავრა ზოოტექნიკურ - სავეტერინარო სასწავლო კვლევითი ინსტიტუტი. პროფესია-ვეტერინარი ექიმი.

მაკო მაჭარაშვილი

რა დროს ლექსია?!

„რა დროს ლექსია“... დაგმანულა სარკე სულისა..
ვერ ყვავილობენ იისფერი, ბაღში ვარდები....
როს გაზაფხული შემოდგომად გადაქცეულა...
დედამიწაზე დაშვებულან ღრუბლის ფარდები.
„რა დროს ლექსია“... ვარსკვლავები სწყდებიან ზეცას,
ღამე გამხდარა უვარსკვლავო, მრუმე... უკუნი...
მზე, ვეღარ მზეობს... სხივებს აფენს მიწას დამრეცად....
ჯანღი ბობოქრობს... შავი ჭირი ამ საუკუნის.
რა დროს ლექსია?! დაიქუხონ უნდა ლექსებმა,
გაჰფანტონ ჯანღი... დედამიწა გახდეს მზიანი...
აახმიანონ გაზაფხული კვლავაც მერცხლებმა...
სულის სარკმელი გაუნათდეთ ადამიანებს!

* * *

ქართული ბგერა ასეთია
ისეთი ბგერა აიხირე...
ბურთი, ყელში რომ გაეჩხიროს,
ღაწვზე კურცხალი დაიცალე..
სიტყვა არ დაგცდეს საჩოთირო.
ბაგე ღიმილით დაიფარე....
გული „ბუდეში“ ფრთქიალებდეს...
მაჯაზე პულსი ტორტმანებდეს..
ფოთლებში ჩიტი ფართქალებდეს.
გაუვალმა გზამ არ შეგაკრთოს...
ბნელია სავალი, გაისარჯე...
ფეხმა არ გიმტყუნოს, გაიაზრე...
სიცოცხლე, სიკვდილზე გაიმარჯვებს!
ქართული ბგერა ასეთია...
თუკი წარმოსთქვი ძარღვიანად...
გულიდან ცრემლებს გადმოგადენს...
მერე გატირებს გვარიანად!

* * *

დადუმებულან, დადუმებულან,
უფოთლობით ხეთა ტოტები,
უხმო ლოდინში ცრემლი სცვივათ
 რუხად რჩენილებს,
მხატვრებს ელიან სევდიანი
„ნატურმორტები“...
ო, როგორ ჰგავნან
შემოდგომით, ჭკუა-შეშლილებს!..

* * *

მიხმობს ჩოჩქოლი კარი...
ახლა, ისე მწყურია...
ოფქლისფერი მინდვრები...
დროის მელანქოლია
დარბის ნასიმინდრებში.
ახლა წლებს ჩაუვლია...
ნაბრუნს მრავალკუთხედში...
ყრმობა დადუმებულა
პარტახ ეზოს კუთხეში!..
ახლა მწველი მზე არის...
თავს ვათვარებ თუთის ჩრდილს...
ხმა არ ისმის არც ქარის...
ალბათ ნიავს რაღაც სჭირს.
დუმილის საათია...
დედამიწა მწყურვალებს...
დრო-აგვისტოს ათია...
სული სისხლში მწუხარებს!
ახლა, ისე მწყურია...
კალო თავთუხისფერი,
დროის მელანქოლია
წარსულ ჰანგებზე მღერის.
ახლა ხილვა მწყურია
ალმურიან მინდორის...
სამეფო გალავნების...
და ეპოქის დიდგორის...!
ახლა ხილვა მწყურია...
ფერფლში გახვეულ ნავლის...
მიხმობს ჩოჩქოლი კარი...
და უძველესი წაღვლი!

* * *

დამჭკნარი ვარდი და,
ვით ფოთლები დამჭკნარ ვარდების,-
დაუნდობელად წლები ცვივიან...
და გახსენდება განვლილ ცხოვრების...
„ქარწაღებულნის“ დღენი, „ვივიენ“!
გაწბილებული ყოფიერისგან
გადაგარჩინა რამ, სასწაულად?
დამსგავსებიხარ უდიდეს სახლის
სენტიმენტალურ, ერთგულ პაოლას!
დამჭკნარი ვარდი, გაცრეცილ ფურცლით...
მშვიდად აღავსებ შენს ხსოვნის მოლბერტს...
ბუნდოვან ყოფას კვლავ ტოვებ უცვლელს,
ღამის ცას უძღვნი სონატის ნოტებს!

ან... ბან... ინ... დონი...

ამღერებულა ან, ბან, ინ, დონი...
ცაზე ღრუბლების იალ კიალა...
გაზაფხულს ველი, მის სიხავერდეს...
ცივსა და სასტიკს „ზამთარს“ კი არა.
ზვიადი მთები ნისლებს იხსნიან,
მზე ველზე ცეკვავს ვალსის ჰანგებზე...
ვნატრობ... მთის ძირში სახლს ლელ-ისლიანს
და დილის ცვარ-ნამს მთვლემარ სახეზე!
ცაზე ღრუბლების იალ კიალა...
ამღერებული ან, ბან, ინ, დონი,
გაზაფხულს ველი, ზამთარს კი არა...
ლაღი მერცხლებით და იადონით!

* * *

სამშობლო მიცოცხლე უფალო!
მე რა ვარ? სამყაროს მტვერი ვარ...
გონი მაქვს, სმენა მაქვს,
მაქვს თვალი, ზეცა ვარ მზის სხივით ნაქარგი,
ღვთიური სიკეთის მარცვალი!
მუსიკის ნოტი ვარ სამღერი...
ჰანგი ვარ არასდროს ნამღერი,
ღრუბელი, სევდისგან ნათერი...
წვიმა ვარ ხან ჩქარი, ხან ნელი.
მთვარე ვარ მნათობი ღამის ცის...
თბილი ვარ თუ ცივი, ვინ იცის?
ღამის ცის ნაჟური ვარ ცვარი...
თავთუხის ყანების მარცვალი.
მიწა ვარ, ჰაერი და წყალი...
მდინარე დრო-ჟამის დამშრალი..
გული ვარ კაეშნით ჩაგრული...
ქართულ ფესვს ჩაყოლილ-ჩარგული!
ჩანჩქერი, მთის კალთას მჩქეფვარე...
დრო, ოკეანისებრ მღელვარე!
სული- ჭა, უკუნ და უღრმეს და ...
მიწა, შვილთ ალაგი უძღებთა!!!!
ყოველ დღე ქართულ ცას ვუგალობ...
სამშობლო მიცოცხლე უფალო!!!
წვიმა ვარ ხან ჩქარი... ხან ნელი!

წერდი ლექსებს და...

წერდი ლექსებს და კაეშან მოსხმულს
დაგვიწყებია მძიმე, ტირე და...
წერდი ლექსებს და ღამეებ ნატეხს,
შემოგრჩენია ხელში ტირადა!
და ასდიოდა მინდორს ალმური...
და ხავსისფერი ჭაობი დუღდა..
სადღაც ისმოდა ხმა სალამურის..
სადღაც ვიღაცა, რაღაცას სწუხდა.
სად თოვდა... სადღაც წვიმდა ხარებით,
სად ყვავილობდა ველზე ლავანდა..
რბოდნენ სერებზე ლურჯი ქარები...
შენთვის უცნობი, ვით შეგიყვარდა?
გეჩვენებოდა ტევრი მეჩხერად...
სად იშლებოდნენ მთები გორებად...
ხან თვალისჩინი გეკარგებოდა
ხან გეწყებოდა თვალთ გაორება.
და მიჰყვებოდნენ წუთები წუთებს...
იმ საუკუნის მძვინვარებაში,
მარად დევნილი სულს იყუჩებდი
ცხოვრების მღვრიე მდინარებაში.
და ფიქრების ზღვას ადევნებული...
საით მოსული, მიდიხარ საით?
ცხოვრებისაგან ნაცემ-ვნებული
მიწაზე ღოღავ ობობასავით.
წერდი ლექსებს და კაეშან მოსხმულს
დაგვიწყებია მძიმე, ტირე და...
წერდი ლექსებს და ღამეებ ნატეხს,
შემოგრჩენია ხელში ტირადა!

მარქვი...

როდის დაიწყო სამყაროს ათვლა...
ანდა იუდამ ქრისტე რად გათქვა?!
„სამოთხის ბაღში“ ევა - ადამმა
აკრძალულ ხილზე „არა“ რად არ თქვა?!
ან ვინ და როდის, რისთვის დაწერა
ძველი აღთქმა თუნდ, ახალი აღთქმა?!
მარქვი, თუ იცი რომელი არის
ის საოცნებო ღმერთების ენა?!
სვეტიცხოველის ხელით ამგებელს
რისთვის მოჰკვეთეს მკლავი მარჯვენა?!
რად დგვიბარა მეფემ: „დამადგით,
ფეხი დამადგით გულზე ყოველმან"?!
ან რად დაწერა ძნელად საცნობი
ის „გალობანი“ ძემ, ღვთის მხმობელმა?!
სად,რად დაგეგმეს, რად „მოიტაცეს“
კოლხი მედეა, „ოქროს საწმისი“?!
ან რად არ ვიცით ამ სამყაროის
არც დასასრული და არც საწყისი?!
მხოლოდ ის ვიცით... ამბობს უფალი!!!
„ვიყავი, ვარ და ვიქნები რომელ“...
ამ სამყაროის სასრულ-საწყისის
უკუნისამდე ყოვლისა მპყრობელ!!!

წამო, წავიდეთ...

არ გთხოვ მანახო ეიფელი,
ლუვრი... ვერსალი...
ან პერ ლაშეზზე
სასაფლაო მ ო დ ი ლ ი ა ნ ი ს ...
არც შანზ-ელიზე,
არც ნოტრ დამი, პიზა, ალპები...
წამო, წავიდეთ...
რომ არ იყოს ძლიერ გვიანი...
მოვინახულოთ ნიკოლოზის წყარო ანკარა...
თვალი შევავლოთ
სხლიმიწების ლელს და ლიანებს...
და მოვეფერეთ წალდით გათლილ
ორღობის სკამზე მსხდარ
ჩემი სოფლის, შრომით დაღლილ
ა დ ა მ ი ა ნ ე ბ ს !!!



პოეტი; პროზაიკოსი; ფილოლოგიის დოქტორი;
პროფესორი; 20 წიგნის ავტორი

მურად მთვარელიძე

იქნებ უსათაურო, მაგრამ ბევრის გასაგონად

გავხედოთ ქედებს,
მთებს გავხედოთ,
მინდვრებს გავხედოთ,
მზე ვაკელაპტროთ,
მთვარე ვვერცხლოთ,
ქარი გავხედნოთ,
მიწას დავხედოთ, ცას ავხედოთ
სივრცეს და ხედებს
მივუგურგურროთ
და ბუბუნა ღრუბლის ხავერდებს
უფრო მეტად მივესათუთოთ....

და როცა ვიგრძნობთ,
რომ რაღაცა ისეთს ვესტუმრეთ
მშობლიურს, მაგრამ მშობლიურზე
მეტს და მიღმიერს,
როცა გულის გულს გააცოცხლებს
უცხო ლამპარი,
როს ამღერდება ჩვენს წინაშე

ყველა ზღაპარი,
ქვეყნის წარსული, ქვეყნის აწმყო
და მომავალი
ნაკადულების კალთებიდან ამოვაპაროთ...
მერე ვთქვათ სიტყვა,
მითუმეტეს - საღღეგრძელო პათეტიკური,
თუ როგორ გვიყვარს საქართველო!
თუ როგორ გვიყვარს საქართველო!
თუ როგორ გვიყვარს საქართველო!
ღვინომორეულთ...
ოღონდ, იქნებ ვინმე გამოჩნდეს,
რომელიც სარკეს მოგვაგებებს
და დაგვანახებს,
თუ როგორ ბილწად ბრჭყვიალებენ ჩვენს ბაგეებთან
ფუჭი სიტყვები!!!!

* * *

თითქოს ვიცოდი, რაც უნდა მეთქვა
და სიტყვებს ისე თრთოლვით ვძერწავდი,
რომ ჩემი გულის ოხვრას და ფეთქვას
მიეგნო შენი სულის ლეწმამდი,
მაგრამ როგორც კი გაიხსნა სწრაფად
ჩვენ შორის მდგარი დროის ტიხარი,
დაეშვა ყველა ფერი და აფრა
და ვერაფერიც ვეღარ გითხარი.

* * *

თქვა: ურწმუნოთა ბნელ სულთა შინა
მზის შადევნებმა შეაღწიესო,
ოდეს მოგვეცა ჩვენ თვალთა ჩინი,
ოდეს ბეთლემში იშვა იესო.
და ედემბაღის ნისლების ფშვინვა
ანგელოზებმა ფრთებით წიესო,
დედაღვთისმშობლის წიაღსა შინა
ნათლის ემბაზში ჰგიებს იესო!..

* * *

არც სიტყვა მითხარ, არც ღიმი
არ გაკრთა, ისე წახველი,
ან ის შეხვედრა რა იყო,
დამტოვე შლეგი და ხელი,
ან რატომ შემომეყარე,
ან რად ჰყვაოდა ძახველი,
მოხველ, ღიმილი მაჩუქე,
უხმოდ მომკალ და წახველი.

* * *

ნალი ვარ ერთი უბრალო,
ცხენის ფლოქვებით ნაღუნი,
სად მიჰქრის თერგი უბელო,
ან საით ჩქარობს არღუნი?
ეი, შენ, კავკასიონო,
ამაჰკა ერთი პანღური,
აქეთ მობრუნდეს რომ თერგი
და მის კვალს მოჰყვეს არღუნი.

პაოლო იაშვილი წერილს წერს ელენე ბაქრაძეს

ო, ელი, ელი, მე დღესაც გელი
კოცნის ბაღებით, ვნების თაღებით
და ქარიშხლებით, რომელსაც შველის
შენი ალერსი, სუნთქვის წამღები....
და როს დავცხრებით, ძვირფასო ელი,
შენგან მოყოლილ ნაზ სიზმრებს ველი,
რომლებსაც მერე ავკინძავ ლექსად,
ლექსებს ექნებათ სურნელი ველის,
ველებს კი სურვილს ჩავუთქვამთ, ელი,
დავარღვევ დუმილს და ღამე ბნელი
გამოანათებს ჩემი ლექსიდან,
რომელსაც ცეცხლი შერჩება შენი,
შერჩება ვნება, სხვა არაფერი,
და ამ ჩემს ლექსებს, ვერცხლით დაფენილს,
შეარხევს ქარი დარიანულად
და ამ გულიდან მთვარე ამოვა,
რომ ცას გაანდოს ფიქრები მწველი
შენ, შენ, რაღა გსურს, მითხარი, ელი?
შემოგინახავს პოეტის მუზად
ჩემი ლექსების მომკელთა ცელი.
და შენ იქნები მერი გოდვინი
და მე ვიქნების ამ დროის შელი...
ო, რა გულწრფელად გვსურდა ორივეს
ერთიმეორის კოცნა და ვნება,
და აი, ახლაც ამ სიშორიდან
ძვირფასო ელი, რომ მქონდეს ნება,
გეტყოდი, როგორ ღვიოდა შენში
ცეცხლი ტრფიალის, თუმც პოეზია
ვერა გწყალობდა და ამიტომაც

მე ვიქეც შენი ვნების მესიად...
ძვირფასო ელი, იძინე მშვიდად,
მე მშვიდად ვერ ვარ, დიდი ხანია,
ო, ეს ქალური ლექსების ხიბლი
ჩემივ ცხოვრების დიდი ღამეა.
კუდიანები ცვლიან ამინდებს,
ვუყვირი: მოგვეც დარი, ალული!
მე ხომ იმ გიჟურ სუნთქვებს დავარქვი
დარიანული....

* * *

შენ ისევ ჩუმი გაკვირვებით გამზერ სამყაროს,
ჩვენ შევიცვალეთ თუმც გარემო არის უცვლელი
და ჩემს ბაგეზეც შენი სუნთქვა ისე ჩამოჭკნა,
როგორც ივლისში ვარდობისთვის ვარდის ფურცელი.
ჟამი, - ავი და მუხანათი, როგორ აყეფდა,
გადაავიწყა ცის გუმბათის ფერებს ლაღი მზე,
თავებს იკლავენ ლაჟვარდები დილის ბაღებთან
და განთიადიც ხეთა კვირტებს ვეღარ აღვიძებს.
დარდად შემორჩა გაზაფხული ზამთრის ხეივანს,
ვნატრობ თუნდ ერთხელ შევხვდე გულის მადანს - ღიმილწლებს,
რომ ჩემს მამულში გავიარო კვლავ არხეინად
და მერე თუნდაც ყველამ ერთად გადამივიწყეთ...
მერე რა მოხდა, იბობოქროს ავმა სამყარომ,
დავრჩებით მუდამ ღარიბებად ლექსთა მქსოვლები,
ჩვენ შეიძლება წლები თავზე გადაგვაყარონ,
მაგრამ ჩვენს ფერად ზღაპრებს მუდამ ვემახსოვრებით.

* * *

და მე ვიხსენებ გარდასულ წლებს ცრემლად დადენილს,
გული ოცნების და ფიქრების ანდამატია,
რამ დაატია, ნეტავ, გულში სევდა ამდენი,
ან ეს ამდენი სიყვარული რამ დაატია?!
შემეფეთება შემოდგომის ღრუბლის ნაფლეთი
არადა, გარეთ ცრიატა და გიჟი მარტია,
რამ დაატია, ნეტავ, სულში გრძნობა ამდენი,
ანდა ამდენი აღმაფრენა რამ დაატია?!
ზღაპრებს ვუყვები საკუთარ თავს ჩუმი ნაღველით,
თვითვე ვიჯერებ ამ ზღაპრების ფერად „საიტებს“,
ვეღარ დაიტევს გული ამდენ ფერისცვალებას,
და ვერც ამდენ მზეს, ამდენ ქარებს ვეღარ დაიტევს...
ვეღარ დაიტევს ფიქრი ზეცის ამდენ სინანულს,
და ვეღარც ფერებს, გოგენებს და გრძნეულ ტაიტებს,
უხმოდ ჩაქრება მერე გული, რადგან სიყვარულს,
თავად სიყვარულს ვეღარ დაიტევს...

* * *

დამშვიდობების გრძნეულ წუთებში,
უნდა აგივსო ღვინით ყანწები,
კი არ მიდიხარ, კი არ მიდიხარ,
კი არ მიდიხარ, მიიკვანწები....
და ჩემ მაგივრად ცრემლით თვრებიან
ცრემლით თვრებიან გზისპირ ანწლები....
კი არ მშორდები, კი არ მშორდები,
კი არ მშორდები, მიიკვანწები...

ნანი ბრეგვაძეს

მთვარის სხივთა სხივადანს
მე გვირგვინად დავწნავ,
მზისას როგორ შევკადრებ,
დაწვავს...
ნიავების ნიადონს
გამოვიხმობ ზეციდან,
ქარისას ვით ვაკადრებ,
შესცივა...
ფრთხილად გამოვარიდებ
ზამთრის ბაღის ზღაპარს,
ვეტყვი, როგორ წააგავს
ლამპარს...
ვეტყვი, მასში ვით ცოცხლობს
სილამაზე ჩვენი,
საქართველოს რარიგად
შვენის...
როცა მღერის, იხსნება
ზეციური გზანი,
ჩუმად, გალობს ბულბულთა
დედოფალი - ნანი!

ხაშურის დავით კაკიაშვილის სახელობის სკოლის კურსდამთავრებული. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

ლერი ნოზაძე

* * *

მართლა არ ვიცი, რა გვაკლია ყველაზე უფრო...
ალბათ, ეს არის ხასიათი, - ვკარგავთ რომელსაც.
ვინ „დავიკიდოთ“ და ვის უნდა ვეჭირისუფლოთ
მოკეთეებს თუ ბოროტების გამომგონებსა?!
მოღვაწეებსაც დამართნიათ გადაცდომები,
დამდგარა ჟამიც მათი წრფელი სინანულისა!
თუმც მატიანეს აღურიცხავს მაინც ცოდვები
შავის თეთრისგან გასარჩევად, - თუნდაც ჭმუნვისად!...
მაგრამ როდემდე? ბილწს ხომ უნდა მოეღოს ბოლო!
ხალხმა განსაჯოს ვისაც ვებრძვით, - ვჯობივართ რითი?
ქარიზმატობას წარმოაჩენს სწორი სიმბოლო!
ბევრი წარსული რეალობა გამხდარა მითიც!
ნეტავ ვიცოდეთ, სად და როგორ უნდა ვილოცოთ,
რამდენ ხანსა ძლებს სულიერი სიმარტოვეში?
ალბათ მხოლოდ ღმერთს შეუძლია შეგვასისხლხორცოს
სამყაროს გულის მოშუშებას ჩვენს საგულეში.
მართლა არ ვიცი, რა გვაწუხებს ყველაზე უფრო...
ეგებ, - უაზრო გაჯიქება მეთაურების?!....
ამ სისაძაგლეს მსურს დავშორდეთ უსაზღვროდ, უხმოდ...
გვეცოდებოდეს უპატრონო ბედაურები!

* * *

(სერიიდან - დღეს პირველი მარტია)

.....

ვერძის სახე, შორით, ნისლმა
თვალს-ხელს-შუა გადამალა,
უთენია დილას, სისხამს
ქმედება ლომს დააბრალა.
ერიდებათ! ვინ გაბედავს...
მხოლოდ თევზი ეჭვიანობს,
გული ერჩის ალალ მხედარს,
წუხს, - კურო რომ ვერ ჭკვიანობს.
ტყუპის ცალმა: - საგანგებო
რა არისო, - ვერ ვრწმუნდები!
მშვილდოსანი დასაჯეთო! -
იჩემებენ მერწყულები.
თამაშგარე ყოფნას ირჩევს
ზოგიერთი ზოდიაქო.
მორიელი არას იმჩნევს,-
არითვი ვინ გგონიათო?
მშვენიერმა ქალწულებმა
შესაშური დადეს დასკვნა:
ნისლს რად სცოდავთ? - ვერძმა-ვერძი
განგებ აიგდოო მასხრად.
P.S.
რას მიქვია „აიგდოო“? -
ეხამუშათ სასწორებს.
რა ვუყოთ, რომ თოვლით მარტი
დღეს თავს ვეღარ გვაწონებს!

* * *

ისე შევძრწუნდი, ვეღარც ვლაპრაკობ!
მიჯობს თვალები დამახუჭვინოთ!
როგორ მეგონა, - კარგად ვამხანაგობთ....
ორ მხრივ აღმოვჩნდით ახლა უტვინო!
წყალმა წაიღო წაღმა ქმედება,
აღარ ვასხივებთ საუბარს სულის!
ნუთუ გულწრფელი შემოქმედება
იცავს სიყალბეს, აკნინებს სურვილს...
და ჩნდება კითხვა: - თუ მოხერხდება
რომ ერთად ვიყოთ „ცამდე მართალი“?...
ბუნებრივია, კაცი ბერდება,
არვინ უარყოფს, ღვთისგან რაც არი...
მაგრამ, კვლავ ვებრძვი ძველ კითხვის ნიშნებს, -
ბევრი რამ ხდება დღესაც „საჩემოდ“.
და, თუკი ცეცხლთან ახლოს მიმიშვებთ...
ბოლო სუნთქვამდე არ გამაჩეროთ!

* * *

ჩემი გზავნილი სხვათა შველაა.
გულით ნათქვამი სივრცეს ამაღლებს.
რაც გავაკეთე, - ბეწვისხელაა,
გამოადგება თუკი გადაღმელს.....
არ მოუკლია,... მაშინ,... წყალობა ...
უფალს. და ვმადლობ ყოველი დღისთვის.
ჩემი თაობა უფრო წვალობდა.
თქვენ კი შვილებო, სამყაროს იხსნით -
თუ შეათანწყობთ მიზანს და უნარს
და გონების ხმას ანდობთ ბაგეებს!
კრედო: - სამყარო „ჩემს ცენტრზე ბრუნავს“.
ღირსების ჯილდო - სწორად გამგებლებს!

მზეგული ტყეშელაშვილი

დაიბადა 1954 წელს, ვანის რაიონის სოფ. ბზვანში. წარჩინებით დაამთავრა ახლანდელი ილიას სახელმწიფო

უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის ფაკულტეტი (1985). 1980 წლიდან 2008 წლის 08 აგვისტომდე ცხოვრობდა და მუშაობდა სამაჩაბლოში (სოფელი ავნევი) ჯერ საბავშვო ბიბლიოთეკის გამგედ და შემდეგ კულტურულ - საგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორად. ექვსი წიგნის ავტორია, საქართველოს მწერალთა რეგიონალური კავშირის წევრი და საპატრიარქოს ჩოხოსანთა საზოგადოების წარმომადგენელი.

აჟამად ცხოვრობს ქ. ხაშურში და მუშაობს თბილისში, თიღვის (დევნილთა) მუნიციპალიტეტში ჟურნალისტად (ჟურნალი „ფრონის ხეობა“).

ჰყავს მეუღლე, სამი შვილი და ოთხი შვილიშვილი.

სილაურა

წელიწადის ოთხივე დროს,
მიხაროდა შენთან ყოფნა,
ავნევის და ნულის ჭალავ,
სილაურა - ჩემო კოხტა!
შენი წყალი მომენატრა,
ვერ გივიწყებ, კარგო,
სამოთხიდან მოჩუხჩუხე,
უკვდავების წყაროვ.
... ზოგჯერ მინდა გავიპარო,
ან დავუსხლტე მსტოვრებს,
დირბი, დვანი ავიარო,

ალმა ავყვე ფრონეს!
ავყვე თუნდაც გადამწვარი,
დაგინახო ჩემო! _
სანატრელი გამხდომია,
შენი მზე და ჩერო.
... წყვდიადია ვეღარ გხედავ,
მთვარეც გაქრა, მიმალულა,
გული დამრჩა, სადაც ფრონეს
უერთდება სილაურა...!

ძალა ერთობაშია

ოდითგანვე ასე მოგვდგამს ქართველებს,
მჯობნის მჯობნი რამ დალია ჩვენში,
ალმა ხვნა და მერე დაბლა დაფარცხვა,
ჩვევად გვექცა, გაგვჯდომია გენში.
ჩრდილოეთით ჩასაფრებულ „უფროს ძმას”,
არა სძინავს, კბილს ილესავს ჩვენზე...
ერთობა კი - ვით ბასრი იარაღი,
დრო დამდგარა, გამოვცადოთ მტერზე!
მოდით, ერთად შევერკინოთ ურაგანს;
კეთილ რჩევას, ნუ გავატანთ ქარს,
პირადულზე მაღლა დავდგეთ, სულ მაღლა,
მტრის წისქვილზე ნუ დავასხამთ წყალს!

სამაჩაბლოს მონატრება

მომენატრა სამაჩაბლოს ზეცა,
წყარო ცივი, ჩუხჩუხით რომ მოდის,
გული ურჩობს, შენთან უნდა ყოფნა...
გაიმარჯვებს საღი აზრი... როდის?!
ველში ია, ამოსული, მორცხვი,
(სილაურას უნახავი ვერ ვძლებ)
გველეშაპი იმდენ წყალს სვამს, ვიცი:
ბოლოს თვითონ დაადგება ყელზე.
ჩემსას ვითხოვ, არა მინდა სხვისი,
ჩვევად არ მაქვს სხვისი თაფლის ლოკვა...
„ავდარია“ მალე გამოიდარებს
„გახაფხული“ ბუნებრივად მოვა!

ხოტბა ანბანთა

ალიონს **ბ**აღჩას **გ**ადაველ,
დავკრიფე **ე**დემს **ვ**არდები,
ზვრებიდან **თ**ითა **ი**ღიმის,
კოპწია, **ლ**აღი **მ**არცვლებით.
ნიავქარივით **ო**ნავარ, _
პეპელას, **ჟ**ანგისფერისას,
რადგან **ს**ურს, **ტ**ურფას **უ**თხარი:
ფიქრი **ქ**ალსაც **ღ**რღნის **ყ**რმობისას.
შორით **ჩ**ამოდის **ცვ**არ-ნამად,
ძოწი – **წ**ითელი **ჭ**რელ-ჭრელა,
ხვავიან-ბარაქიანი
ჯვართამაღლება, **ჰ**ანგთმღერა.

და მაინც გელი

მარტმა დაბერა ხეთა კვირტები,
სულ მეხსომები, დედა - გპირდები,
ვიდრე მახარებს იის კონები,
იგი მიყვარს და მას ვეკონები!
არ მასვენებენ შენზე ფიქრები,
შენს ხსენებაზე ახლაც ვფითრდები,
შენ შემაყვარე ვარდი, ტიტები,
ჩემში ხარ მუდამ, ასე იქნები!
მარტის მზესავით სიზმრებში გხედავ,
ჩემო ჭკვიანო, ლამაზო დედავ;
როგორ გაქრები, ხომ არ ხარ მტვერი,
ვიცი, არ მოხვალ და მაინც გელი!

ია

რა ხანია გავიღვიძე,
გავახილე ლურჯი თვალი,
სამოსელზე გადავივლე,
მოციმციმე დილის ნამი!
აქეთ-იქით გავიხედე,
ორეული შევამჩნიე...
მზემ ირიბად გამიღიმა,
სურნელება დავაფრქვიე!
მორცხვი ვარ და პაწაწინა,
მიყვარს ჭალა, მიყვარს ველი,
მინდა მხოლოდ შენთან ვიყო,
იცი, ამ დროს როგორ ველი!

პეპელასავით ვიცხოვრო

დაბადებიდან სხვა მერქვა,
თუმც სულით ვიყავ პოეტი,
ეს ეპითეტი როდია –
ფიქრია, ტანჯვა, თავს რეტი!
ვარდის მოკრეფვა მომინდა,
სულ ბღუჯად ვგლიჯე... ეკლები,
გამკვირვებია, შემომრჩა –
საღი და მრთელი ხელები!
და... ახლაც შემართული ვარ,
მზე პოეზიის – მგვრის ღიმილს,
პეპელასავით ვიცხოვრო...
ყვავისა – ჩირად არ მიღირს!

საძმო საფლავები

აგვისტოს ხვატია, ფერებს ზურმუხტისას,
ძოწის წვეთები უხეშად შეერია,
აგვისტო შეუმჩნევლად შემოგვეპარა,
გრძნობაამშლელი და ჩემი მომრეევია!
საძმო საფლავები... ფერთა თალხი გამა,
თურმე ლომგულები – მართლა გაგვიზრდია;
კალთით დაგვიფარე, გვიხსენ ღვთისმშობელო,
სული მეხუთება... ეს რა ამინდია!
სანთელს დავანთებ და ჩემთვის ვიმეორებ:
ღმერთო, აგვაშორე ირგვლივ რაც მტრებია!
მშვიდად დაიძინეთ, ლომის ბოკვერებო,
საძმო საფლავები – თქვენი აკვნებია!

დამესიზმრე...

ხან სიო ხარ, ნაზი,
ხან ყვავილთა ნამი,
შენ ხარ რომ იცოდე –
ჩემი სალოცავი!
ტირიფების ჭალა,
ცაცხვი, თელა, ვერხვი,
ვერ იქნა და შენსკენ,
ვერ ავიდგი ფეხი!
სიზმრებში კი – ხშირად,
შენსკენ მოვიჩქარი,
მინდა მოგეფერო –
დავიტანჯე ქალი!
ფრონის ჭალის ხიბლი,
სიმწვანე და ჩერო,
წუხელს გინატრე და
დამესიზმრე ჩემო!

გაზაფხული

როცა სითბო ჩაიღვრება სულში,
ატმის ხეებს ისევ ცეცხლი დაწვავს,
ძველებურად ისევ ყვავის ნუში,
მე, უშენო გაზაფხული არ მწამს!
სიზმრად ვხედავ თეთრკაბიან ტყემალს,
(იასამნის სუნი ნიავს გაჰყვა...)
ღმერთო, დიდხანს ნუ მომწყვიტავ კერას,
ამისრულე ერთადერთი ნატვრა!

დაიბადა ქ. დუშეთში. უმაღლესი განათლებით. 6 წიგნის ავტორი. ცხოვრობს ხაშურში. ჰყავს ორი შვილი.

ნუნუ სოზიაშვილი - ტაბატაძე

ვნატრობ...

მომენატრა და შემოვაბრუნე
ბავშვი, რომელიც ჩემგან გარბოდა,
ვერ აიხდინა, დარჩა სურვილად –
ბაზალეთის ტბის ფსკერზე ჩაწვდომა.
ვნატრობ, თუმც ვიცი არ დაბრუნდება
ჩემი ბავშვობის მოკლე ბილიკი,
სამოცდაცამეტ მკათათვეს ვითვლი
და აღარ მათბობს ცხელი ივლისი.

ადამიანო...

გსურს, რომ გახვიდე ბრბოს თამაშიდან,
აჩქარებულ დროს დაადო ვეტო,
ხელს უამრავი გამოგიწოდებს,
მაგრამ ვინ გეტყვის, ვის უნდა ენდო?!
შენმა წამზომმა დაიწყო ათვლა,
ოცნების კოშკსაც გადააბიჯე,
გსურს, რომ სიკვდილი ჰგავდეს მზის ჩასვლას
და სიცოცხლისკენ სავალ ნაბიჯებს...

ამაოება

ჟამგავლილი ვწერ მისტერიას, ამაოების,
ვერა გავიგე ამ ცხოვრების ანი და ჰოე,
ყოფიერება სულაც არ გავს ნანატრ ოცნებებს,
ცხადზე მეტია აუხსნელი იმიერამდე...
სიკვდილ-სიცოცხლე ორივეა დროის ბრუნვაში...
წლების მარათონს თუ ვერ მისდევ ისევ კვალდაკვალ,
შენთვის ოთხი დრო წელიწადის უფერულდება, -
ეჩვევი ნაოჭს და ბებერ წლებს ხმარობ ყავარჯნად...
ამ დროს სიბერის აგონიას ათოვს ფიფქები...
არახალია, უმწეო ხარ, აბჯარაყრილი,
შენვე გაშინებს შენი ძალა უძლურებისა,
უკვე მეტად გრძნობ, მარტოობას დამგზავრებიხარ...
ხან აღარც იცი, რისი გწამს და რა გიხარია,
ხან ღმერთთან ისე ახლოსა ხარ, ხან კი - ისე შორს...
ზოგჯერ გგონია, ჭირთთმენისთვის მოხვედი ქვეყნად...
ტირი არდამდგარს და ეს მაშინ, როცა არ იცი,
წამი ყოფისა დასრულდება რა განაჩენით...
რიგში ჩამდგარნი წუთებს ვითვლით, ერთურთს ვაცილებთ,
კაცის სიცოცხლე ოაზისში ერთი წამია,
ცრემლი, მდუღარე, ამაოა ამა სოფლისთვის...
ხანდაზმულობა საშლელია გონიერთათვის,
სულის დავთარში სინანული რჩება მხოლოდღა...
ებღაუჭები უკვდავებას მონანიებით
და ცოდვის არქივს ტაბუს ადებ ცხონებისათვის,-
დარჩენილი დრო სინანულში გამოაზამთრო...
ჩასაფრებული მარცხი აცლის ფერებს დიდებას
და მაინც ხდები ეფემერულ ხიბლთა მორჩილი,
მისტერიული სულის მახე ისე გიზიდავს,
თითქოს უთქმელი არ შეფუთე მრავალ ფერებით!!!

ზოგჯერ ცისკარსაც ვეგებებით თვალებდავსილნი.
ცა, სინანულით, უკვდავყოფის მადლზე დაფიქრდა...
ედემის ბაღმა სინანული გვაგემა ცდომის,
სიკვდილის დამღა ამოშანთა ევამ მაცდურად...

ქალი პოეტი

იყო მეუღლე, დედა, პოეტი,
გედოს ოჯახის მძიმე ხუნდები,
მუზას მოვარდნილს, ზოგჯერ მეწყერად,
კარგავ და ხშირად ვერც უბრუნდები.
ბედის მწერალთან გიწევს კამათი,
ფარვანასავით ფარფატებ ალზე,
ხან დაეცემი, ხან წამოდგები –
ამაღლებული მიწიერ ქალზე...
გულის სიღრმეში დამალულ სევდას,
გარეგნულად რთავ ფერად სირმებით
და დააბიჯებ ნიადაგ სავსე –
გამორჩეული კდემა სიქველით.

* * *

ბრილიანტისა რა გითხრათ -
ცრემლის კარატე ვატარე,
მეგონა, დარდის ფიალა,
ბოლო წვეთამდე დავცალე...
თურმე სადა ხარ, სამყარო
ისეთ განსაცდელს გიმზადებს!...
ტუჩზე შემშრალი ღიმილი
სულ დამიფარა პირბადემ.

ფიქრთა მარულა

ახლა ქარები ისე დაჰქრიან,
თუ რამ შემოგვრჩა, მასაც ფანტავენ,
აღარაფერმა აღარ დაგვინდო,
ცხოვრება გვიტევს, წლები გვძარცვავენ...
ავფორიქდი, მინდა შევეხო,
გარდასულ დღეთა მიმქრალ კონტურებს,
რომ სიყრმეე, ჩემო, შენს ნაპირებთან,
იქნებ როგორმე ფიქრით მოვცურდე...
რაღა შეავსებს, დრომ ჩამოწურა
ჩვენი არსობის სავსე ცურები
და კალმახივით შეგვრჩა წინწკლებად -
გარდასულ დღეთა ნაფეხურები...

ფოთოლთა რეკვიემი

მოძალებიან შლეგი ქარები,
ავდრიან დღეებს, ნოემბრის თვეში,
ღრუბლების ფარას აებნა თავგზა,
გადმოეღვარა მიწაზე თქეში.
ვგრძნობ ქარვისფერი ფოთლების კვნესა,
ჰგავს მენდელსონის უსიტყვო ჰანგებს
და შემოდგომის სიჩუმე ახლა,
სამყაროს კითხვის ნიშნებით ავსებს.

* * *

ცოდვამ დაგვძლია დამძიმდა მიწა,
მივხვდით არ ფასობს, სიცოცხლე გროშად,
შემოხევიათ რწმენის სამოსი
და მომავალიც ბინდბუნდში მოჩანს.
მედროვე თავის დაუნდობლობით
უჩუმრად იპყრობს ქვეყნის სადავეს,
დადუმებულა ბრძენი, ჭკვიანი,
შიშობს, სამყარო მივა სადამდე!...
მიწას, ნაფერებს, წუთისოფლისას,
ახალი ელდა დაეცა ჩრდილად,
ცხოვრება, ახალს, იკერავს სამოსს,
ურემი მიდის თავის გზით მშვიდად....

* * *

ჩამოვიხსენი მწუხრის ხუნდები,
აწ, დედამიწის ფიქრი მაწამებს,
გაქარწყლებულა ყველა-პირადი,
სულს გლობალური ყოფა განაგებს.
კაცი იწრთობა ცდების რევანშით,
ცის სანახები აღარ იპყრობა,
ცოდვების მადლად აღიარებამ-
კეთილდღობა გადაიყოლა...

ავტოპორტრეტი

უცებ გაქრა გაზაფხული,
უცებ დადგა ზამთარი,
დავასრულე ბედთან ბრძოლა,-
იყოს, დარჩეს რაც არი.
ავიარე სველი კიბე,
ცოდვის მიწას დავყურებ,
რწმენის კედელს შევეფარე,
სული იქ დავაპურე.
მე უსისხლო ჯვარცმით ვკვდები,
დრომ შემასვა ბალღამი,
მსურს ბოლომდე ძგერდეს გული -
სიყვარულით გამღვალი.
დავიზაფრე, ხელში შემრჩა
ჟამი სიმწრით ნაზავი,
თუმც ლეგენდად დადის ჩემი
სიძლიერის ამბავი.
ჩემი სულის უდაბნოში
რწმენით დასკდნენ კვირტები,
დრო არ ყოფნის, ამ ხის ნაყოფს,
ვეღარავის ვპირდები.
ჩემი ქვეყნის გაზაფხულს ვრწყავ
სისხლის ბოლო წვეთებით,
პირადს როგორ დავემონო,
ვდგევარ მისი ფესვებით.
ამ ტკივილით მიზამთრდება,
ფოთოლცვენა მაშინებს
ესღა დამრჩა, ლექსებით ვრთავ
სულის ბოლო არშიებს.

სვეტიცხოველი

დგას მედიდურად გაშლილი მხრებით
და ჯვრის მონასტერს სჭვრეტს
ცის ლაჟვარდში,
საუკუნეთა სუნთქვით ნაწრთობი,
საქრისტიანოს დედა ტაძარი,
რწმენის ტაძარი...
თუ ღამღამობით მოგესმათ კვნესა –
სიდონიაა, კვართი ჩაუკრავს,
უფალს დასტირის...
მოქუფრულია ამ დროს სამყარო,
როგორც არასდროს...
გამთენიისას
არსაკიძის მარჯვენა კვნესის –
საკურთხეველთან რომ არ ძალუძს
სანთლის დანთება...
პირჯვრის დაწერა...
მელქისედეკმა
სიყვარული არ გაამეფა,
მაგრამ ტაძარში ასგზის მეტი რწმენა
და შვება ჩაბუდებულა მათთვის,
ვინც ჯვარზე უღვთოდ გაკრულა...
ყვავის ტაძარი,
ჭეშმარიტი რწმენის ტაძარი...

* * *

აღუვსებელი საწყაულის
ბზარები მაკრთობს,
წუთისოფელი მეჩვენება,
ზოგჯერ, ცაცია,
ამაოებას დავარქმევდი
ცხოვრების საზომს,
სიცოცხლე ვისთვის
ტვირთია და
ვისთვის განძია!

* * *

თუ მზეს გაუჩნდა ღრუბელი,
როგორც ქალს – ღაწვთან მარაო,
ერთიც ღონდება, მეორეც,
ან გააცინებთ რაღაო?!
ქარი ღრუბელს რომ გადიყრის,
მზე დაიბრუნებს ცარგვალსა,
ქალს რაღა გაახალისებს,
იხდის ასაკით ღალასა!



დაიბადა 1971 წელს ხაშურში. მასწავლებელია. დაამთავრა გორის მუსიკალური სასწავლებელი. ჰყავს მეუღლე და ოთხი შვილი; ლექსების წერა 14 წლის ასაკში დაიწყო, მისთვის პოეზიაა რეალური განზომილება.... წერს როცა მუზა უხმობს....

ნატო ღონიკიშვილი

ლაზიერი

დასრულდა ოცნებების უსიერი
დაა მორიგ უკაცრიელს შევუყევი...
მეე, დაფას აცდენილი ლაზიერი,
გულ-ჩვილი, უნუგეშო და ურყევი
ჩემს ადგილს უხსოვარ დროს შეველიე...
თავი-სით არაფერი მეორდება...
თამაშ-ში პაიკის სვლით შევერიე..
რამეთუ მეფე ისევ მელოდება.....

* * *

ფიქრს ვეღარ
გაწვდენ
ჭრიჭინები მოლოდინს ქსოვენ...
მთვარე ჭრილობას დაემგვანა
და შავ ყუთს, - ღამე...
ოცნება გაცვდა,
მუზები კი საკბილოს მთხოვენ...
დარდი დიდია და უღრანი,
მითხარი რამე!

* * *

ჰაა კიდევ ერთი წელი მეახლა
და დარდი ჭიქის ფსკერზე ჩავკიდე...
შენი ღიმილი მინდა მე ახლა...
თვალებში ლურჯი ტბები ჩანს კიდევ..
ეს ბრონწეულისფერი ტუჩები
მწიფე ხილივით არის დამტკბარი...
ჩემს ლექსებს ვერც შენ გადაურჩები
ასეთი ნორჩი, მდორე და მტკნარი...
ჩემში შიშველი კდემა გახელებს
და ხორბლიფერად აჭრა ღაწვების...
ეს ლექსი მიჯნას გადაგახედებს
დასაძინებლად როცა დაწვები...

* * *

იყო და არა იყო რაااა
ოცნებამ იღობეყორااა
მერე დავადე ხუნდებიი
მერე სიცოცხლე ხუნდება..
ჩნდება მახინჯი ვნებები
კვლავ ღობე-ყორეს ვედებიი..
დღე მომაკვდავი თავდება,
რა უმიზეზოდ ღამდება....

* * *

ამ ღამეს ისევ ლექსთან ვატარებ,
ამ ღამეს კიდევ უფრო გშორდები..
ახლა ვერაფერს ვერ შეგადარებ
თუმც, როგორც მტვერი, ყველგან გროვდები...

სალაღობო

გულნაღვლიანად შევიქენ,
ვერა გავიგე თავისა...
მაძებრად გადავიქეცი
ერთი ვაჟკაცის კვალისა...
საქმე დამმართა სატანამ
გამრთობი ავი თვალისა,
ქმარ შამიყვარდა ვაგლახად
ქარვისთმიანი ქალისა...
შორიდან ვეტრფი ბეჩავი
მათრობს ტკბილ-მწარე ლოდინი...
ნეტა მე გამაშლევინა
აიმ ვაჟკაცის ლოგინი...
დამათვენინა მის მკერდზე
ეს თმები-სურნელ-ბალახა,
ერთმანეთს ჩაგვახუტა და
ერთი სიზმარი გვანახა...
ახლოში რომ არ ცხოვრობდეს
მოძებნი კარ და კარაო,
ერთ დღეს რომ თვალი ვერ ვკიდო
გულის ტკივილად კმარაო,
არ დამიწყევლო საწუთრო
ქარვისთმიანო ქალაო
თორო დუელში გაგიწვევ,
გრძნობის მოვსინჯო ძალაო...
ერთმა გულ-ღია გოგომა
ავი რა უნდა გიყოსა...
ვისაც უფრორე უყვარდეს
ხვადიც იმისი იყოსა...

გაზაფხული

გაზაფხულს ლექსებს რა ჩატევს,
სიტყვები უთქმელად კვდებიან,
ეს სიო მამხელს და მამჩატებს...
დღეს სულში კვირტები სკდებიან...
ჩანს მიწის მკერდიდან ღიღილო,
მზეს ცხელა ზეცისფერ ზეწარზე...
არ გინდა რომ გადამიბირო?,
რომ გავხდე მე შენი მზეთამზე...
გამოჩნდი და მინდა გაუწყო -
დასრულდა ერა შენს ერამდე...
შენს შემდეგ სხვა ერა დაიწყო...
არ მახსოვს რა იყო შენამდე...

ფიქრის მუმია

ცაზე ღრუბელს თოხნის
ნახევარმთვარე,
ცა ქუდად არ მყოფნის-
სტრიქონს ვამთავრებ...
ქრის, ოთახში ბუხრის
თბილი სუნიაა,
და კაცივით ოხრავს
ფიქრის მუმია...
ამ უმძიმეს წუთებს
მოთქმით დაათრევს
და ჩემს მუზას უთევს
კედლის საათიც...

მოიტანა რითმამ
და ვაღიარებ,
რომ ამ დღეებს ვითმენ,
რომ ვაგვიანებ
რომ მიჰქრიან წლები
როკვით, აურით...
კვლავ სარკელთან წვება
ღამე ხმაურით.
ცაზე ღრუბელს თოხნის
ნახევარმთვარე...
ცა ქუდად არ მყოფნის-
სტრიქონს ვამთავრებ...

სოფელი....

ხილის ტევრი, ყორე უმალ განაღობი,
ხილი ბევრი, გოლიათი კაკლები.
ხეივანი, ახალშენი და ნაყოფი
და ჩიტები არემარეს ამკლები..
კარ-მიდამო წინაპარის მონაგარი,
ანცი გოგო და საჯიშე ბიჭები,
მწიფე ჟოლო-ონავრების მონაპარი
და ეზოში მოფენილი ღიჭები.
ალიონი-ყვინჩილების გათეული,
ბაღში ზვინი, ბაღის ბოლოს-მდინარე,
შუაღამე ჭრიჭინების ათრეული
და მოკეთე კუშტი, გაუცინარი.
ლურჯი ბინდი, ცა საავდროდ ჩამომდგარი,
შარა-გზაზე შეგროვილი კაცები,
ჩეროებში საბაასოდ ჩამომჯდარან
თავწაკრული სოფლის დედაკაცები.
დგას სოფელი თავის ბრძენით და სულელით...
რძისფერ ცაზე ახალმთვარე იღიმის...
ბოლო მეხრე მიზოზინობს ხარ-ურემით...
აღარ ისმის ოროველას ღიღინი...
ღვთისმშობელო, გვიწყალობე შენმიერი
სიხარული ამ უბრალოდ მყოფნების.
უამრავი ლამაზი და მშვენიერი
წუთი მიეც სოფელს წუთისოფელში.

სონეტი-ხვალის მაგია

სხვისი ჭიშკარი, სახლი სავსე სხვისი წარსულით,
სხვისი ვნებების აგონია და უცხო ჰავა...
ამ სახლობანას სიზმარ-ცხადში რა დრო გასულა...
და ღმერთო ჩემო, ნეტავ კიდევ რამდენი გავა...
ვარსებობ, როგორც უთვისტომო და ვით ზარდახშას
სახლიდან სახლში დავატარებ ლექსების თარგებს...
ამ მასკარადში ჩემთან მხოლოდ მუზაღა დარჩა...
ამ ერთგულების ერთგული ვარ და ვუხდი ხარკებს...
კვლავ ნაპირისკენ გამომრიყავს ჩემი სტიქია
და სულის ღელვას გამოსტაცებს ცისფერ სტრიქონებს...
ასე უღონომ რა ვიღონო ვერ გამიგია
და ყოველ ღამით გაღვიძების მიზეზს ვიგონებ...
ვებღაუჭები უსასრულო ხვალის მაგიას...
მხიბლავს მზაკვარი და უნდობი დროის ლაქია...

მომავლის ქარაგმა

წარსული, - ოცნების აკლდამა და გვამი
დღეს, დღემდე მარტოსულს კარგს ვერას მაგონებს...
ოდესღაც უხეშად ამომდეს ლაგამი
და იმ ხვედრს დავჯერდი რომელიც მარგუნეს...
დღეს ხსოვნას მიკაწრავს წარსულის ბგერები,
დღეს ჩემი სურვილი ამ ქაოსს ალაგმავს...
აწმყოში ვლივლივებ მისგან ნაფერები
და მნუსხავს მომავლის მკაფიო ქარაგმა...

საქართველოს დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი ქვიშხეთელი პოეტი, მხატვარი... ღირსეული ქართველი.

ალეკო ღონღაძე

* * *

ეხლა არა აქვს ყვედრებას აზრი
და განშორება არის პროლოგი
თუ სიყვარული მაინც ბლეფია
იყოს ეს სტროფიც ცრუ მონოლოგი.

* * *

მარტო არა ხარ...
ნუ თრთი, ნუ შიშობ;
ნუ დაიმდუღრავ
ცრემლებით თვალებს...
აბა, შეხედე, როგორ ერთგულად
შემოგხვევია იანვრის ღამე.

* * *

გაყინული მაქვს სული
ვებრძვი ნაღამურ იჭვებს,
გულზე ავ ფიქრთა დასი
მარწუხებივით მიჭერს.
ქრის მწუხარების ქარი
ხეებს ატირებს მწარედ
ცარიელია ქუჩა
მდუმარებაა გარეთ.
ვზივარ მარტო და ველი
დაგვიანებულ „გოდოს“
ოცნებით ვგლოვობ ახლა
ახალგაზრდობის გოგოს.
ერთფერეროვანი ყოფის
ვცოხნი უფერულ დღეებს
თვალცრემლიანი ვუმზერ
სათივის ბებერ ტყეებს.
ვინმე მოვიდეს, ნეტავ,
ნეტავ, შემახოს ხელი;
მომისამძიროს უხმოდ
გარდაცვალება ჩემი.

* * *

ახლა ეს ღამე არის უმთვარო
და მეც წუხელის ვიყავ უბარი,
შენ რომ ზღაპრები არ სთქვი ბუხარო,
მას შემდეგ დავალ სახემწუხარი.
არ მესმის შენი გულო, მქუხარო,
ეს სიყვარულიც თითქოს მითია,
თუ არ შემინდობ ცოდვებს უფალო,

რისთვის ვარსებობ ვერ გამიგია!
ამ ქვეყანაზე მე დავრჩი მარტო,
ყველა გაფრინდა ვინც კი მიყვარდა,
მე გეკითხებით: რა იყო მაინც,
რად ვერ მივედი დათქმულ ნიშანთან?!
ახლა ვნანაობ არყოფნის ზღვართან,
სიცოცხლე მრჩება როგორც საკურთხი
და ჩემს შემდგომად ბილიკზე რჩება,
მხოლოდ ზიზღი და მხოლოდ ნაფურთხი.

* * *

ისე ვერ იტყვი ვერაფერს,
თუ გულს ცეცხლი არ გინთია,
აზრის და გონის შესაფერს
ლექსს, ფრინველივით ფრთებიანს.
ვერც მსმენელს ააგიზგიზებ,
როგორც მხურვალე საკირე,
უსულო გრძნობა რა არის,
მე მაგის დედა ვატირე!
ლექსმა გრიგალად მოსულმა
უნდა წინ გაგიფრიალოს
და ჩუმი სისხლი, დუბელი,
ცეცხლივით აგიბრიალოს.
მაშინ გერქმევა მგოსანი,-
გალაკტიონთან სწორობდე
და საუკუნოდ ამ ქვეყნად,
რუსთაველივით ცხოვრობდე.

„შეგონება“

მადლი ჰქენ, არ იჭოჭმანო,
უხვად გასცემდე სიკეთეს,
ნუ ჩხიბავ, კაცში ნუ ეძებ
ასეთებსა და ისეთებს.
დაბადებულხარ ვაჟკაცად,
სხვისი ტკივილის საოხად,
მამულს უჭირდეს, არ შედრკე,
გული გიწევდეს საომრად!
ლაჩრებს აძლევდე მაგალითს,
სიკვდილს იგდებდე აბუჩად,
გახსოვდეს, ღმერთმა სიცოცხლე
გამოსაცდელად გაჩუქა!
რისხვად დაეცი ორგულებს,
მლიქვნელებს, ოქროს
მოყვარულს,
ღარიბს აძლევდე რაც გქონდეს
მდიდრებს ართმევდე მოპარულს...
სული გიმღერდეს, მზეობდე,
ლაღობდე, სხვასაც ალხენდე,
გტკიოდეს, მაინც ქველობდე,
ჯავრს არავისთან ამხელდე.
ღმერთის მორჩილად იარე,
რწმენა უჩუმრად დაგქონდეს,
ავი და დაბნელებული
ღვარეულივით გაგქონდეს.
მაშინ გერქმევა ვაჟკაცი,
დაემსგავსები წინაპართ,
წახვალ, ხალხს დაენანები,
ღმერთთან წარსდგები პირნათლად!

* * *

გახსოვს? ციხე აწყურის
ცის გუმბათი კრიალა,
ახლა ჩვენმა ბავშვობამ
სულში გაიწკრიალა.
გახსოვს? მტკვარი, კლაკნილი,
ანაკონდას მაგვარი,
ხავსიანი ნაპირი,
უჩვეულოდ სხვაგვარი.
ჩვენი ჩუმი ჟღურტული,
უმანკობის გნიასი,
ლურჯად გადაგრეხილი,
მთები ზიკილიასი.
გახსოვს? ციხის ქონგურზე
მთვარე ზანტი ზმორებით
სიო ბედის მჩხიბავი
ჩუმი გამოქროლებით...
ოხ, როგორ მენატრება
შენი თვალთა ბრიალი
შორს მამლების ყივილი,
დილა ნამით ცვრიანი

გახსოვს? როგორ გვიყვარდა
ქარაფიდან ყურება,
ახლა ის ყველაფერი
წარსულით იბურება;
ვაი, როგორ გაბერწდნენ
სულში ტრფობის ალები,
ალბათ გაგიფერმრკრთალდნენ
შენც ლამაზი ხალები.
გიხსენებ და აწყურის
ნათლად ვხედავ სანახებს,
ახლა ვუმეგობრდები
თვალცრემლიან ბალახებს.
ხედავ?ტრფობის სურნელი
ლექსში გადმოიღვარა
წარსულიდან ეს ხსოვნა
ჩემთან გამოიპარა.
ვიცი ძალზე შორსა ხარ
აღარასდროს შევხვდებით,
ვაი, ნეტა გაჩვენა,
რა ტკივილით ვბერდები!

„ლექსი“

რომ არ გავენდო ფურცელს,
რომ არ გავუტყდე კალამს,
ხომ შეიძლება, უცებ,
გული გამისკდეს ძამა!
რომ არ დავღვარო გრძნობა,
ლექსად არა ვთქვა ცრემლი,
არ ეღირება ჩალად
ქვეყნად გაჩენა ჩემი.

დაიბადა საჩხერის რაიონის სოფელ სავანეში. დაამთავრა პაოლო იაშვილის სახელობის არგვეთის საშუალო სკოლა და სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტი. წლების განმავლობაში იქვე მუშაობდა, შემდეგ კი - ტექნიკურ უნივერსიტეტსა და სასოფლო სამეურნეო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში.

იზო ღონღაძე

ალიონს მინდა შევხვდე სილაღით

ალიონს მინდა შევხვდე ყოველდღე,
ჩემი სამშობლო ვიხილო მშვიდად,
მინდა ყვავილი ხარობდეს ჭარბად
და სიყვარული გაგვიხდეს მიზნად.
ბზარი არ იყოს ურთიერთშორის,
ღიმილს ვჩუქნიდეთ ერთმანეთს ხშირად,
ჭირს და ლხინს ერთად ვიზიარებდეთ
და ვიხუტებდეთ ერთმანეთს ფხიზლად.
მშვიდობის მტრედმა იფრინოს ცაზე,
ფრინველთა გუნდი ჰკრავდეს კამარას,
ყველა ოჯახში აკვნების რწევა
და სიყვარული ყველა პატარას.
ალიონს მინდა შევხვდე სილაღით
ცუდი ფიქრები არ მქონდეს დარდად
აყვავებული ვიხილო ბაღი
და ნატყვიარი არ სჩანდეს არსად.

საქართველოს

სავსე სასმისით ღვინოს შევსვამ შენს სადიდებლად,
თვითეულ წვეთში სიყვარულს და სითბოს ჩავაქსოვ,
ჩვენი გმირების უკვდავსაყოფ სულს მოვისხენებ
არ დავიღლები და სასმელიც ვეღარ დამათრობს.
ყველა საცოდავს ვესტუმრები, სანთლებს ავანთებ,
წმინდა გიორგის შევავედრებ მე ჩემს სამყოფველს,
სისხლით გაჟღენთილ ქართულ მიწას ვეამბორები,
ყველგან წავაწერ ქართველ გმირთა უკვდავ სახელებს.
ყურში ღიღინით ჩამესმება „ლილეო“, „რერო“
მშრომელი კაცის შვინდა ხარით გაწევა გუთნის,
ბელტებად ქცევა, გადათარცხვა ნაჯათი ხელით,
ძლიერი შრომა, არ დაკარგვა არცერთი წუთის...
დავილოცები რომ მშვიდობა დამყარდეს, მაგრამ
ვერ მოვუშუშებ ქართველ დედებს მწარე იარებს,
ღმერთო ძლიერო, მიგვანიშნე, რომ საქართველო
თავისუფლებას და მშვიდობას ისევ მიაგნებს!

ზარები რეკენ

ტაძრის კედლებზე ცეცხლი ანთია
და იღვენთება სანთლები წმინდა,
ზარების რეკვამ შესძრა სამყარო
რიტუალია, ქრისტე რომ იშვა.
შუაღამეზე ისმის „ალილო“
გზებზე მორწმუნე ერი დამდგარა,
უზიარებენ ერთურთს სიყვარულს,
ამბობენ, დავრჩით ჩვენ ღვთის ამარა.

იქნებ ლოცვებმა გადაგვარჩინოს
გავერთიანდეთ ერი და ბერი,
ახალ იმედის და სიხარულის
ჩვენს თავს თვითონვე შევუქმნათ ბედი.
ვიშვიშს, გოდებას, ნუ მივეცემით
ფარ-ხმალის დაყრა რას გვარგებს ნეტავ,
ან რად გვჭირდება ამპარტავნობა,
გონიერებას მოვუხმოთ ერთად.
ღმერთმა დაგლოცოს ქართველო ერო,
შობა-ახალ წლის მადლი შეგარგოთ,
ყველა სალოცავს დავუდგეთ გვერდში,
ლოცვა-კურთხევით კი თვით შეგვამკობს.

ქართველ მსახიობებს

თქვენ ამ ქვეყანას მოევლინეთ ანგელოზებად,
თეატრს თუ კინოს ნატერფვალი თქვენი ატყვია
და გამოჩენას ყველგან ეძებს ქართველი ხალხი,
ვიცი ვერ წაშლის ვერაფერი, თქვენს ნიჭს მადლიანს.
ია-ვარდივით შეისრუტეთ თქვენ სცენის მტვერი
და გახდა თქვენი ჯადოსნური სულის მემკვიდრე,
შარბათი შესვით, დაეწაფეთ სულმოუთქმელად,
მაყურებელი გაიხადეთ მესაიდუმლედ.
თქვენ სულის საზრდო დატოვეთ და წახვედით ჩვენგან,
წახვედით, მაგრამ გვისახსოვრეთ მწარე ნაღველი,
თქვენ გმირები ხართ, უდიდესი შრომით დაღლილნი
ბრძოლა დაგჭირდათ რომ დაგეპყროთ დიდი მწვერვალი.
მეც მინდა თქვენთვის ვიგალობო შეძლებისგვარად
და შემოგწიროთ სიტყვა ჩემი, ნაჩუქურთმევი,
ის დაგვრჩენია რომ სანთლებით ვილოცოთ მარად,
მუდამ ვადიდოთ და უკვდავყოთ თქვენი სახელი.

საოცრება ხართ, უბადლო და ვარსკვლავთმპყრობელნი
იცოდეთ, ქვეყნად არ არსებობს თქვენი სადარი,
მე რომ შემეძლოს, თქვენს სახელზე ერთს კი არა და...
უამრავ ვარსკვლავს გაგიხსნიდით ყველას უთუოდ.

მოდინახე

„ღრუბლებში ამაღლებულა, როგორც ოცნება კაცისა,
შორიდან ასე მგონია არც მიწისაა, არც ცისა
მოდი ნახე და იცანი არც შენ ინანებ, არც ისა!“

თუ იმერეთით მოხიბლვა გინდა
უნდა ეწვიო იმერეთს ზემოს,
მოდინახეზე ახვალ და იტყვი;
სიამოვნება, რომ დიდი მერგო.
დიდი წარსულის უდიდეს მოწმედ
ცაში აჭრილა დიდი კოშკები.
ქონგურებიდან ლამაზად მოჩანს
სანახაობა, სადაც მოხვდები.
ვაიმარივით მორთულ ქალაქში,
მოედინება ყვირილას წყალი,
მშვიდი, ლამაზი და უწყინარი
და თუ ადიდდა, იყვირებს მაშინ!
ციხის შენების დიდ ისტორიას
ხალხში ფესვი აქვს გადგმული მძლავრი
თურმე პაპუნას, გვარად წერეთელს,
უსურვებია დავითის ქალი...
განრისხდა ძლიერ და აბაშიძემ,
მოციქულები აბრუნა უკან,
უციხო კაცის სიძედ გახდომა
იუკადრისა, არ უჯდა ჭკუას.
მოციქულებმა პაპუნას ამცნეს,
რომ სხვა გზით უფრო აღიდგენ იმედს!

არ მოინდომა მოძმის სისხლის ღვრა,
ოფლის ღვრა უფრო მისცემდა შედეგს
და ააშენა ციხე-დარბაზი,
ამით დაუგო მან დავითს მახე,
მოიხმო კაცი, აჩვენა ციხე -
ამიტომ ჰქვია მას - მოდინახე!

თბილისურები

ვინ არ გიმღერდა, შენ ძირძველო, თბილისო ჩემო
თიხის სასმისი, სავსე ღვინით, იყო სალაღო,
შენს სადღეგრძელოს ლექსად თქმულსა, თუ მელოდიით
სვამდნენ, მღეროდნენ, ჩემო ტურფა-თბილის ქალაქო.
ცვრიან მწვადის სუნს, მტკვარზე ტივი აქა-იქ ფანტავს,
გაშლილ სუფრაზე სალაღობო ნათება სანთლის,
ქეიფი, ღვინო, სიხალისე და დროსტარება,
ცაში აჭრილი დუდუკის ხმა, თუ საზანდარის.
შენთვის მღეროდნენ და გამკობდნენ, გლოცავდა ხალხი,
თბილისელ აშუღს სიყვარული მისი ეღირსა,
საიათნოვა, აღგზნებული ხშირად მღეროდა:
„სამშობლო ჩემი თბილისია, გული ქართლისა“.
შენს სადიდებლად, ჩემო ტკბილო, ამღერდა ყველა,
თბილისურ დუდუკს ცინუკის ხმა ერწყმოდა წმინდად,
ამ დიდ საუნჯეს, შემონახულს ძველ თბილისისგან
ეფერებოდა, აღმერთებდა, ამკობდ ტკბილად.
ძველი ქალაქის სიყვარულში სევდას ჩაქსოვილს
გულჩათხრობილი უმღეროდა ბატონი გოგი,
ნაღვლობდა, გრძნობდა, არსებული ის სიხალისე
ძველმა ბიჭებმა, უკვე ვიცით, წაიღეს როდის...
მთელმა მსოფლიომ ჩაგიხუტათ, ბატონო რევაზ!

თქვენი მუსიკა სიცოცხლეა, ხალასი, ნაზი,
„თბილისო“ - ყველგან რომ გაისმის, ყველა ღიღინებს,
ყველაზე მეტად შეეთვისა ქალბატონ ნანის.
მრავალ განსაცდელს გამოვლილო ჩემო ქალაქო
მინდა რომ ყველამ გაიხაროს შენი დიდებით,
ოთხმოცდაცხრაში, როცა ხალხი გლოვდა, ოხრავდა
სეფიაშვილმა აგვიმღერა მაშინ „ტიტები“.
შენ, საქართველო, მუსიკოსთა, პოეტთა მუზავ,
ჩუქურთმასავით გამოთლილო ჰანგო ლამაზო!
უფრო აყვავდი, უფრო მეტად გაგვიძლიერდი,
მრავალ „თბილისურს“ მოგიმღერებთ, კიდევ სალაღოდ!

დიმიტრი ყიფიანის სახელობის ქვიშხეთის საჯარო სკოლა.

13 წლის

კესო ღონღაძე

სამყარო ჩემში

ცაზე ღამის ღრუბლები აიშალა; ისეთი ქაოსი იყო, თითქოს მთვარის გადამალვას ლამობდნენ, თითქოს ირგვლივ სამყარო ჩაებნელებინათ. ვარსკვლავები? ვარსკვლავები არსად ჩანდნენ, ცის გუშაგები. წვიმის წვეთების ხმა მოლასლასე ლანდის ფეხის ხმას მაგონებდა. თვალები დავხუჭე, მაგრად დავხუჭე, ძალიან, ძალიან მაგრად დავხუჭე, რომ ჩემი მოძალებული ფიქრები ღრუბლებივით გადამეყარა. ვნატრობდი, იქნებ მალე გათენებულიყო და მერე... საოცარია, ჯერ კიდევ მძინარემ ვიგრძენი, როგორ აკიაფდა მზის სინათლე ოთახში, როგორ იჭრებოდნენ ერთმანეთის მიყოლებით მზის სხივები, თავს ნაზად მიკრავდნენ, მხრებზე მეფინებოდნენ და ბუნების ზღაპრული სანახაობის სახილველად მიწვევდნენ. როგორი მონდომებით მეხმარებოდნენ მენახა მისი საოცარი მშვენიერება, სხივების თამაში, ფრინველთა ტრფობა და მშვენიერი გალობა, მაღალი, ამაყი მთების თანადგომა, ყვავილთა კვირტების საოცარი აფეთქება დილის სხივის მოხვედრისას. „დიდება შენდა უფალო“ ეს ხომ შენი შემოქმედებაა, დიადი ხელოვნების ნიმუშია. უბადლო შემქმნელი და შემოქმედი ამ საოცარი სამყაროსი თავად შენა ხარ, უდიდესი ხელოვანი. ეს

სწორედ ის ღვთიური ხელოვნების ნიმუშია, რომელმაც ჩემს სულსა და გონებაში ნამდვილი კათარზისი გამოიწვია, თითქოს ჩემს სულში ერთიანად ჩაიღვარა ეს მზის სინათლე, გული გამითბო, გამინათა. მესმოდა ფუტკრების ბზუილი, ვხედავდი, როგორ საქმიანად ფუსფუსებდნენ, ეს თითქოსდა უმწეო მწერები. შრომობდნენ, ქმნიდნენ, როგორც სულის, ასევე ხორცის საოცარ საკვებს. არა... არა „ხელოვნებაა თავად ღმერთი ამ ქვეყანაზე...“ უეცრად გამიელვა დიდი კონსტანტინეს სიტყვებმა. „გულის სისხლს, რომ მოითხოვს საფასურს“ ესეც ცხადია. თითქოს წინა ღამის აშლილი ფიქრები ხელოვნებაში ჩაიკარგა ახლა უფრო ჰარმონიულად. „მზეო თიბათვისა“ გამახსენდა, გალაკტიონის და უეცრად „გრაალთან“ ლოცვა მომინდა, სამყაროს შევედრება. მერე „ნიკორწმინდა“ დავინახე ცამდე აზიდული, თვით გალაკტიონიც, რომ გაუოცებია თავისი სიდიადით: „ნეტა ვინ აზიდა, ან როგორ აზიდა, რა ხელმა აზიდა მაღლა ნიკორწმინდა!“ ნებისმიერი ხელოვნების ნიმუშმა შეიძლება გამოიწვიოს ადამიანში კათარზისი - საოცარმა ფილმმა, მრავლისმთქმელმა ნახატმა თუ ემოციებით დატვირთულმა სპექტაკლმა. ზღვასავით უძიროა ხელოვნების სამყარო, რომელშიც მინდა სულით ჩავიძირო და დავტკბე მისი მშვენიერებით, მაგრამ არა, არა მგონია ყველას სასიამოვნოდ შეეძლოს ხელოვნების აღქმა. თუნდაც ხელოვანის მიერ შექმნილი დორიან გრეის პორტრეტი, მიუხედავად მისი ორიგინალურობისა და საოცრებისა, მრავალფეროვან განწყობას უქმნის რეალურ პერსონაჟს, ხიბლი და მოწონება გაღიზიანებითა და ზიზღით მთავრდება. და მაინც მიმაჩნია, რომ ყველა შემოქმედისთვის შვებაა ხელოვნებაში ჩაძირვა, მისი გრძნობების ნიაღვარივით დენაა, მისი სულის ამოძახილია უკიდეგანო სივრციდან, გულის ფეთქვაა დედამიწის შუაგულიდან, იმ ვარსკვლავთა გუნდია, მე რომ ვერცერთი ვერ შევნიშნე იმ ღრუბლებით მოქუფრულ ღამეს, ის გადამალული მთვარეა

ღრუბლებს, რომ გამოექცა და გზას მინათებს სიხარულისკენ, ბედნიერებისკენ და სამყაროს მშვენიერებისკენ. მაგრძნობინებს, რომ „ხელოვნება თავად ღმერთია ამ ქვეყანაზე“ და არა მარტო ამ ქვეყანაზე...

რა არის სიყვარული

„მაინც რა არის სიყვარული?“ გრძნობა, რომელსაც ეტრფოდა გალა, გრძნობა, რომელსაც ეტრფოდა შოთა, ეტრფოდა ვაჟა, ეტრფოდა ლადო, გრძნობა, რომლის მონობაშიც თითქმის მთელი სიცოცხლე გაატარა ტატომ. გრძნობა-მიუწვდომელი ედემივით, ხელუხლებელი მზის სხივივით... მოკვდავთა ენას რომ არ ძალუძს ახსნას და გამოთქვას და დედამიწაზე რომ არ მოიძებნება მსგავსი რამ! გრძნობა, რომლის ოცნებაზე ფიქრშიც იისფერი ზამთარი გაატარა გალამ. ხშირად დასწყვეტია გული, ხშირად უტირია კიდეც ღამის წყვდიადში, ქარში და წვიმაში ყველასგან მიტოვებული მეფე ლირივით. მისი ბრალია... კი, კი, მისი ბრალია... „ყვავილების ზღვა“ მან აჩუქებინა სატრფოსთვის და მერე სადღაც, ქუჩაში, კიბის ქვეშ გადმოჰქონდა ფურცელზე თავისი ფიქრებითა და გრძნობებით გაჟღენთილი ფერები ნიკალას. მირზას რომ ღამეებს ათენებინებდა ეს სიყვარული იყო...ასეთია სიყვარული; ასე უცნაურად, თავისებურად რომ უგრძვნია მოკვდავს და ასე ლამაზად და სათუთად, რომ გადმოსცემდა თითოეული მათგანი. მაინც რა არის სიყვარული?! ეს ძალაა, რომელიც დარდს უქარვებდა მაღალ კოშკში გამომწყვდეულ ნესტანს. ამ რთულ სიტუაციაშიც კი სიყვარული დაიარებოდა ქაჯებით გარშემორტყმული კოშკის მახლობლად. აქაც მის გვერდით იყო ეს გრძნობა, არ მიუტოვებია. კუკარაჩას რომ ვკითხოთ „სიყვარული ყველაზე დიდი ნიჭია, რაც კი ღმერთმა ადამიანს უბოძა ... და უბედურია ის კაცი, ვინც ამ ნიჭის გარეშე

წავა ამ ქვეყნიდან“. არა, მაინც რა არის სიყვარული?! იქნებ ფერფლია, მეუღლისა, ჩიქოვანის საფლავზე მობნეული, ან იქნებ ილიას წერილებია, ღამით რომ ჩურჩულით ჩაესმოდა ოლღას... არ ვიცი რა სიღრმით დავფათურობ ამ ბუმბერაზი ადამიანების შემოქმედებაში. სიყვარულით სავსე გული ნაჟურ-ნაჟურ რომ ჩამოუწურიათ... არა და, ნეტავ რას გრძნობდნენ, მაინც როგორი იყო მათთვის სიყვარული?!... არავინ უწყის... და ისევ, მაინც რა არის სიყვარული?! სიყვარული არის ძალაც და სისუსტეც. თვით უფალს, უზენაესს, კაცობრიობის უდიდეს მაგალითს საკუთარ მხრებზე რამ ააღებინა ხალხის ცოდვები! თუ არა სიყვარული, რატომ ენდა ვეტვირთეთ?!. თუმცა ჩვენ ვერ შევიცანით იგი, ვერ დავინახეთ და დავსაჯეთ, სიყვარუ-ლისთვის დავსაჯეთ... და მაინც, მაინც რა არის სიყვარული?! სიყვარული უზენაესია, როგორც ღმერთი. სიყვარული უკვდა-ვია, როგორც ღმერთი. სიყვარული უხილავია, თუმცა გრძნო-ბადი და დიდებულია, ღმერთივით... სიყვარულია ღმერთი და ღმერთია სიყვარული...



ამირან ჩადუნელი

დაიბადა 1935 წლის 14 ოქტომბერს ხაშურის რაიონის სოფ. სათივეში. წარჩინებით დაამთავრა ქვიშხეთის საშუალო სკოლა, შემდეგ თსუ-ის ფილოლოგიური ფაკულტეტიდან ინაცვლებს ქიმიურ ფაკულტეტზე. სხვადასხვა დროს მუშაობდა თანამდებობებზე: ბორჯომის მინისტარის ქარხანაში მთავარ ინჟინრად და დირექტორის პოზიციაზე ხაშურის მინისტარის ქარხანაში. მთელი თავისი გააზრებული სიცოცხლის მანძილზე ლექსები იყო მისი სულის საგზალი; გახლდათ საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი. გარდაიცვალა 67 წლის ასაკში.

რა ლაჟვარდია

რა ლაჟვარდია, ამ დარდიან გულს ლაჟვარდები
ელაჟვარდება, ლურჯი სივრცე შუქით ინთება,
ვდარდობ და ვიცი, რომ არასოდეს შეგიყვარდები
და სიყვარულიც არ მეღირსება.

* * *

ობოლი გულის დამონება ო, როგორ შესძელ,
ჟამთა სრბოლაში არ ჩაქრება ლექსების ბრწყინვა,
ჩვენ დავიზრდებით და ტოლები იტყვიან ჩემზე,
მას უყვარდაო ლომსაძე თინა.
უყვარდაო და სიყვარულზე უთხრა უარი,
საშინელება უარესი ქვეყნად თუ არი.
და მახსენდება სიტყვები ურჩი
მე რომ ფიქრების სარეცელზე ასე დამაკრეს...
თინავ, ო, თინავ, შენს სიყვარულს თუ გადავურჩი,
ვგონებ, სიკვდილიც ვერას დამაკლებს.

მხოლოდ სინანული

მხოლოდ სინანული, მხოლოდ სინანული,
მხოლოდ სევდიანი წვა და შთაგონება,
ისევ მაიმედებს შენი სიყვარული,
შენი გაღიმება ისევ მაგონდება.
ისევ მაგონდება ზეცა მთვარიანი
ზეცის დაღმართებზე მთვარე დაგორდება,
განა სიყვარულით ყველა მთვრალი არის,
განა ყველამ ჩემებრ იცის დაღონება?!
აგერ ალუბალი ტოტებს აშრიალებს
და წვიმის წვეთები ცვივა მინანქრებად,
როცა დაგინახავ ტანში მაჟრიალებს -
სული მინათდება.

ქვეყნად რამდენი ლამაზი დადის

ქვეყნად რამდენი ლამაზი დადის
მოხატულ კაბის შრიალ-შრიალით;
მე გამოხედვა მახარებს მათი,
მახარებს მათი თვალთა ციალი.
ზოგს ტუჩთან შავი ნიშანი აზის
და მზის ნათელი ელვარებს გულში,
ზოგიც ისეთი ნაზია, ნაზი, -
ვით აწეწილი ყვავილი ნუშის,
ზოგს სიყვარულიც ვერ გაუბედავს
და ნორჩი გულის ღელვა არ იცის,
მაგრამ იმ გოგოს რა ჰქვია ნეტავ?
ვისი ეშხითაც ასე დავიწვი.

ჰეი, შენ, ვისაც სიცოცხლეს გაძლევ
და გულუბრყვილოდ გიმხელ ხვაშიადს,
რატომ მარიდებ მაგ ლამაზ თვალებს
განა ვალში ვარ?!
ქვეყნად რამდენი ლამაზი დადის
მოხატულ კაბის შრიალ-შრიალით,
მე მიყვარს ლექსით შექება მათი,
მე მიყვარს მათი თვალთა ციალი.

უმცროს დას

შენ არც კი გახსოვს ალერსი მშობლის,
არც თბილ საწოლთან ნამღერი ნანა...
ჩვენ სახლში კვერი ცხვებოდა ობლის
და შენ ობლობა გიგრძვნია განა?!
ვინ დაგტოვებდა ბედის ამარა,
თუმც დედის ძუძუს ნატრობდი ჩვილი,
მხრებში მოხრილი და თმებჭაღარა
აკვანს გირწევდა ბებია ტკბილი.
და შეუმჩნევლად გავიდნენ წლები,
ის დიდი დარდი წაიღეს თანა,
ახლა შენ, როცა აკვანთან ჯდები
და შენს პატარას უმღერი ნანას, –
ასე მგონია, გაცოცხლდა დედა
და ისევ მატკბობს მისი ალერსი,
მშობელი დედის ხატებას ვხედავ.
დაო, შენს ფართო ნათელ თვალებში.

როგორ იქნება

როგორ იქნება სულს არ დააჩნდე,
ჩემი სიცოცხლის დიდო გვირგვინო,
შენს დიდ მარანში მინდა დავმაჭრდე,
შენს ძარღვში მინდა სისხლად ვიდინო.
როგორ იქნება ამ მთებს ტიტანებს,
რომ არ დავაჩნდე როგორც ბწკარედი,
ანდა ამბავი არ მოგიტანონ
სახრჩობელაზე როგორ ავედი.
როგორ დავღვარე მჩქეფარე სისხლი,
რათა ბოლომდე მეთქვა მე ჩემი,
ძლევამოსილი შენი გზით ვივლი
და სადაც მეტყვი იქ დავეცემი.
იქ დავეცემი თმოგვთან, დიდგორთან,
რათა წინაპართ სულს ვუდარაჯო,
ვარ შენი ვაზის ერთი ჭიგო და
კრწანისის ველის ერთი ყაყაჩო.
როგორ იქნება არაგვს არ ავყვე,
არ დავეყარო კალმახს წინწკლებად,
არ მოვეფერო მცხეთის ვარაყებს,
როგორ იქნება, როგორ იქნება,
რომ არ შევება მომხვდურს სხვა ძალით,
გავჭრა არხები, ვმკიდე ყანას და
ზღვად არ გიგციო ერთი მარცვალი
გადაგდებული ხნულში ანაზდად.
არ გაგიმართო გრდემლი და დაზგა,
არ გაგინაღდო ცხოვრების მინდი
და შენთვის, შენთვის დაჭრილი ასგან,
გაღიმებული არ შევხვდე სიკვდილს.

როგორ იქნება სულს არ დააჩნდე
ჩემი ცხოვრების დიდო გვირგვინო,
შენს ცხელ ღადარში მინდა დავნაცრდე
და შენი ბუხრის კვამლად ვიდინო.

* * *

მეც პოეზიის სახმილი მწვავდა,
ვიყავ მუზასთან განუყოფელი,
უფრო ლამაზი სათივის გარდა
არსად მენახა მე სხვა სოფელი.
უხმოდ მივდევდი ცხოვრების გზაწვრილს
ბრძოლით გავლიე ყველა გზაწვრილი,
მე ყველა თქვენგანს ვეძახდი ყმაწვილს,
ერთ დროს მეც თქვენებრ ვიყავ ყმაწვილი.
ერთ დროს მეც თქვენებრ მერჩოდა ჯანი
ვიყავ თქვენსავით მკლავმოუღლელი,
მედგა უღელი ყველა თქვენგანის
და საქართველოს მედგა უღელი.
მეც მაოცებდა ეს ტყე უღრანი,
მეც ვიყავ ერთი ტყის მეგობარი,
მოდით, პაატა, გოგი, მუხრანი...
და შესვით მამის შესანდობარი.
მოდით, დალიეთ დაგრეხილ ყანწით
და ამისრულეთ გულის წადილი,
მე ყველა თქვენგანს ვეძახდი ყმაწვილს
ერთ დროს მეც თქვენებრ ვიყავ ყმაწვილი!

* * *

გაქრა სამოცი წელიწადი, დადნა წამებად,
არც გათენება მიხარია, არც დაღამება.
სიცოცხლე გრძელი მეგონა და მოკლე ყოფილა,
მოკლე ყოფილა, - თვალის ერთი დახამხამება.
სიკვდილის ლანდი ძუ მგელივით მომდევს ძუნძულით,
სად გავექცევი წლების ტვირთით მხრებდახუნძლული,
სულ მალე ფეხის დასადგმელი აღარ დამრჩება,
არყოფნის ზღვაში იძირება ჩემი კუნძულიც.
რომ მკითხონ – „შორ გზას დაიწყებდი ისევ თავიდან?"
- ღმერთმა მაშოროს გადავუხტე არონს ნავიდან,
მე ჩემ წილ ტკივილს, ჩემ წილ წყენას არვის ვუსურვებ
რაც ჯავრი მქონდა სამარეშიც ჯავრად ჩავიტან.
დამძიმდა ტვირთი, წლების ზიდვა გახდა წამება,
არც გათნება მიხარია არც დაღამება...
სიცოცხლე გრძელი მეგონა და მოკლე ყოფილა,
მოკლე ყოფილა, - თვალის ერთი დახამხამება!

გიორგი ჩუბინიძე,
ისტორიკოსი

დაიბადა 1994 წლის 5 აგვისტოს, ქალაქ ხაშურში. სკოლის შემდგომ ეწეოდა ჟურნალისტურ საქმიანობას, აგრეთვე მუშაობდა საქართველოს საპატრიარქოს ანდრია პირველწოდებულის ქართულ უნივერსიტეტში, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, ქალაქ თბილისის მე-6 საჯარო სკოლაში. სხვადასხვა პერიოდში სწავლობდა თბილისის, ოსნაბრუკის, ბერლინის (გერმანია) და ვენის (ავსტრია) სხვადასხვა აკადემიურ, თუ პროფესიულ სასწავლებლებში, გერმანული ენის შემსწავლელ სკოლებში. წერს ჩანახატებს, ესეებს, რომლებსაც აქვეყნებს პირად ბლოგ ზე და სოციალურ ქსელში.

წამი წამწამთან...

წამი წამწამების შეხებისას რომ მიილევა და წამიერ წამებას იგრძნობ, აი მაშინ ხარ სამყაროს ისეთივე წარმავალი ნაწილი, როგორ ყველა და ყველაფერი.

წამში წყდება ადამიანის ბედი და კიდევ წამიერი შეგრძნებებია ის, რასაც მთელი ცხოვრება ვანგრევთ და ვაშენებთ და მაინც წამში ქრება ყველაფერი.

წამი წამად და ადამიანი წამებად ღირს კი? სად ვდიო ბედნიერ წამებს და საიდან გამოიწრთობა ეს ყველაზე სანუკვარი ოცნება. საიდან შეისხამს ფრთებს და რას ველი, საიდან...

ჩვენ ვქმნით ჩვენს წამებს და წამების დასასრულიც ხშირადაა ჩვენს ხელთ, მაგრამ გამბედაობა...

ასეც ვერ ვაწამებთ საკუთარ თავს, რომ წამში გავაქროთ ყველაფერი, არადა რამდენგზის ფიქრობს ამას ადამიანი...

ძლიერი ემოციისას ვუსმენ რომელიმე საოპერო არიას და მერე არეულ ფიქრებში და სულიერ კვამლში გაბნეული

საკუთარი გრძნობების თავმოყრას ამაოდ ვცდილობ. არ ლაგდება არაფერი, მხოლოდ არეული გრძნობები ირევა ერთმანეთში და ვძაბავ გონებას, კვანძებს ვქმნი, რომელიც წამში იცვლიან ფორმებს.

წამში ხდება წამება და წამია ულმობელი, წამი მაბედ-ნიერებს და წამი მიელვებს წარმავალ ან წასავალ სურვილებს და მაინც წამში ქრება ყველაფერი.

საით, საით მიდიან გოენების ლაბირინთები და სად, რომელ საწადელში ვარ გამომწყვდეული, საით მიმყავს ჩემი ცხოვრება და რატომ ვაწამებ საკუთარ თავს, როცა წარსულზე ვფიქრობ?

წამის მწამს და წამი მაკვირვებს, როცა ადამიანები ქრებიან ყოველ წამში. სულიერად, ფიზიკურად, ადამიანურად. არიან და აღარ არიან, წამში იკარგებიან.

გუშინ წამიერი ბედნიერება მოგანიჭეს, დღეს წამში გააქრეს ყველაფერი და მაინც წამია ის, რაც მთელი ცხოვრებაა ვიდრე წარმავალ წუთამდე.

წამის წასვლის მეშინია, როცა წამი ბედნიერია.

წამი წამწამების შეხებისას რომ მიილევა და წამიერ წამებას იგრძნობ, აი მაშინ ხარ სამყაროს ისეთივე წარმავალი ნაწილი, როგორ ყველა და ყველაფერი.

ლოტე, მე და ტომკესთან თამაში

ტომკე უთენია კარზე მიკაკუნებს. თამაში უნდა. რას არ იგონებს... გერმანელი ბავშვები „კორონობანას“ თამაშობენ. თოჯინებს ტესტავენ კოვიდი არ ჰქონდესო. ტომკე რის ტომკეა, მთელი ოჯახიც „გაგვსინჯა“. კოვიდი არა, მაგრამ ტომკე შემეყარა უკვე რა ხანია. დავიღალე. ჰამბურგში მივდივარ. მეგობარმა დამპატიჟა. რთული თვეები მქონდა და მინდა

გადავიტანო ყურადღება. მაგრამ ჯერ ბანია უნდა გავასეირნო. ლოტეს მინდვრებში, ვესტფალია-საქსონიის საზღვარზე. ცივა. ცივა და წვიმს. ჩვენებურად ჟინჟულავსო ამბობენ, მაგრამ ეს ჟინჟული აქ მთელი ზამთარია გრძელდება. განწყობას მინადგურებს, მაგრამ ვერსად გაიქცევი. ლოტეს მინდვრები ბანიასთან ერთად მაქვს მოსავლელი. ბანიას რასა ვისლაა. მონადირეა და ყველა ფრინველზე იწევს, მაინც ვერავის ეწევა. ახლა დასვენებაა და შემიძლია ბანია იქ გავასეირნო სადაც მინდა, არ ვარ ვალდებული, მაგრამ ბანიას მოსწონს სეირნობა. მეც მეტი აქ ვინ მყავს. ბანია და მე ვართ. ერთად ვსწავლობთ გერმანულს.

ბანია ქომ, ბანია, ვას ჰაბე იჰ გეზაგთ?!

ბანია ყურებს ჩამოყრის, თავს გადახრის და მომაჩერდება. დატუქსვა სწყინს. ტომკესთან თამაშს მირჩევნია ბანია ვასეირნო. ტომკე საყვარელი გერმანელი გოგონაა, მაგრამ მისი თამაშები... ო, გოთ!

დავიღალე. 31 დეკემბერია. 2020 წელი. ყველა მენატრება.

ჰამბურგი მოვიარე. თინას დაბადების დღეა. გავიტესტეთ რომ ჰაიკო და კრისტიანი გვესტუმრონ. ლუმელი და ენიოც მოჰყავთ. კარგია, თეთრ მშრალ ღვინოზე გადავაგორებთ თინას იუბილეს და დღეც გავა. ეგებ მალე ეს იანვარიც გავიდეს და კიდევ ბევრი თვე...

დავიღალე. ენის კურსზე ბევრი დავალება არ მაქვს, მაგრამ სრული უაზრობაა. ფრაუ ანელიმ პასივი აგვიხსნა. გავიგე, გაგების დონეზე, მაგრამ სიტყვების მარაგი არ მაქვს. ვერ ვსაუბრობ. პრაქტიკა თითქმის არ მაქვს, ბანიას რა ვესაუბრო. ძაღლია რა, ადამიანი ხომ არაა. ეგეც დაიღალა.

ბანია ქომ, ბანია, ვას ჰაბე იჰ გეზაგთ?!

კედლებზე ყველგან გერმანული სიტყვები მაქვს გაკრული. დღეში სამი სიტყვა უნდა ვისწავლო. სეირნობისას თან მიმაქვს

და გზად ხმამაღლა ვიმეორებ. გამვლელები უცნაურად მიყურებენ, თუ შევამჩნიე რომ შემამჩნიეს, - ვჩუმდები. მერე ვაგრძელებ.

სასაფლაოს გზა სულ მოწესრიგებულია. აქ ლოტეს მოხუცები განისვენებენ. ანა მიულერის საფლავი გზის პირასაა. ვინაა არ ვიცი, მაგრამ ყოველ დღე ვხედავ. ეჰ, ფრაუ მიულერ. რამ დაგვაკავშირა ახლა თქვენ და მე ერთმანეთთან. სადღაც ლოტეში, ბანია, თქვენ და მე. გვერდით ვესტფალიის მიწები და ფერმა. მანდ ერთი წარწერაა – „არავის დააავიწყდეს, რომ გლეხები ზრუნავენ საკვებზე!“ ნატურალური რძე მანდედან მოგვაქვს. ამ წარწერას ერთი წელია ვკითხულობ, აბა, რა დამავიწყებს?!

10 წლის შემდეგ ამხელა პირველად მოთოვა. ანა ფრანკის ქუჩაზე ბევრი რუსი ბავშვია. ტომკა ვერც ერთს ვერ იტანს. არა, ისტორია რა შუაშია, ისე ვერ იტანს. უცნაური ვინმეა. მხოლოდ დიდებთან თამაშობს, უფრო ბიჭებთან. მთელი დღე ციგით დამყავს. ბანია მგონი ეჭვიანობს, უცნაურად ხტუნავს და მიყეფს. გაცხარებულია. რა ვქნა, რამდენად გავიჭრა. ისევ დავიღალე. აღარც თოვლი მინდა. ლამაზია, მაგრამ ვერ აღვიქვამ.

ორი კვირაა დევს. აღარ აიღო. სულ ყინვაა. ახლა მაინც იწვიმოს! ბანია და მე მაინც ვსეირნობთ. ფრაუ მიულერიც თოვლშია ჩაფლული. წარწერა არ ჩანს, მაგრამ ხომ ვიცი სადაცაა.

ვესტფალიური მშვიდობა ისე აქედან დაიწყო. ევროპის პატარა ქვეყნებმა ამის მერე ამოისუნთქეს. მეც მშვიდად ვარ. ზედმეტად მშვიდად, მაგრამ საქართველოსნაირი ქვეყნის შემხედვარე რა ამომასუნთქებს. ფეისბუქი გავაუქმე. უიჰ, გახარია გადადგაო, სადღაც ამოვიკითხე.

გაზეთი მოიტანეს. კვირის გარდა ყოველ დღე მოაქვთ. მეც ყოველ დღე ვფურცლავ, აქაც ახლა ჩემზე არ ეწეროს რა, ან საქართველოზე. რაც აქ ვარ სამ ქართველზე წავაწყდი სტატიას – ქეთი მელუაზე, სტალინზე და მერაბ ნინიძეზე. რა

ტყუილად ვიფხორებით. ნუ, სტალინი ხომ იციან?!

აღდგომაა. წელი მაქვს გაშეშებული. კიდევ კარგად ვარ, მთელი წელია ბანიას დავათრევ. დავათრევ რა, დავაბრძანებ. ეგ რომ არა და ფრაუ მიულერი...

ტომკე და იაკობი ბაღში შოკოლადის კურდღლებს ეძებენ. ტომკეს ატყუებენ რომ თავისით გაჩნდნენ.

ტომკეს სჯერა.

იაკობი დასცინის – „დებილო, გატყუებენ!“

თინა ეჩხუბება. აქ ყოველ დღე ასეა.

თეაც აქაა. თქვენთან როგორ აღნიშნავთ აღდგომასო. არ გინდა ახლა ჩემი გერმანულით ავუხსნა? ფრაუ მიულერიც კი დამცინებს ლოტეს სასაფლაოზე. მაინც გავრისკავ და მოვუყვები. მივდივართ, კვერცხები მიგვაქვს და მერე ყველა ერთად ვჭამთ. ქალი მოსაბრუნებელი გამიხდა. დაგვცინა რა უცნაურიაო. ჰო, აი მაგათი არაა უცნაური. მთელი წელია აქ ვარ და სასაფლაოზე ჯერ კაცი არ მინახავს. მკვდარი ვის ახსოვს.

მერკელის განცხადებას ვუსმენთ. ლოქდაუნი გრძელდება. ახლაც არ მეღირსება საქართველოში წასვლა. კიდევ კარგი აქ ალექსია. ერთი ქართველი ამდენ გერმანელში. არა, რას ვერჩი, კარგი ხალხია. ისე რას ერჩოდა პაპაჩემი?! მედლებიც ჰქონდა, ვინ იცის ვინმე ამათი წინაპრის გამოც... ნუ რას ვიზამთ ახლა, ბოლოს ყველა ფრაუ მიულერის გვერდით აღმოვჩნდებით. უნდა ვაპატიოთ.

ლოტეს მინდვრებში სიმინდი დათესეს. რომ აბიბინდა და ახასხასდა ლოტეს ვეღარ იცნობდით. ულამაზესია. ვერ აღვიქვამ. ჩვენთან ყველაფერი მენატრება. დავიღალე. ოსნაბრუკში მივდივარ ხოლმე. აქვეა, ერთ კილომეტრში უკვე მანდ ხარ, მაგრამ ეგ უკვე საქსონიაა. ეგეც მომბეზრდა. პატარა გერმანული პროვინციული ქალაქია. მოინს მოგიძღვნიან და გაგივლიან ცივი სახეებით. მეტს არავინ არაფერს გკითხვას. ეგეც საკმარისია. ალექსი და მე ვსეირნობთ, დონერს ვჭამთ

სასტიკად მშიერები. გემრიელია. კვირაა და კიდევ კარგი ამ ქალაქში თურქებიც არიან. მხოლოდ მათი მაღაზიებია ღია. კვირას ყველაფერი დაკეტილია. წმიდა და უქმე დღეაო, ესენიც სულ სიწმინდეში არ ატარებდნენ რა, ეკლესიები ცარიელია. ვიღასთვისაა კვირა წმინდა დღე. უბრალოდ ისვენებენ, სვამენ, ილეშებიან და კვირას გვიანამდე სძინავთ. ეგეც კარგია.

უტრეხტში წავედი. ამსტერდამში გიორგი დამხვდა. სამ დღეში ლამის მთელი ნიდარლანდები მოვიარე. როგორ ჰგავს ეს ენა გერმანულს. აქამდე არ ვიცოდი. ანა ფრანკის მუზეუმს ჩავუარეთ. აქაც ანა. მაგის ქუჩაზე ვცხოვრობ. დამღალეს. იქით მეორე ანა, ფრაუ მიულერი ლოტეს სასაფლაოზე. ვმეგობ-რობთ რა, მეგობრობაც ასეთი უნდა. უსიტყვოდ მისმენს.

30 აგვისტოა. მორჩა. დაღლილი ვარ. ვენაში მივდივარ. სადგურამდე თილმა მიმაცილა. მირლანიც მაცილებს. ყირგი-ზია. ბოლო დღეებში ნერვები მომიშალა. რუსეთი ჩვენი ქვეყნის საუკეთესო მეგობარია და მათი ენა ყველამ უნდა ვიცოდეთო. ანგლისტია პროფესიით და ინგლისური არ იცის. ნუ ხო, რა ჩემი საქმეა. მოკლედ გამაცილა და წავედი.

მშვიდობით, ფრაუ მიულერ, ანნე ფრანკ, თომკე... ბანია, ეჰ, რომ შემეძლოს წამოგიყვანდი.

ვენაში ვარ. სამაგისტრო პროგრამაზე ვსწავლობ. გუშინ ვენის ოპერაში მოცარტი მოვისმინე. დონ ჯოვანი. ის სული, ბოლოს რომ გამოჩნდა რატომღაც და ჯოვანის თავზარი დასცა მე ფრაუ მიულერს მაგონებს. საუცხოოა. ეჰ, მთელი ეს წელი მე ვიყავი?!

ლოტეში ახლა ისევ ზამთარია. ბანიას მირლანი ასეირნებს, აი ის ყირგიზი, რუსეთი რომ უყვარს. ანა ფრანკის ქუჩაზე ბავშვები თამაშობენ. ჯერ იქ არ თოვს. ტომკემ შობა მომილოცა...

ახლა სხვაგან ვარ. არაფერია სანანებელი.

„Na, ტოლლ“ და DDR-ელი ქალბატონები

პეტრა მთელი დღე მთავრობაზე ბრაზდება – „რატომ უნდა ვიხდიდე უშვილობის გადასახადს? ამათ ვინ ჰკითხავთ?”. მალე პენსიაში გადის და სულ ფულზე დარდობს – „რაში მეყოფა ჩემი დანაზოგი?!”.

რაში ხარჯავს არ ვიცი. მარტოხელაა. სახლი აქვს ბერლინის ცენტრში, 35 წლის სტაჟი აქვს და ვინმე რომ ეტყვის აუცილებლად გეყოფაო – Na, toll… – გაჰყვირის.

ფრაუ ებნერი ყოველ თვე ვარცხნილობას იცვლის და სამსახურიდან წასვლას არც აპირებს, თუმცა უკვე პენსიონერია.

სორაიას პარტნიორმა ბიჭმა შეტყობინება გამოუგზავნა. საჭმელი მოუმზადებია და ამანაც „გაგვახარა“. იქვე ყოველი მესიჯისას წამოიძახებს ხოლმე – „ოჰ, კაცები“.

სორაია 17 წლისაა, სკოლა არ მოსწონდა და მხოლოდ 10 კლასი დაამთავრა, პარტნიორი ბიჭი ჰყავს. საიდან ხარ-მეთქი, როცა გავიცანი და გერმანიიდანო… კარგი, მეტად ნუ ჩავეძიებით, თუმცა რანაირი ქართველი ვარ?! პაპაჩემი 9 თაობის ვინაობას გამოჰკითხავდა და ისე დაასკვნიდა იყო თუ არა გერმანელი.

მაგრამ პეტრა ასე არ ფიქრობს. DDR-ში, დრეზდენში დაიბადა და მთელი ყმაწვილ-ქალობა ბერლინში იცხოვრა. ამისთვის BRD-ლიც კი არაა სრულყოფილი გერმანელი… თუმცა ამაზე მოგვიანებით.

„- მატარებელში ვფიქრობ ხოლმე, ოჰ, ღმერთო, ეს სად მოვხვდი?! გერმანიაში ვარ?!“- ბრაზდება პეტრა და როცა ვეტყვი შენც გადასახლდი იმათ ქვეყანაში-მეთქი, - „Na Toll”- გაჰყვირის.

იანინამ ბინა იქირავა. ეს ისეთი რთულია ახლა ბერლინში… უკრაინელია და მათთვის ახლა ეს მარტივია. არც ვიზა უნდა და არც რომელიმე აქაურ ბიუროში უსასრულო რიგი.

ამ საკითხზე პეტრას პასუხს მიმიხვდებით – „Na, Toll“ – გაჰყვირის.

პეტრას „მუთი“ ჰყავს (დედიკო), კიდევ ორი ძმა და ერთი და. „მუთიც“ მარტო ცხოვრობს დრეზდენში. ეს დედმამიშვილები „მუთისთან“ ვერ იკრიბებიან, წუხდებაო და სია აქვთ შობას რომელი ჩავა და სააღდგომოდ რომელი.

პეტრას პაპა ნაცისტი იყო, პაპანაცვალი კომუნისტი (ბებია-მისი ორივეჯერ სარეფიანად დაოჯახებულა).

აქ პეტრა იტყოდა „Na, toll“, მე კი სორაიას ონტონაციით „ოჰ, ქალები“…

ამ ადამიანებს ფრაუ გრასი აკლია. ისიც DDR-დანაა, მაგრამ ბერლინული ბავშვობით. ტკბილეულის და სხვა პროდუქტების ყიდვა კვირაში ერთხელ კი არა, ყოველ დღე შეძლო (დრეზდენიდან „ჩამოხეტებულებისგან“ განსხვავებით).

,,Na Toll” – ბრაზდება პეტრა და ამატებს ,,ეს იყო ჰორორი”.

ოჰ, ფრაუ ციმერმანი გამომრჩა. ამის საუბარს ახლაც ძლივს ვიგებ, ალბათ ასე საუბრობდნენ 300 წლის წინანდელი გერმანელები… საჭმლის ხსენებისას თვალები უბრწყინდება, მაგრამ სამსახურის კაფეტერიით უკმაყოფილოა და სორაიას გამუდმებით მაკდონალდსში აგზავნის… – Na, Toll… რატომაც არ გააგზავნის?

შვებულება დამეწყო. სორაის აღარ აქვს და წარმომიდგენია როგორ იტყვის – ოჰ, კაცები.

დიდი და უაზრო აღწერა რომ არ გამომივიდეს ჩემი აქაური ნაცნობი DDR-ელი ქალბატონების, ,,Na, toll”, რომ არ მომაძახოთ ან „ეს არის ჰორორი”, აქ გავჩერდები და სხვა დროს სხვებსაც გაგაცნობთ.

ნუცა ჩიტაძე

დაიბადა 2004 წლის 23 მაისს, ქ. ხაშურში. წარჩინებით დაამთავრა დ. კაკიაშვილის სახელობის №2 საჯარო სკოლა. სკოლის ასაკიდან წერს ლექსებს და მოთხრობებს, ამავე პერიოდში აქტიურად იყო ჩართული სხვადასხვა ღონისძიებებში, ირიცხებოდა სკოლასთან არსებულ დღის ცენტრში. სამი პოეტური კრებულის ავტორი. შიდა ქართლის მწერალთა კავშირის წევრი; ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის წევრი; საქართველოს საპატრიარქოს ჩოხოსანთა საზოგადოების წევრი.

ვინ ვარ?!

თქვენ მე არ იცით ვინა ვარ,
იდუმალების ბინა ვარ,
გარეედან პაწაწინა ვარ
და უფრო დიდი შინა ვარ.
თქვენ მე არ მიცნობთ ვინა ვარ,
ხან უზამთროდაც ყინვა ვარ,
გამოჭედილი რკინაც ვარ
და ღრუბლის რბილი თეთილაც ვარ.
ალბათ არ იცით ვინა ვარ,
თუნდაც ჩემს ახლოს, წინა ხართ,
რასაც მალულად ვინახავ,
იმდენს მიზნებად ვისახავ.
რომელი მიცნობთ ვინა ვარ?
როდის კაშკაშა დილა ვარ?
მაშინ მიიღებთ ვინა ვარ -
თუ გამჭირვალე მინა ვარ.

შენ ხარ უფალი

უფალო, შენ ხარ ხსნა,
ვერავინ შეგცვლის სხვა,
არც ირიჟრაჟებს ხვალ,
თუ არ ჟღერს შენი ხმა.
შენ სულის შვება ხარ,
ნუ გამოგვიჩენ ბრალს,
მადლი აფრქვიე კაცს,
უკვდავების წყლით მთვრალს.
შენ თავად ზეცა ხარ,
ბოროტს ჩრდილითაც წვავ,
გვაშორებს ერთი წყრთა -
ჩვენი ცხოვრებით წრთვნა.

ამიმღერე

ამიმღერე თაფლისფერი ვიოლინო,
შემასმინე ტანწერწეტას ჰანგი,
შორით ჭვრეტა აბა როგორ ვიმყოფინო?
დაიფერფლა ის წითელი ვარდი.
ერთმანეთს ჰგავს არეული ამინდები,
წარსულს ვეძებ მიჩვეული გარინდებით,
რად აყვავდნენ შემოდგომით ეს იები?
გთხოვთ,ფოთლებო უდროოდ ნუ გაყვითლდებით.
როგორც ბოლო ფრთაგაშლილი ფარშავანგის,
ისე უკრავს ტანწერწეტას ჰანგი,
ამიმღერე თაფლისფერი ვიოლინო,
შემოდგომით წითელს კარგავს ვარდი.

მამაშვილობა

მამა ის კაცია ზურგს რომ გაგიმაგრებს,
შენთვის რკინასავით იწრთობა,
ოფლს რომ მოიწურავს, მის მხრებზე ტვირთებად
მძიმე ლოდები რომ იწყობა.
ოჯახის ბურჯი ხელებით უჭირავს
და არასოდეს ირყევა,
შვილებს რომ დარდი და სევდა ესტუმრებათ,
მისთვის ბრძოლა მაშინ იწყება.
უჩუმრად, ვედრებით, მამა დაიჩოქებს,
ათევს შუაღამის სივრცეს,
უშიშრად იტვირთავს ტკბილ-მწარე სიყვარულს,
მას რომ მამობად მისცეს.
მამა ის კაცია სულს რომ გვაჩუქებს და...
თმაში თეთრ ჭაღარას მალავს,
შვილების სუნთქვისთვის ჰაერის მოკრეფვა
მხოლოდ შეუძლია მამას!!!

გეფერები დედი

ღვთისმშობლის ხატზე დაუჭკნობელი ყვავილივით ხარ,
შენ მასწავლიდი, მე კი ახლა ლექსებს გიკითხავ,
შენი შვილების თითო ღიმილით ისევ ყვავილობ,
მათ გასათბობად შენ დაიწვები და არც იკითხავ.
ჩვენთვის მთვარესაც ესესხები ღამით სინათლეს,
ოღონდ გვხედავდე, რომ ცის კალთებზე ვართ მოფრინვალე,
სულში გვინერგავ სუფთა სინდისს, შენ მოგვინათლე,
წინ გვიძღვები და შენი თვალების შუქით გვინათებ.

მხოლოდ ინატრებ, შენმა შვილებმა გიმშვენონ გვერდი,
ამ გაზაფხულის დარებს ჩვენით შეეგებები,
თუ ვერ მოგირთავ მაგ თბილ უბეს ძვირფასი ქვებით,
მიყვარხარ დედი! გრძნობით გეტყვი და მოგეფერები.

სამშობლოს რწმენა

მე ისევ მჯერა ჩემი სამშობლოს ძლიერი მკლავის,
მის ცისქვეშეთში შესაფარებლად გაშლია კარვის,
ჯაფით მოვლილი თითა ყურძნის შეფერვა ქარვით,
მწამს, სწორი აზრის ჩამნერგველი იგავ-არაკის.
ისევ ვეკრძალვი ტაძრის წირვას დიადს და ხმიანს,
მჯერა, ნაგლეჯებს მივაკერებთ, ადრე თუ გვიან,
ჯავახეთის მთებს რომ ლოცავდა მუდამ თოვლიანს,
მე იმ ნეტარი წმინდა ნინოს სახელი მქვია.
აქ ისე გათბობს ქართველ ნორჩთა ცეკვა „დაისი“,
როგორც სიამით გაზაფხულობს ტურფა მაისი.
ჩემი სამშობლოს ფიჭვნარეთი რხევით შრიალებს
და რკინის ჯაჭვით დაცულ ალამს
კვლავ ვაფრიალებთ!
ქართლის მეფეებს ხმალი ეპყრათ დაუძლეველი,
შემოგვინახეს ისტორია გაუცვეთელი,
ბევრმა ვარამმა განამტკიცა ქალი წყნეთელი,
„სულიკოს“ ლექსებს ჩვენ გვიწერდა აქ წერეთელი.
მე ისევ მჯერა საქართველოს უძლეველობის,
მისი შვილების მომავალი კეთილდღეობის,
შეურყეველი და დაცული ჩვენი მეობის,
დაუღალავად ანთებული რწმენის ზეობის!!!

ლექსის მიღმა

ცეკვავს ფურცელზე ჩემი კალამი,
ცეკვავს, ილეთებს რითმად იყენებს,
სამკაულს ჭედავს ლექსის სტრიქონად,
რიტმზე სტროფებსაც გამოიცეკვებს.
კალმის წვერიდან გადმოიღვრება,
შთაგონებები შექმნიან რითმებს,
ის, რაც სხვებამდე მისატანია,
როგორ დავმალო, გული ვერ მითმენს.
სიტყვების ფარდაგჩამოფარებულს
ალბათ სულ ყველა ვერ შეიხორცებს
და ვინც იპოვნის მასში დაფარულს,
ის ლექსთთან ერთად მარად იცოცხლებს.

ღიმილის ნიღაბი

კმარა ღიმილის ნიღაბი სახეზე!
ჩაქრა, მის იქით ვინ იცის რა ხდება!
რომელი გამიშრობს წამწამებს თვალებზე?
ყველა გაიქცევა, სევდა თუ გაჩნდება.
კმარა, ჩამოვიხსნი ჭრელ ნიღაბს სახიდან,
ამ მოჩვენებითი ლხინის დრო გავიდა!
რა ვქნათ, ზოგჯერ გვსტუმრობს ყველას განსაცდელი,
გვერდით ვინ დარჩება - ეს არის სათქმელი.
ნიღბის ქვეშ დამალვა მრავალს ურჩევნია,
ვერც კი მიხვედრილან, დარდი თუ გამჩნევია,
კმარა, თვალთმაქცობა რა შესაჩვევია?!
ვტირი თუ ვიცინი, ეს გრძნობა ჩემია.

ხათუნა ჩიტაძე

დაიბადა 1977 წლის 7 იანვარს. წარჩინებით დაამთავრა ხაშურის მე-7 საჯარო სკოლა, ასევე დაამთავრა დაწყებითი განათლების პედაგოგიკა და მეთოდიკა. არის მხატვართა კავშირის ოსტატი, ასევე საქართველის მწერალთა კავშირის წევრი; ჯუმბერ ლეჟავას მრავალპროფილიანი აკადემიის წევრი. ხათუნა გახლავთ 7 წიგნის ავტორი, როგორც პროზა, ასევე პოეზია. მინიჭებული აქვს იაკობ გოგებაშვილისა და მაყვალა მრევლიშვილის პრემიები. ხელოვნების პედაგოგი ხაშურის მე-9 საჯარო სკოლაში. ჰყავს მეუღლე და ხუთი შვილი.

ვწერ

ვწერ, გარს მარტყია ჩემი სამყარო,
ყველა სიზმარი აქაა ცხადლივ!
ცაში სიტყვები უნდა ავყარო,
მზეს რომ მივართვა ლექსი ვით მადლი.
ვწერ,... ოცნებები იძერწებიან,
თითებში ფიქრის მელანი წვეთავს,
მეხეთქებიან, მეფერებიან,
სიტყვები მათი
აზრების მწერალს.
ვწერ! ყვავილებად მოდის ფილმები
ლექსის ფთილები,
ლექსის ძირები
და ჩემს სამყაროს, როგორც შვილები,
ფურცელზე მსხდომებს გავეტირები.

ვწერ... სიყვარული ისე დიდია,
ისე რჩეული,
ისე დიადი!
სული შეშლილი და თან მშვიდია,
არც დილა არის და
არც წყვდიადი.
ვწერ...
დედამიწა ვისთვის წრე არის
და ვისთვის სწორი ქვაკუთხედია,
მთავარია, რომ ცაზე მზე არის,
მთვარეს კი ცხვირი წაუტეხია.
ვწერ...
სიძლიერეს არ უჩანს ბოლო.
ახლა უფრორე ტკივილებს ვდევნი.
ეს მე ვარ შენი თავი და ბოლო.
შენ კი წარსული ცხოვრების დღენი.
ვწერ...
უსასრულოდ. დაუღალავად.
ხორცი უსულოდ მხოლოდ ლეშია.
ლექსმა სიშიშვლე დაუფარა მას.
ვინც ვერ იტირა,
შვება ლექსშია ..
ვწერ!

მასწავლებელი

მამულს გვირგვინად აჩნდება
მასწავლებლისა ტვირთი,
რამდენი შვილიც გაჩნდება,
იმდენ ღიმილით ითვლის.
თეთრად დათვენილ ფიქრებში,
იმედის სხივი მღერის!
მასწავლებელო, უთვლელი
სამადლობელი თქვენი!

* * *

რა მენატრება?
ნუ, ნუ მკითხავ,
რადგან შენ იცი
რომ ლურჯთვალება აპრილები
მზეს ჩემში ჰბადებს,
ცის მზეწნულიდან,
წარსულიდან
ბავშვობის ფიცით.
ლურჯთვალა ია მენატრება
ყველაზე ადრე!

* * *

რით ვეღარ მიხვდით,
ქარიშხლები უფრო მიზიდავს,
გულის ბზარები
მზის სინათლის სხივად მარტყია,
ჰო, ასეთი ვარ,-
ამოზრდილი ფერად სიზმრიდან
და ზეცას ვუჭვრეტ ისე,
თითქოს სულის სარკეა.
რატომ ვერ ხვდებით,
მედგრად ვდგავარ
და კვლავ ვიდგები,
სადაც უფალმა მისახსოვრა მე დიადემა,
თავთავებისთვის მელოდება
შვილთა მინდვრები,
ცხოვრებას ჩემსას
ანგელოზმა ფრთა მიადევნა.
მოვიმკით ნაყოფს
რაც დავთესეთ
და რაც ვახარეთ,
გარდუვალია ყველა ნახავს
თავის მოწეულს,
არ ახალია ეს ყოველი, არახალია,
მე ველოდები მზისფერ დისკოს
მღიმარ ბრონწეულს.
რით ვეღარ ხედავთ,
ქარიშხლები ვერას მაკლებენ,
ამ ჩემს ანგელოზს
არ დაეტყო არც დაღლა, სევდა,
ეს გამოწვევა მე საკუთარ თავში მახედებს,
ასეა, რაც ვთქვი და
აქამდეც რომ უნდა მეთქვა!

წინასწარმეტყველება

ვიღაცასთან ფოთოლცვენა მეფობს
სულშიც, ალბათ, მზემ აიგო ბინა,
ვიცი, ჩემო სულის მეუფეო,
რას ირეკლავს ამ თვალების მინა.
ცა შავ ჰერანგს ცისარტყელას უხსნის,
ეს მირაჟი არ დამტოვებს, ვიცი.
განა ამ გულს ეგ სიტყვები უღირს?
არ მჭირდება მატყუარას ფიცი.
მედარდება რომ ერთ დღესაც,
ავბედითს ჩემს ბილიკებს
ვერ მოხატავს ფოთოლი,
მერე როგორ დავიჯერო ბედის,
ხომ ვიქნები ობოლი!
არც რა გესმით ზენა ქარი სხვაა,
დროის გზაზე დამეფანტა კენჭები,
განდეგილი წლების ტბა და ზღვაა,
ვგრნობ, თუ როგორ ვკენტდები!
ვიღაცასთან ქარი ჩუმად ღრეობს,
სულშიც, ალბათ, სხვამ მოუთბო ბინა,
არ მოტყუვდე, ჩემო გულის მეო,
არ შეუშვა ეგ ქარბუქი შინა!

იარებს

მზის სურნელია ჰაერს რომ ერწყმის,
ისე უბიწოდ ზეცა კრიალებს,
გაზაფხულივით მიღიმის ლექსი
და ვერ დამატყობს კვალს, ნაიარევს!
ვერ მივახატე ჩემი სინათლე,
გრძნეულ ჯადოქარს უცხოს და უბირს,
შემოვიფარე ლბილი სინაზე,
დავტოვებ მარტო უღირსთან უღირსს!
გაზაფხულია ახლა ჩემი დღე,
(მე დავიღალე, სხვაც დაიღალოს!)
მარტო დარჩენილს უცხო ბუნაგში,
ტყვია ტყუილი გულს დაიხალოს.
ახლა კი მარტი თუ მღერის სოლოს,
აპრილი დგას და ამაყად იცდის,
სხვას თავის სევდა მოუღებს ბოლოს,
ჩემი გული კი ტკივილებს იცვლის.
გაუფერულდა რადგან სიმღერა,
ვერ შევასწავლე ანი და ბანი,
როგორ მეგონა რომ დაიმღერა
ბედნიერებამ უტკბესი ქნარით!
წაბილწეს ყველა თეთრი ოცნება,
უფრთო ფიქრი და კეთილი სენი,
ვერსად ვიხილე მე გამოწვდილი
მართალი კაცის ძლიერი ხელი.
აი, ეს არის ჩვენი ცხოვრება,
გამოცანა და მხოლოდ ტყუილი,
ამიტომ არ გაქვს უფლის ცხონება,
გაკრთობს ტკივილი და მგლის ყმუილი.
... მაგრამ ახლა რა მოსატანია

ამ გაზაფხულზე ტვირთი და ვიში,
მზის სხივი ჩემთვის თავსაფარია,
ნავსაყუდელი სად არის, ვისში!?
მზის სურნელია ჰაერს რომ ერწყმის,
ისე უბიწოდ კრიალებს ზეცა,
მე დავიკარგე ცრემლიან ლექსში...
და სევდა სულის გაშლილ ფრთებს კეცავს!

ყაყაჩო

მე ყაყაჩოს ბედი ვიცი,
ღვივის პირმომცინარე,
ყველას ხიბლავს მზერა მისი,
მაგრამ მაინც სწირავენ.
დაუნდობლად მოცელავენ,
ღიმილს არც კი აცლიან,
უსათუოეს წმინდა გრძნობებს
ერთ წამში გააცლიან.
პურის ყანას ეწირება
სისხლისფერი სინაზე,
დიდი დრო არ უწერია,
როგორც წყლის წვეთს მინაზე.
ეჰ, იყო და არა იყო,
სიმღერა თუ არია,
სულ მგონია, რომ ყაყაჩო
მარტოსული ქალია!

ჟუჟუნა ცენგირაშვილი-ქვრივიშვილი

დაიბადა 1949 წლის 1 იანვარს ქარელის რაიონის სოფ. დირბში.. დაამთავრა დირბის საშ. სკოლა. იმავე წელს ჩავირიცხა ცხინვალის პედაგოგიურ ინსტიტუში ფილოლოგიის ფაკულტეტზე. სხვადასხვა დროს მუშაობდა ხაშურის სასკოლათაშორისო სასწავლო საწარმოო კომბინატში ქსოვა-ქარგვის მასწავლებლად; საქმის მწარმოებლად ხაშურის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში. ორი პოეტური კრებულის ავტორი.. ჰყავს მეუღლე, ორი ქალიშვილი, შვილიშვილები და შვილთაშვილები. ცხოვრობს ხაშურში.

* * *

მე ერთ-ერთი ქართველი ვარ,
ვინც სიყვარულს დასტირის,
ექიმს ვეძებ, ვერსად ვპოვე,
სამშობლო მყავს დაჭრილი.

* * *

დრო გამოფრინდა, როგორც ჩიტი ღია სარკმლიდან,
შვიდ ათეულ წელს გუდასავით ვიხსნი მხრებიდან,
ბევრი ოცნება, ნატვრა დამრჩა წერტილდასმული,
მე ვერ შევძელი, შენთვის ზღუდე მეშენებინა...
ვერ მოვიხადე ღირსეულად მე შვილის ვალი,
შენს დაჭრილ სხეულს მტლად, მალამოდ ვერ დავეფინე,
მე ვერ შევძელი შენი დაცვა მამულო ჩემო,
გთხოვ მაპატიე!!!

* * *

ვერ დაიმსგავსე, ეცადე ბევრი...
წრთვნას მაინც ჯობნის სისხლი და გენი!...

უფალო

უფალო ჩემო, შენ უკეთ იცი,
- არ იზომება სიმაღლით კაცი;
ვინ დაგიმალავს გულს და გონებას,
ფიქრსა და სავალს, ვინ რა გზით დადის...
იცი, სად და რით ჩავები ომში,
ცრემლით ვკეცავდი აღმართ-დაღმართებს,
ვერ მივაგენი სიმშვიდის ბილიკს,
რომ მოვეყვანე ტაძრის კარამდე.
არც გულთამპყრობლის იღბალი დამყვა,
სულში სიცივე ჩამრჩა ხიწვივით,
ვერ გავაყრუე სამყარო, ამად,
ბედნიერების წრფელი სიცილით.
ახლა ურწმუნოს მონოლოგს ისმენ,
უფალო, უნდა შემინდო ესეც,
დედამიწაზე სამოთხე სად არს,
ახლა მე შენკენ სავალ გზებს ვეძებ!

* * *

„იყო და არა იყო“- რას, მეცა ვარ ერთი გმირი,-
ქალის და დედის წოდებით, შვილით და შვილიშვილით...
ადამის ერთი ნეკნი ვარ, სულ ერთი პეშვი მიწა,
ფეტვი ვარ, სულის შებერვა, მიწისაც ვარ და ცისაც;
ევას ცოდვები ვით გამხდის, ვიყო ორგული, ფლიდი,
ანკარა წყაროს რად უნდა, - ასეთი ვარო, ფიცი.
„იყო და არა იყო“ - რას, მეცა ვარ ერთი გმირი,
ცხოვრება ზღაპარს ჩამოჰგავს, მეც ჩემი ბედით ვივლი...“

ქარი

ზეცის ლურჯ დაფაზე
ქათქათა ღრუბლებით
რამდენ რამეს ხატავს ქარი!
მერე, ეს შეშლილი,
ხელის ერთი მოსმით,
ქვიშით, საშლელივით წაშლის...
ერთნაირ ფიგურებს
არსად და არასდროს,
ბუნება რატომ არ ქარგავს?!
თუმცა კი, პალიტრა,
უხვი და მდიდარი,
ახამებს ფერების გამას,
ხან თეთრი ფუმფულა,
ხან შავი ღრუბლებით
ზეცაზე რას აღარ ხატავს!..

* * *

მერამდენედ დაითოვა მთები,
ქარიშხალი გულში უკვე ჩადგა,
გაიცრიცა ტკივილების ფერი
ჰორიზონტზე უკვე აღარ ჩანხარ...
დრო გაფრინდა, გამიხუნდა თმები,
დაიძენძა ჩემი სულის ფარჩა,
არა, უკვე აღარ გელოდები
ყველაფერი სარკმლის მიღმა დარჩა...

* * *

გაფიჩხულ ტოტზე წამოდებული
ალვის ხეებთან ატირდა მთვარე,
ჩაიხითხითა უგული ქარმა
შავი ნაბადი მოისხა ღამემ...
ხმა დაუკარგა წყენამ წყაროს წყალს,
სადღაც, შორიდან, ჭოტის ხმა ისმის,
ჩასძინებია მიწას, გარინდულს,
ჩუმი შრიალი მოისმის ისლის...
სამყარო გვცდის თუ გვეთამაშება?
სული აბორგდა დაჭრილ ლომივით...
ტოტებზე ნატვრა ჩამოვაბნიე,
უფალო, მომეც ძალა ლოდინის...

ო, მიწავ ჩემო

კიდევ რამდენჯერ იტირებს ზეცა,
წვიმის ცრემლებით დაბანს მინდორ-ველს...
მიწას რამდენი საიდუმლო აქვს
დაბერებული ვეღარ იგონებს!
სად გადინახა მეფეთა ძვლები,
წინაპართ განძი სად გადამალა,
ფერფლგადაყრილი სასახლეები,
სალოცავები, რატომ დამარხა?!
აბორგდება და ატორტმანდება
ჯავრს ამოაფრქვევს ცეცხლის ენებად,
წალეკავს ლავით, ყველაფერს ირგვლივ,
დაივიწყებს არ ემახსოვრება...
ო, მიწავ ჩემო!!!

სამაჩაბლოში

ლიახვისა და ფრონის ჭალებში
ჩამოყოლილი ქვიშის ჩივილი
მოსძალებია ნატკენ სულს ისე,
როგორც დაჭრილი წეროს ყივილი...
იქ, სამაჩაბლოს ძირძველ მიწაზე
დათარეშობენ უცხო ქარები
და ნატრულობენ ქართულ გალობას
მამა-პაპათა სალოცავები.
ხავსმოკიდებულ სასაფლაოზე
ჩამოუყრია ტოტები ტირიფს,
სანათესაოს ცრემლების ნაცვლად,
ქართველთ სამარხებს ღრუბელი სტირის.
ნისლს დაუპყრია კავკასიონი,
გვიხმობს, მოგვძახის ჩვენი სოფლები,
დასაფიცარი მიწა ქართული
ვინ მოგვინათლა, როგორც ოსეთი?!
ან ვინ არჩევდა ოსსა და ქართველს,
იყო ძმობა და იყო ერთობა,
ბებერი ფესვი ქართულ ყლორტს აყრის
იქ გაზაფხული იებით მოვა.

* * *

შენა ხარ ჩემი სულის სავანე...
მოვეფერები სერებს, ლელიანს;
აქ ჩემს ბავშვობას აუდგამს ფეხი,
თვალი შენს მკერდზე ამიხელია.
ფრონე ჩუხჩუხით ისევ მაგონებს
ბებოს მოყოლილ ლექსებს და ზღაპრებს,-
ბებერ ციხიდან ისევ გავცქერი
ზედაჯვრისა და ღვთისმშობლის ტაძრებს...
ვარდისფერ, ზღვისფერ, დარდისფერ დღეთა
ყმაწვილქალობის, ბავშვობის ბმული,
დაბორიალებს სოფლის ქუჩებში
აქ დამრჩენია სული და გული...
შენა ხარ ჩემთა სულთა სავანე,
სალოცავ ხატად გულს დაფენილი!

დაიბადა ქალაქ ხაშურში; დაამთავრა ხაშურის N9 საჯარო სკოლა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

მაიკო წიქარიშვილი

* * *

ჩემი სამშობლო
კაკლის ხეა,
ვინ არ ესვრის ქვას?

* * *

ჩემი ხელის გულები
გაზაფხულის მიწას ჰგავს,
თუ გაგიხსენებ
ჭინჭრები აყვავდებიან...

* * *

რა ფერი აქვს სიყვარულს?
მწიფე ბროწეულის თუ
ჩემი დაბნეული
ლოყების ფერი?!

* * *

შენ მზე ხარ!
ჩემი თვალის უპეები
უდაბნოდ იქცნენ.

* * *

ჭაში იჯექი
ჩემი ხმა შენამდე
მოაღწევდა თუ არა
ჭა მიბრუნებდა პასუხს.

* * *

ბავშვობაში გაშეშობანას
თამაში გვიყვარდა
ახლა არ გვიყვარს,
მაგრამ მაინც
გვეთამაშებიან.

* * *

შენი ქურთუკის
სახელოთა შარიშური
გაზაფხულის სურნელს ინახავს.

* * *

მე ვუყურებდი
ბერიკაცს და ნაძვს,
რომელმაც თავისი სიმწვანე ვერ დაიჯერა.

* * *

ის ძველმოდური რადიო,
რომელსაც კედელზე დავცინე გუშინ
ჩვენ შორის ჩამდგარ სიჩუმეს აფრთხობს.

* * *

მამლის ყივილმა შემახსენა
კიდევ ერთი დღის გათენება
კიდევ ერთი ბნელი
ღამისთვის.

* * *

უბრალოდ თქვი სალამი ...
და ისე მძიმედ ჩაიარე,
მაინც ვეღარ დაგეწეოდი...

* * *

როცა ხეებიც დამთავრდნენ
ტყეში კი შემოდგომა მოკვდა
შენზე ფიქრებმა გამაჩუმეს,

* * *

გავჩუმდებოდი, მაგრამ
ლამის ზომიერების სწავლაში
სიყვარულის გამეორება
დამავიწყდა...

* * *

რასაც ვერ ვხედავდი
შენ იყავი ჩემი თვალები.

* * *

არათერი უნდა მეთქვა,
პირველი თოვლივით გაპარვა
შეიძლება უფრო შესამჩნევი ყოფილიყო...

* * *

ბინდის ფრინველო
გათენების ნუ გეშინია
ამ სოფელში ყველგან ბინდია
ეს სოფელი ბინდისფერია

ობლობა

გციოდა. მინდოდა გამეთბე,
შენს საწოლთან ჩავიმუხლე,-
საბანი კბილებით გეჭირა...

სიყვარული

აყვავებული ტყემლის ჩრდილი
გამხმარ ხეს ათბობს,-
სიყვარული ჩრდილს
ამოეფარა..

დაიბადა ქ. ხაშურში. 1968 წელს დაამთავრა ხაშურის რკინიგზის მე-4 საშუალო სკოლა, 1970 წელს - თბილისის საფინანსო კონომიკური ტექნიკუმი, 1978 წელს კი- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტი.

ბავშვობიდან წერს ლექსებს, საბავშვო პოემებს.

მანანა ხრიკაძე

დაჩის ფისუნიები

პროლოგი

პატარებო გაიცანით ფუმფულიკა მიები,
ახატული, ჩახატული, დაჩის ფისუნიები.
აბა, კარგად გაიხსენეთ, თვალწითელა მპარავი,
კვერცხები, რომ ამოსანსლა, არ დაინდო არავინ.
ჰო და ახლა მოვისმინოთ, საოცარი ამბავი.

დაბადების დღე

ითქვა დაჩის ერთ კვირაში,
დაბადების დღე აქვსო
და მამიკომ ამ დილასაც
ბიჭი თბილად შეაქო.
დაუბარა: „დღეობამდე,
თუ კაცურად იცხოვრებ,
დაბადების დღის საჩუქარს,
მე მოგიტან იცოდე“.

დაჩიკუნაც ნება-ნება
ფრთხილად ირჩევს საჩუქრებს,
მას კი დაბადების დღეზე,
თეთრი კნუტი აჩუქეს.
დაჩის ისე გაუხარდა,
ჩაეხუტა მამიკოს.
ახლა ერთად იზრდებიან,
კატუშა და დაჩიკო,
ერთად ჭამენ, ერთად სვამენ,
ტანზეც ერთად იცვამენ,
კბილებს ერთად იხეხავენ,
პირსაც ერთად იბანენ.
დილით კატო ანცობებით,
გულიანად აცინებს
და რაფაზე დასკუპული,
დაჩის ბაღში აცილებს.
ჰო და თავის ოინობას,
არც ამ დილით ჩამორჩა,
უცებ გარეთ თვალწითელა,
ბრუცო ფისოც გამოჩნდა.
პატარებო მოიგონეთ
ქურდი ფისოს დამოძღვრა?
კვერცხები, რომ ამოსანსლა,
მერე თვალიც ამოძვრა?
ფისუნიას ამის შემდეგ,
ხარბი ბრუცო უძახეს,
კატუშას კი ყველაფერი,
კაკალ-კაკალ უზრახეს.
კატომ უცებ შეიცხადა:
ეს ამბავი რას გავსო?
აწი საქებ გონებაზე

მე მოვიყვან მაგასო.
ასეც მოხდა, ჩვენმა კატომ,
შეხვედრები დაიწყო,
ვითომ ჭკუის სწავლებებში,
მომავალიც აიწყო.
კატოს თავის ლექციები,
დარიგება ჰგონია,
ბრუცოს კიდევ თურმე გულში,
სხვა მიზნები ჰქონია.
არც გაუბა მუსაიფი,
საამო და კუჭკუჭა,
ბრუცო ბიჭმა დაჩის კატო,
უცებ შეახუჭუჭა.

ქორწილი

დაჩის უკვე საფიქრალი,
მძივებივით აება,
განა ცოტა ამბავია,
ასე უცებ გაგება?
მაგრამ ჭკუა დაიხმარა,
აზრები არ აებნა,
ყველაფერი მონდომებით,
ნაადრევად დაგეგმა.
ბოლოს მაინც გადაწყვიტა,
გონი უცებ აანთო,
ქორწილსაც და მოლხენასაც,
მე მოვუწყობ მაგათსო.
თანდათან და ნელა-ნელა,
მორჩა გაწამაწია,
ახლა ერთიც გავიხსენოთ,

სტუმრებად ვინ აწვია.
იხვი - თავის ჭუჭულებით,
ღორი - თავის გოჭუნებით,
ცხვარი - ბატკნით,
თხა - თიკნებით,
ცხენი - კვიცით,
ძროხა - ხბოთი,
ინდაური - ჭუკიებით,
მურიაც კი მოძუნძულდა,
თავის კოხტა ლეკუნებით.
მერე ყველა შემოესწრო,
მეზობლები, მეგობრები.
ბოლოს ნისკარტალმასა,
ამაყი და ფრთამალი,
გაშლილ სუფრას მოადგა,
ჩვენი ქორა მამალი,
მოიყოლა ასაბია,*
ხატულა და ფოფინა,
თანაც თურმე ნუ იტყვი და
თამადაც ეს ყოფილა.

ვერ უყურებთ დაჩიკუნამ
ჭკუა სად გაარიგა?
ბრუცო ბიჭი, ქორა ბიჭი,
ერთურთს ძმად შეარიგა.
შეისვა და რა შეისვა,
უჰ, რა ყანწი, რა ღვინო,
სიმღერები დაგუგუნდა,
სუფრული თუ საგმირო.

* ასაბია - მხლებლები, აქ დედლები.

გაიმართა შეჯიბრები,
რა შაირი რა ლხენა
განა სადმე თუ გსმენიათ
ჟრიამული ამხელა?
ჰურ - მარილი? სულო, გულო,
მოინდომე რაც გინდა,
მთელი ღამე გაისმოდა,
ოდელა და რანინა.
ერთი სიტყვით აღარა ღირს,
რა მოხდა და რა იქმნა,
ამ ჩვენს დაჩის დახმარებით,
მძლე ოჯახი შეიქმნა.

კნუტები

დახეთ, როგორ ყოჩაღია,
ეს ჩვენი კაპარჭინა,
ერთ მშვენიერ მაისის დღეს,
კნუტები გააჩინა.
ვახ! - იძახის ბრუცო ბიჭი,
უხ! - იძახის დაჩიკო,
შესცქერიან, იოცებენ,
„ღმერთო, ეს რაღა იყო.“
კატუშას კი არც ესმოდა,
მათზე ვინ რას როშავდა,
თავის ციცქნა ჰაწაწუნებს,
ლოკავდა და ლოკავდა.
ერთი მამას დაემსგავსა,
მუქი ფერის ჰრიალით,
მეორე, სულ ჭრელი იყო,
შავ - თეთრებში ბზიალით,

მესამე, კი როგორც კატო,
თეთრად იალკიალით.
ბრუცო ცალ თვალ დაჭყეტილი,
კნუტებს ცერად უყურებს,
გულზე თათებს იბრახუნებს,
გაოცებით ბუბუნებს.
„რა სასწაულს გადავაწყდი,
სული გადამელია,
ეს პატარა ფისუნები,
ნუთუ მართლა ჩემია?“
დაჩი ბრუცოს ეუბნება:
„შეიშნოვე ბარაქა,
მოდი ახლა ამ ჩვენს კნუტებს,
სახელები დავარქვათ“.
სულ უფროსი მუქია და
ლეგა - ბიჭი შეარქვეს,
თანაც თათზე შავი გიშრის,
ავგაროზი შეაბეს.
ჭრელი კიდევ ჭრელაა და
ჭრელი მძივი აუგეს,
ცოტა ყელი მოკლე აქვს და
ეგეც კარგად გაუგეს,
თეთრს კი თავზე ოქროსფერი,
ბაბთუკა დააკოსეს,
თეთრა გოგო შეარქვეს და
მერე ყველა დალოცეს.
ბრუცო კაცი ცოლ-შვილს კვებავს,
დაჩიმ აღზრდა დაიწყო,
უკვე ერთად იზრდებიან,
კნუტები და დაჩიკო.

დაჩის ფისუნიები

დაჩიკუნამ აივანზე,
კატოს ბინა გაუწყო,
მოზრდილ ყუთში სითბოსათვის,
ძველმანები ჩაუწყო.
კატო ყუთში გაიშოტა,
დასაწოლი მოსინჯა,
მერე გვერდით ფისუნები,
სათითაოდ მოისვა.
ფისუნებიც გამალებით,
ძუძუს წოვენ ფხაკუნით,
დაჩიკო კი საჭმელ - სასმელს,
უმარაგებს კატუნის.
ნაბიჯ - ნაბიჯ ფისუნიებს,
აეხილათ თვალები,
მერე ღონეც მოემატათ,
გააჯიბრეს ძალები.
დარბიან და დაცოცავენ,
ტაატით და ყვანტალით,
ცოცხს ფხოჭნიან, სკამს პოტნიან,
მზერენ გულის ფანცქალით.

აი, თეთრამ ვარაუდად,
ვერ განსაზღვრა სამანი
და მეორე სართულიდან,
გაადინა ტყაპანი.
დაჩიმ ამოიყვანა და
დედას ციმციმ მიუსვა,
კატომ თეთრა მიტყეპა და
მერე გვერდით მიუწვა.

„ნახე, როგორ დაისვარე,
ბაფთუკაც კი დახიე,
არ გრცხვენია? გოგო ხარ და
ბიჭებიც კი დაძლიე.“
დაჩიმ კნუტებს აივანი
უცებ ამოუქოლა,
და რად გინდა? ცოტა ხანში,
ისმის კატოს ქოქოლა.
თურმე ამ ჩვენს მოუსვენარს,
წყალი დაუქცევია,
მერე რჩოლვა და ჭიდილში,
ჭრელაც წაუქცევია.
კატომა თქვა ამ დევნაში,
ფუჭად ვიქცევ ნაღველსო,
აწი თუ არ ვასეირნე,
არ მომცემენ საშველსო.
ამათს თუ ვერ მოვუარე,
რის დედა ვარ? რა ვარ? და
ერთ დილასაც დედა - შვილმა,
მზეზე გაინავარდა.

კატოს მოგზაურობა

ამ დილაზე ჩვენი კატო,
გლახა ფეხზე ამდგარა.
დაჩიმ ვეღარც გამოიცნო,
რა ჭკუაზე დამდგარა.
თურმე კატოს რა ხანია,
ფიქრები არ ასვენებს,
არა და ამ თავის დარდებს,
არც არავის აჩვენებს.

„მე და ამ ჩემს ციცქნა კნუტებს,
ვიტამინი გვაკლია,
ამდენსაც, რომ ვერ ხვდებიან,
ეს კაცების ნაკლია“.
კატომ მსხვილი, მწვანე მძივი,
მაღალ ყელზე აიცვა,
თვალები ამოიხატა,
ხელთათმანიც ჩაიცვა.
თუ ასე გაბრაზდებოდა,
ვინ იფიქრა თავიდან,
კალათს ხელი დააავლო და
ბაზრისაკენ წავიდა.
ამ ბაზარში პატარებო,
იმდენი ნარჩენია,
მაგრამ კატოს ვირთაგვებზე
ეჭვიც არ გასჩენია,
თურმე ბევრი კატუნები,
ერთ ვირთაგვას ჯობნიან,
აქ კი ერთი კიარა და
ვირთაგვების ჯოგია.
რა გაიგეს ვერაგებმა,
ქალბატონის სტუმრობა,
კატოს ალყა შემოარტყეს,
მოხსნეს მოკაზმულობა,
ჰო და ჩვენი კატუშელა,
ციხე - კოშკში დამალეს,
თვითონ დასხდნენ სავირთხეში,
დებატები გამართეს.
ვიღაცამ თქვა: შევბრაწოთო,
ვიღაცამ თქვა: არაო,
ვიღაცამ თქვა: დავუმტვრიოთ

მძივები და მარაო.
ვირთაგვების უფროსმა თქვა:
„შტერულად ნუ ირჯებით,
პატრონს ფული გამოვთხოვოთ,
გავამდიდროთ ბიჭები“.
მოიფიქრეს, დაალაგეს,
აქედან თუ იქიდან
და დაჩისთან კაცის კაცად,
წვერა ვირთხა მივიდა.
ეს რა ესმა დაჩიკუნას,
იარაღი აისხა,
მერე მისი რიხიანი,
ბრძანებებიც გაისმა.
განა მარტო ბრუცო კაცი,
მარტო მისი შვილები?
ვინც ქორწილში დაესწრნენ და
უქმად გადაღლილები?
ყველა შეიარაღდა და
მძლე აბჯარი ჩაიცვა,
მთელი უბნის დიდ - პატარა,
კატოს კვალზე გაიქცა.
აქ რა მოვყვე პატარებო,
ვირთაგვებს რა დამართეს?
როგორ მიანგრ - მოანგრიეს,
რა ბრძოლები გამართეს?
დამიჯერეთ აღარა ღირს,
რა დღე გადაიტანეს,
კატო თავის მძივ - კალათით,
რიხით წამოიყვანეს.

კატოს დარიგება

უჰ, ბავშვებო, არც კი ვიცი,
აზრი როგორ ავკინძო.
ერთი დილის ადრიანზე,
რა ამბები დაიწყო.
დაჩი უკვე გაემზადა,
ჭამას ვინღა აცდიდა,
დაინახა კატო ბრუცოს,
თავის კნუტებს აწვდიდა.
დაჩი გადაგვიფიჩინდა,
რად აკეთებ ამასო?
კატო, შენი საქციელი,
აბა მითხარ, რას გავსო?
კატომ უთხრა: დაიცადე,
მოგიყვები წყნარადო,
ბაღიდან რომ დაბრუნდები,
მინდა აზრი გაგანდო.
აი, მოსაღამოვდა და
დაჩი კატოს შეუჩნდა,
მოსასმენად გაემზადა,
კატოც რჩევას შეუდგა.
არ მსურს ჩემი პატარები,
ჩემებრ აღიზარდნონო,
მინდა ბევრი შეითვისონ,
სახეიროდ სცადონო,
მათთვის მეტად საჭიროა,
ყველაფერზე იწვალონ,
ნადირობა, საჭმლის შოვნა,
ბრჭყალის ლესვა ისწავლონ.
შეცდომებზე აღიზარდნონ,

მსგავსი არ დაუშვანო,
თაგუნებიც დაიჭირონ,
არ გაჩერდნენ უქმადო.
აი, შენ რომ გაიზრდები,
შვილებს მოესწრებიო,
მოიხმარე ყველა აზრი,
რასაც გეუბნებნო.
ბავშვობიდან შეასწავლე,
დაცემა და ადგომა,
სიმართლე და ვაჟკაცობა,
კეთილ აზრზე დადგომა.
შეცდომების საღად განსჯა,
სწავლის შეყვარებაო,
შრომის დათვასებანი, და
ბეჩავთ შებრალებაო.
შეეცადე, დაეხმარე,
მათთვის თავი გაწირე,
ბავშვობაში გაახარე,
სიყმე გაუადვილე.
მერე ნახე სიბერეში,
როგორ დაგიმადლებენ,
ცუდსაც გამოარჩევენ და
კარგსაც დაგითვასებენ.
დაიხსომე, დაიჯერე,
შვილები შეიცოდე,
ამაზე კარგს ვერასოდეს,
გააკეთებ იცოდე.
ასე უნდა მშობლობა და
გამიგონო იქნება,
კარგი შვილის კარგად აღზრდას,
ხალხიც კარგად მიხვდება.

ნელა - ნელა გაიზრდები,
ბევრი დღე გაგიმზევებს,
მეც გაისად გაზაფხულზე,
ისევ მოგგვრი ფისუნებს.

ეპილოგი

მიხვდით, ჩემო საუნჯენო,
ამბავი, რომ ჩამთავრდა?
ნელ-ნელა რომ გაგვეპარა,
სიოსავით ჩაწყნარდა?
ახლა კარგად დაისვენეთ,
საქართველოს შვილებო,
ხატულებო, ლამაზებო,
ღვთისგან დალოცვილებო.

გულნარა ჭელიძე

დაიბადა ოზურგეთის რაიონის სოფელ ლიხაურში. დაამთავრა პუშკინის, ახლანდელი სულხან-საბა-ორბელიანის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ბიბლიოთეკათმცოდნეობა-ბიბლიოგრაფიის ფაკულტეტი. ხაშურში ცხოვრობს 1981 წლიდან. ამჟამად დიასახლისია. სკოლის ასაკიდან წერს ლექსებს, რომელიც ქვეყნდებოდა „ნორჩი ლენინელის“ ფურცლებზე და ოზურგეთის გაზეთებში. ამჟამად იბეჭდება გაზეთ „ლიტერატურული ხაშურის“ ფურცლებზე. ჰყავს ორი შვილი და სამი შვილიშვილი.

ოცნების ქოხი

ფერისცვალება სცოდნია ასაკს,
გულიც თხოულობს ფერების შეცვლას,
აგიზგიზებულ ნაკვერჩხალიდან
ჩამონაცრებულ სიჩუმეს კეცავს...
და ცხოვრობს გული ოცნების ქოხში,
სად ირგვლივ მეფობს ტყის მდუმარება
და შემოპარულ სხივთა დაშნების
სარკმელში ჩუმად აელვარება...
იქ, სადაც ფოთლებს გაანდობ უთქმელს,
ისაგზლებ ლოდინს, დამდნარს წუთებად,
აქაფებული ყავის სურნელი
ოცნების ქოხებს რარიგ უხდება.

* * *

სიზმრისგან დაცლილი ჩრდილები ბორგავენ,
კარის ღრიჭოში შემოძვრა ძუნწი შუქი,
კედელს შეშრობია თრობა სიყვარულით,
ჩუმად სარეცელზე გორდება ცრემლის ბურთი.
ეს ღამეც დადნა და განთიადის შუქში
სხივებს ხელით ვიჭერ, ჭრიალებს წლების კარი,
ვეძებ გულწრფელ სიტყვებს ციურ სინათლეში,
მლაშე საიდუმლო მიფრინავს, როგორც ფრანი.
გიზგიზებს გრძნობების გრძნეული ღადარი,
გული ბაგაბუგობს ალზე მოდებული,
ანთებულ ვარსკვლავებს იმედით შევყურებ,
ეს დღეც მივითვალე, ღვთისგან ბოძებული!

* * *

ფოთოლივით ჭკნება სიყვარული,
სითბო სანთელივით ქრება,
კვდება მოფერება, სულზე კოცნა და
გული იყიდება!
მომავლის გოგო-ბიჭი იწირება,
ცრემლის მდინარენი ჩნდება...
დამძიმდა სული, უჭირს დედამიწას,
ბეწვის ხიდს გავდივართ შვებად!
გათითოკაცებულს და დანაწევრებულს,
თვალებს გვიბრიალებს მტერი,
გადავეჩვიეთ ჩახუტებას და
კვლავ მტრის დაკრულზე ვმღერით!..

* * *

ბოლო ფოთოლსაც ჩამოაგდებს გულცივი ქარი
და ნოემბრის თვეს ავუკეცავ კალენდრის ფურცელს...
ზამთრის ბილიკებს შევუდგები მოჭუტულ თვალით,
შეშის ტკაცა-ტკუცს მოვაყოლებ მოსაყოლს, უთქმელს!

* * *

მოგონების ფერად ფუნჯით მოვხატავდი სახლის კედლებს,
ღობესაც ხელს შევავლებდი, მოვახვევდი წნელებს - ნედლებს.
შუა ცეცხლსაც დავანთებდი, დავაკრავდი ხსოვნის კეცებს,
დაზამთრებულ გულში სევდას მონატრება მიასკეცებს...
ბავშვობას რომ მომანდომებს, - გავიხსენებ ბუხრის სურნელს,
მშობლების სულს რომ მაგონებს და სიხარულს გამოულევს...
მოვირგებდი ფიქრის აბჯარს, წარსულს გავაზაფხულებდი,
კერიასთან ჩურჩულებენ წლები, გადანახულები...

სურათი

ტყის მდუმარება... მხოლოდ წყაროს ბუტბუტი ისმის,
სუფევს სიჩუმე, დაბურულან ბორცვები ნისლში
და ვარსკვლავები მოციმციმე ყვავილებს ჰგვანან...
და მთვარის ყანწით სვამს სადღეგრძელოს თამადა ღამე,
კუნაპეტ სახეს უფერადებს შუქი სხივების...
ჟამი დამდგარა გაჩუმების და გაკვირვების...

მაყვალა ხაჩიძე

დაიბადა ქ. ხაშურში. დაამთავრა ხაშურის I საშუალო სკოლა. 1977-82 წ.წ. სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე. წლების განმავლობაში მუშაობდა რაიონულ გაზეთში-რედაქტორის მოადგილედ, საქართველოს ენის სახელმწიფო პალატის რაიონული სამმართველოს უფროსად, ძეგლთა დაცვის უფროსად. ამჟამად მუშაობს ხაშურის მუნიციპალიტეტის სამუზეუმო გაერთიანებაში საგამომცემლო საქმის მენეჯერად. გამოცემული აქვს შვიდი წიგნი (პოეზია, პროზა, ჟურნალისტური ჩანაწერები).

არის მწერალთა კავშირის წევრი და ქალაქ ხაშურის საპატიო მოქალაქე. ჰყავს ერთი ვაჟი და სამი შვილშვილი.

ლაზი

ის სხვა ქალებივით ათასი წვრილმანით დატვირთული თურქეთის გზას დაადგა. ფიქრებით წარსულს გადასწვდა და თვალწინ დაუდგა ფილმებში ნანახი სტამბოლის ბაზარი და იქ გასაყიდად გამოყვანილი რჩეული გოგო-ბიჭები, ქართველების მიერ გამეტებულნი და განწირულნი... ახლა კი თავისი ნებით მიდის თურქეთში... თუმცა, სხვა დროა, სამყარო შეიცვალა, ქვეყნებთან დამოკიდებულებაც შეიცვალა, ბუნებრივია, ადამიანური ურთიერთობები სხვა სახეს ღებულობს...

საბაჟოზე უპრობლემოდ გავიდნენ. ძალიან მძიმე იყო ტვირთი, მაგრამ მასზე უფრო მძიმე იყო ის პასუხისმგებლობა, რომელიც ნებით იტვირთა. მან სხვა დედებივით, გამოსავლის ძებნა დაიწყო და პრობლემების გადაწყვეტის ვითომ იოლი გზა გამონახა. თურქეთის გზა არ იყო ძნელი, მაგრამ იყო

დამქანცველი და დამამცირებელი ისე, როგორც საკუთარ ქალაქში ქუჩა-ქუჩა ხეტიალი სპილენძისა და ძვირფასი ლი-თონების მოსაძიებლად. მგზავრობამ დაქანცა, ბეჭებიც ძალიან სტკიოდა, მაგრამ ვის აუტირდებოდა?! ყველას თავისი გასა-ჭირი ჰქონდა. აღარ უხაროდა, აღარც მზის მაცოცხლებელი სხივები და აღარც ლურჯზე-ლურჯი უძირო ცა, აქაც ისეთი, როგორიც თავის ქვეყანაში, ერთი ხელის გაწვდენაზე.

სასტუმროში მხოლოდ ერთი ღამე გაათენეს, მეტი ფინან-სური საშუალება არ ჰქონდათ. პირი რომ დაიბანა და სარ-კეში ჩაიხედა, ისევ ისეთივე ლამაზი ქალი უმზერდა, როგორიც შინ ყოფნისას... თეთრყირმიზა, ლურჯთვალა, ტალღოვანი თმებით... რამდენიმე ღამე წვიმაშიც ეძინათ, პირდაპირ ქუჩა-ში... გასაყიდებიც მიწაზე ეყარა, მტვერსა და ნაგავში, რაც, თუმცა ზიზღს გვრიდა, მაგრამ რა უნდა ექნა?! თვითონ კი ვარდისფერ კაბაში გამოკვართული, ბროწეულის ყვავილივით ბრიალებდა და მყიდველს ელოდა, მაგრამ ამაოდ.

სამი ღამე მყიდველის ლოდინში გაილია, მერე ვიღაც გამოჩნდა. მაღალი, სიმპათიური, ქერა, ცისფერი თვალებით, დენდივით გამოწყობილი, შორიახლოს შედგა და მოკრძა-ლებით ჰკითხა:

- საიდან ბრძანდებით?

- ბათუმიდან! - რუსულად უპასუხა ქალმა.

- გვარი?

- აბაშიძე!

- ჩვენებური ყოფილხართ!

- როგორ? - გაიოცა ქალმა (ახლა უკვე ქართულად)

- მეც თქვენსავით ქართველი ვარ, ლაზი... ამ ქალაქში ლექციებს ვკითხულობ, - გამართული ქართულით გაესაუბრა მამაკაცი.

- ქმარი თუ გყავთ?

- დიახ, ძალიან კარგი! - მამაკაცმა ჩაიღიმა.

ქალს არ მოეწონა.

- მე რომ თქვენნაირი ლამაზი ცოლი მყოლოდა, გარეთ როგორ გამოვუშვებდი, დედოფალივით ვაცხოვრებდი.

ქალმა მანდილი ჩამოიფარა და თავი დახარა...

- ვერაფერი გაყიდეთ?

- ვერა.

- დასანანია.

ლაზი დიდი ხნის წასული არ იყო, რომ ქალს თურქები შემოესივნენ და თითქმის ყველაფერი იყიდეს. ქალი მიხვდა, ახალგაცნობილის დამსახურება რომ იყო. ეამა, თუმცა ადგილი მოინაცვლა, მოერიდა... შორიდან ხედავდა, როგორ მოდიოდა ლაზი და როგორ ეძებდა თვალებით მშვენიერ ქართველ ქალს, რომელმაც ძალიან ააფორიაქა და მწარედ დააფიქრა ბედკრულ საქართველოზე.

მოძღვარი

დილით უგუნებოდ წამოდგა მამა თადეოზი, ხატებს ეამბორა, მერე ჯვარცმასთან მივიდა, პანაშვიდი გადაუხადა დიდი ხნის წინ საწუთროს განშორებულ გულისწორს.

კელიაში რომ შევიდა, ზარდახშიდან მისი დაბადების დღისადმი მიძღვნილი ლექსების კრებული ამოიღო, დიდხანს დასცქეროდა სატრფოსადმი მიძღვნილ სტრიქონებს... ღაწვებზე სისველე იგრძნო, შეწუხდა, ჩუმად მოიწმინდა კურცხალი... გარეთ რომ გამოვიდა, თავზე ყვითელგულა ჩიტმა გადაუფრინა, თვალი გააყოლა ფრთოსანს, ნეტავ, შენ რომ თავისუფალი ხარ... უცებ შეცბა, ღვთის საწყენი ხომ არა წამომცდა რაო...

როცა ირგვლივ მიმოიხედა, გაოცდა: სიმშვიდისფერი გადაჰკვროდა ზეცას. სხვადასხვა ფერის მწერები ირეოდნენ

მზის სხივთა ჩქერალებში. ყურის დამატკბობლად უსტვენდა ბულბული და ეჭვიანად ადევნებდა თვალს ვარდის ბუჩქზე მცოცავ ჭიამაიას დაწინწკლულ სხეულს... ჭიამაიამ ბერს ის დღე გაახსენა, როცა პირველად ეამბორა ქალწულს რო-გორც ფრესკას... ახსოვს, კარგად ახსოვს, მაშინაც ასეთი ნათელი დღე იდგა. შეყვარებულები უხმოდ ისხდნენ მინდორ-ში, მუხის ჩრდილქვეშ და უცხოსავით ათვალიერებდნენ ერთმანეთს. უცებ საიდანღაც წითლად დაწინწკლლული მწერი გოგონას მკერდზე დაფენილ ხორბლისფერ თმებს მიეფერა, მერე ვაჟის მხრებს შეეხო ნაზად და თითქოს დაწინდვის რიტუალი ჩაატარა უფლის ანგელოზმა.

ეს იყო სატრფოს ტრაღიკულ გარდაცვალებამდე ერთი დღით ადრე.

გზა

პირველად თავის სიცოცხლეში მზესთან დაკავშირებულ რიტუალზე თქვა უარი. გვიან გაეღვიძა. არავითარი ზარი, არავითრი შეხმიანება, მისი ოთხმოცი წლის იუბილე არავის გახსენებია. მეუღლე, რომელთანაც თითქმის ორმოცდაათი წელი იცხოვრა, შარშან გარდაეცვალა, ბიჭები კი თავისი ოჯახებით ამერიკაში ცხოვრობენ. მამასთან ტელეფონით კი აქვთ ურთიერთობა, ერთი-ორჯერ ჩამოვიდნენ კიდეც, ვიდრე დედა ცოცხალი იყო, მაგრამ არც რძლებს ვიცნობთ და არც შვილიშვილები გვინახავს თვალით. განა ამაზე ვოცნებობდით?! როგორ გვიხაროდა, შვილებმა ამერიკის მოქალაქეობა რომ მიიღეს, ნეტავ, რა გვიხაროდა?!

- წუხს მამა. მისი შვილები ქვეყანას ხომ დააკლდნენ, ოჯახს კი - მით უფრო. „მგონია, ზედმეტი თავისუფლება მივე-ცით, განათლების მისაღებად გავგზავნეთ მხოლოდ, გაჭირვე-

ბის გამო არა, სამაგისო არაფერი გვიჭირდა, და სამუდამოდ დარჩნენ. ასეა, მშობლები ყოველთვის ფიქრობენ შვილების მომავალზე, მათ კეთილდღეობაზე... შვილებმა კი ასე მოინდომეს, რა უნდა გვექნა?! დედის დაკრძალვასაც ვერ დაესწრნენ, ვერც ჩემსას დაესწრებიან?! თვითონ კი არა აქვთ ვალდებულებები?! ჩვენ არასოდეს გვითქვამს, ვინ ეტყოდათ? ამას თვითონ უნდა ფიქრობდნენ... მაინც რატომ ვერ დარეკეს?.. ფარსაგი არაფერი სჭირდეთ, განა იქაც არ ბობოქრობს პანდემია?! წავალ, სანთლებს მაინც ავანთებ ტაძარში...“

... დღეს კი მარტო შერჩა საკუთარ იუბილეს, მაგრამ რა შეუძლია ფიქრის მეტი... ამ პირობებში რომელი მეზობელი შემოუღებს კარს, ნატო რომ ცოცხალი იყოს, კიდევ ჰო... მეზობლებთან თითქმის არ ჰქონია ურთიერთობები, მხოლოდ მეუღლე თუ გავიდოდა გარეთ და ახალ ამბებს შემოიტანდა. არ უწონებდა ცოლს ასეთ საქციელს, არ გვეკადრებაო... ახლა ასე აღარ ფიქრობს, ადამიანებთან ურთიერთობა ყველაზე დიდი ფუფუნება ყოფილა-თურმე. ამაში, ნატო რომ გარდაიცვალა, მაშინ დარწმუნდა. ყველა მეზობელი გვერდით დაუდგა, თორემ ორიოდე მეგობრისა თუ ნათესავის ამარა, რა უნდა ექნა?! „ისე არ უნდა გამკვირვებოდა, მათგან პატივისცემას სულ ვგრძნობდი. თან ჩვენი საუკეთესო თვისება ხომ ჭირში თანადგომაა?! მართალია, სამსახურში კარგი რეპუტაცია ჰქონდა პროფესიონალ გამომძიებელს, მაგრამ ურთიერთობები, თავისი გულჩათხრობილობის გამო, თანამშრომლებთან ვერ ააწყო. ამიტომ ისინი მხოლოდ მოვალეობის გამო მივიდნენ სამძიმრის სათქმელად, თორემ მისი განსვენებული მეუღლე არცერთ მათგანს არ იცნობდა. მხოლოდ ქმრის ორიოდე თანაკლასელთან თუ იყო განდობილი, რომლებმაც დღეს მოსვლა ვერ გაბედეს პანდემიის გამო, თუმცა ტელეფონით დარეკვას რაღა უდგას წინ?! ძალიან ეწყინა, მოგვიანებით შევეხმიანებიო... თავი სუსტად იგრძნო, აღარც ფეხები ემორჩი-

ლებოდა, მაგრამ მაინც წამოდგა, კაბინეტში შეიხედა, საწერ მაგიდაზე მშობლების სურათს შეავლო თვალი, როგორ ენატრება მათი სითბო, ჩახუტება, პატარა იყო, მაგრამ ყველაფერი კარგად ახსოვს, ისიც გაიხსენა, როგორ სიბრალულით უყურებდნენ მეზობლები ობოლ ბავშვს, მაგრამ შვილებს მაინც არ უშვებდნენ მასთან სათამაშოდ, სკოლაშიც თითქმის იგივე ხდებოდა, ასე დიდხანს გასტანა, სამსახურში მიღებაზე ბევრი პრობლემა შეიქმნა, აღმზრდელებმა ესეც მოუგვარეს, ახლა მათ სურათებს მოეფერა, ისევ მშობლებისკენ გაექცა მზერა, მერე მუშტი მოუღერა იმ მწუხარე წლებს და სავარძელში მძიმედ ჩაეშვა.

დიდი ხანია, საკუთარ წარსულს მძიმე ფარდა ჩამოაფარა, გახსენებაც არ უნდა, მაგრამ წარსულის დავიწყება უკეთეს მერმისს ვერავის შეუქმნის. შენი ცხოვრება კარგია თუ ცუდი, შენია, შენი ტვირთია, გულში უნდა ჩაიკრა და მიეფერო....

ბედნიერი მხოლოდ ცოტა ხნით იყო, როცა მშობლები ცოცხლები ჰყავდა. ანებივრებდნენ ერთადერთ ვაჟს. მამა ისტორიას ასწავლიდა სკოლაში, დედა - ქართულ ენასა და ლიტერატურას. ისინი სოფელში ყველას უყვარდა. მაშ რა მოხდა? ვის რა დაუშავეს?! იმ დაწყევლილ ოცდაჩვიდმეტში მამა წაიყვანეს.

ამაოდ წვალობდა დედა, ხან ვის მიმართავდა და ხან ვის, ქმრის გამოხსნა უნდოდა ჯოჯოხეთიდან, ის კი თურმე დიდი ხნის დახვრეტილი ყოფილა. დედა უკანასკნელად მაშინ ნახა, როცა ვიღაც მაღალჩინოსანთან წავიდა, მაგრამ უკან აღარ დაბრუნებულა, თავი მოიკლა... რატომ? დღემდე არავინ იცის, რა მოხდა. თავად კი სულ ეჭვობს... დედა ისეთი ლამაზი იყო, ისეთი... უშვილო დეიდამ და ბიძამ წაიყვანეს თბილისში. მას შემდეგ სოფელში აღარ ჩასულა. ვინ იცის, როგორ გადაუარა შამბნარმა ნასახლარს?!

- ისე, მართალი არა ვარ, ერთხელ მაინც მენახა ის სოფელი და გამეხსენებინა ჩემი ბავშვობაც, მაგრამ არავისთან არ მინდოდა შეხვედრა...

ასე დაკარგა მამაპაპისეული სოფელიც და საკუთარი ბავშვობაც.

მოგვიანებით პიონერთა სასახლეში ჭადრაკის წრეში თავის თანატოლ ბიჭს დაუახლოვდა, საიდუმლოც გაანდო, ცისფერთ-ვალება ციცინო შემიყვარდაო... მან იცისო? - იკითხა ბიჭმა... რა თქმა უნდაო. დიდხანს არ გაუვლია და იმ ბიჭმა ციცინოზე იქორწინა.

ერთხელ კიდევ დიდი ქვა ესროლა ცხოვრებამ, თორემ კენჭები რა საკითხავია?! არ იცის, რა მოხდა, არც უკითხავს.

„დარჩით დამცირებულნი და შეურაცხყოფილნი, ოღონდ ნუ გამართავთ სასამართლოებს“ - გაახსენდა პავლე მოციქულის ნათქვამი და ასეც მოიქცა.

გულნატკენი და გამოუცდელი ჭაბუკი უცხოეთში გადაიხ-ვეწა, მაგრამ აღმზრდელებისადმი მადლიერების გრძნობამ დააბრუნა სამშობლოში... ახლა მათ სურათებს მიაპყრო მზერა, ისინიც აღარ არიან. მათი მადლიერია, ოჯახი რომ შექმნა და თითქოს ცხოვრებაც აეწყო. შვილებისა და შვილიშვილების ღიმილიანმა ფოტოებმა გული გაუხსნა მოხუცს. ძლივს აიტანა სხეული და ფრთხილი ნაბიჯებით გავიდა ქუჩაში. მზე ღრუბ-ლებში შეყუჟულიყო, ნიავმა გვერდით უსიტყვოდ ჩაუქროლა, ალბათ, მოერიდა, მოხუცს პირბადე რომ არ ეკეთა. ეს რო-გორ მომივიდა, მართლა დავბერებულვარო. მერე მწარედ ჩაიცინა, განა მთელი ცხოვრება პირბადე არ მეკეთაო?!

მხოლოდ ერთხელ ამოთქვა თავის გულისნადები - სიყვა-რული ვერ დაიტია და აი, შედეგიც: მეგობარი და სატრფოც ერთდროულად დაკარგა. მის შემდეგ ერთხელაც არ შეხვედ-რია, არც არასდროს დაინტერესებულა მათით, თუმცა შორიახ-ლოს ცხოვრობდნენ ისინი. ნელა, ტაატით მიდიოდა, ასე

არასოდეს სჩვეოდა... დილით ერთ-ერთი პირველთაგანი ხვდებოდა-ხოლმე მზის ამოსვლას. სულ ვარჯიშობდა, სულ ფორმაში იყო.

დიდხანს მიდიოდა, ციცინოს სახლთან როგორ აღმოჩნდა, არ ახსოვს, ახალგაზრდობაში კი ვინ იცის, რამდენჯერ მდგარა მისი აივნის წინ, იქნებ, გამოიხედოსო... ამ ფიქრებში იყო გართული, ჭიშკრიდან ალვისტანა ქალიშვილის ნაცვლად ოთხადმოკაკული მოხუცი ძლივს გამოვიდა ყავარჯნებით...

- ნეტა, არ მენახა... ღალატისთვის მწარედ დასჯილა, მაგრამ მე რა დავაშავე, რა?!

- პირი იბრუნა, ცას შეხედა, ნაღვლიანად დასცქეროდა მზე. ყვითელგულა ჩიტმა ჩაიჭიკჭიკა და გაფრინდა. თვალი გააყოლა, ნეტავი, შენ, ლაღი და თავისუფალი რომ ხარო...

თვითონ თავისუფალი კი იყო, მაგრამ ტკივილი ჯაჭვის პერანგივით შემორტყმოდა და ნაბიჯების გადადგმას უშლიდა.

ცოტა ხანში მწვანედშეღებილ სკამზე ჩამოჯდა, ქუჩაში, კაკლის ძირში რომ დაედგა ვიღაც კეთილმოსურნეს.

რა უკაცრიელია ქალაქი... საშინელებაა... ვინმე მაინც გამოჩნდებოდეს?! შორს ჯინსებიანი ბიჭის სილუეტი დალანდა... ჩქარი ნაბიჯით მოდიოდა... მოახლოებისას გამოელაპარაკა მოხუცი, თავს შეუძლოდ ვგრძნობო...

ბიჭი შედგა, გაყინული თვალებით შეხედა სკამზე მჯდომს და მის გვერდით უხერხულად ჩამოჯდა,

- საით გაგიწევია?- ჩაეკითხა მოხუცი.

- საითაც გზა წამიყვანს, - ყინჩად უპასუხა ბიჭმა.

- ამქვეყნად ბევრი გზაა, შვილო, წინასწარ უნდა იცოდე, სად მიდიხარ და რისთვის, თორემ სადაა ჩასაფრებული საფრთხე არავინ იცის.

ბიჭი აღარ ჩქარობდა. მონატრებული სითბო იგრძნო, გაყინული თვალები თანდათან გაულღვა.

- მითხარი, რა გაწუხებს, იქნებ, შევძლო შენი დახმარება.

-ბიჭმა თავი დახარა, არ უნდოდა უცხოს განდობოდა, ოჯახის ამბავი გარეთ გამოეტანა, მაგრამ ისე თბილად, მამაშვილურად დაელაპარაკა მოხუცი, ბიჭმა ძლივს ამოთქვა: - მშობლები გაუთავებლად ჩხუბობენ, ვეღარ გავუძელი და გამოვიქეცი.

- მოიცა, მოიცა, შვილო, რატომ ჩხუბობენ? მამა ლოთობს და დედას სცემს?

- არა, არა, რას ამბობთ? - შეცბა ბიჭი.

- მაშ?

- დედა წიგნების კითხვას მაძალებს, თან მუსიკასა და ცეკვაზე სიარულს მაიძულებს. მამას კი ხან სათევზაოდ დავ-ყავარ, ხან სანადიროდ, ფეხბურთსაც ერთად ვთამაშობთ, მარ-ტო წიგნებიდან გამოხედვა არა კმარა, ცხოვრება უნდა ისწავ-ლოო, - მეუბნება. მე მამას უფრო ვუგებ. დედა ეჭვიანობს, მამა უფრო გიყვარსო... მე დედაც მიყვარს, არ მინდა ვაწყენინო... ისინი, მართლაც, ჩემ გამო ჩხუბობენ, მაგრამ მაინც გამოვიქეცი.

- კარგი მშობლები გყოლია, შვილო, დაუჯერე! რამაც შენი ოჯახიდან გამოგაქცია, ის ჩხუბისა და გაურკვევლობის უარყოფითი ენერგიაა, რომელმაც შენ გაქცევა გაიძულა. მოდი, ერთად მოვიფიქროთ, როგორ მოვიქცეთ...

ბიჭი ცოტახანს ჩაფიქრდა, მერე უცებ წამოდგა და წასვლა დააპირა.

კაცს არ მოეწონა მისი უეცარი სახეცვლილება, მაგრამ იფიქრა, უკეთესია, თუ არ დავაძალებო.

- თუ გული გერჩის, წადი, შენი ნებაა, თუმცა ამ პერიოდში სადმე წასვლა გონივრული არ უნდა იყოს... მაგრამ ერთი თხოვნა შემისრულე, აქვე გზაჯვარედინია, საითაც ბევრი ადა-მიანი მიდიოდეს, შენც იმ გზას გაჰყევი.

ბიჭი გაშორდა თუ არა, მოხუცმა შეაჩერა: ჩემი ტელე-ფონის ნომერს მოგცემ, თუ რამე დაგჭირდეს, დამირეკე, შვილო, არ მოგერიდოს, შენს გვერდით მიგულე... კარგი?!

ბიჭი თბილად დაემშვიდობა კაცს და მალე გზაჯვარედინთან შედგა. დაინახა, ოთხიოდე ადამიანი მიდიოდა მარჯნივ და მათ აედევნა. მალე ზარების ხმა შემოესმა, იქით გაეშურა და ტაძარში ათორიაქებული შევიდა.

მოხუცი წამოდგა, წელში გასწორდა და უკვე გამართული ნაბიჯებით გააგრძელა გზა ტაძრისაკენ. სანთლები უნდა აანთოს შვილებისათვის და ათორიაქებული სამყაროს დასამშვიდებლად... სწამს, ყველაფერი კარგად იქნება.

ტაძარში შესვლისას დაინახა, ახლადგაცნობილი ბიჭი თვალანთებული რომ შესცქეროდა ხატებს. იგრძნო, როგორ ჩაეღვარა სხეულში სასიცოცხლო ენერგია, საკმევლის ღვთაებრივმა სუნმა და გალობამ კი რაღაც უხილავი სიმით შეურხია სული იუბილარს, მერე ბიჭს მიუახლოვდა და გვერდით ამოუდგა.

სანთლების ციმციმი ნათლისფრად ეფინა ტაძარს.

ვით ნარჩიტას ჭრელი ბუდე

ჩემი მამული ჯავრიანი ფიქრის ჯაჭვია,

არც შალვა მოჩანს, არც ელიზბარ, არცა თევდორე, არაგველის შეძახილიც ჟამმა წაიღო, დიდი ხანია, რაც ისინი გამოვიგლოვეთ, ვეძებთ გმირებს და არსად ჩანან და ვერც ვერავინ გამოვიგონეთ.

ჩემი მამული მარტოოდენ ცრემლის გუბეა, ისე პატარა, ვით ნარჩიტას ჭრელი ბუდეა, თუ არ ვივარგეთ, იმ ბუდესაც ვიღაც წაიღებს, ქარი გაფანტავს ჩვენი სულის წმინდა ნაწილებს, სხივი გამოკრთა, ლაჟვარდებში ვლანდავ არწივებს... გმადლობ, უფალო

მალე, ალბათ, მართვეებიც გამოჩნდებიან.

ცხელი აგვისტო

იმ დღეს, როდესაც ცა ტიროდა ცხარე ცრემლებით, ბრძოლის ველიდან გამოჰყავდათ როცა ცხედრები, როცა არესმა ეს ბიჭები ვერ დაითვარა, მწუხარებისგან მოიქუთრა მზე და ჩადრი ჩამოითვარა,

ერის მოძღვარმა შემოიხსნა შავი მანტია და შეციებულ გმირ მებრძოლებს გადააფვარა.

ნუთუ ვერაფერი გვიშველის?!

აღარც ბებოჩემის ავგაროზი, აღარც შავი ფერის გიშერი, ნუთუ, არაფერი გვეშველება, ნუთუ, ვერაფერი გვიშველის?! ხმლები ამოაგეთ ქარქაშიდან, დავით მეფის მოელვარე შიმშერიც, ბიჭებო, „შავლეგო“ დააქუხეთ, „ლაშქრულიც“, „მხედრულიც“ - ძირძველი... თორემ, მტერი ისე მოგვეძალა, შავი ზღვაც აღარ არის ზღვისფერი, ენგურიც კი ჯავრით ისე ბორგავს, მავანთა შეშფოთება გვიშველის?!

ღმერთო, რამდენია განსაცდელი - შავი, ნაცრისფერი, იმფერი... ნუთუ, სინანული გვიანია, ნუთუ, ვერაფერი გვიშველის?!

თქვენ გევედრებით

მზის და მთვარის საბრძანისში, სადაც უფლის თვალი ჰგიებს, სად ზეცაში ვარსკვლავს წყვეტენ, სადაც კრეფენ იაიებს, ქარიშხალი დათარეშობს და სამყარო მწყრალად გვიმზერს... უცხო ტომი მოგვეძალა, კარგად ჩავწვდით ვერაგ მიზნებს. მუხლმოდრეკით გევედრებით - ყველა ქართველ ძეს და

ასულს, ნუ დატოვებთ საქართველოს და ნუ აატირებთ მამულს. ბევრი ჭირი მოგვესართა,

მტერ-მოყვარეს ვეღარ ვარჩევთ, აღარავის იმედი გვაქვს, (ღმერთის ნებით), ქალ-ვაჟებო, მხოლოდ თქვენ თუ გადა-გვარჩენთ!

ნასოფლარი

გამოვექეცით ხვატისაგან გათანგულ ქალაქს

და გზადაგზა დავეძებთ ჩრდილებს, დაშაშრულ მიწას გადუხსნია ბებერი მკერდი და მწყრალად გვიმზერს...

წამს გადავაწყდით იქვე ნასოფლარს და საშინელი ვნახეთ სურათი... დამშრალ გუბეში ყიყინებს მყვარი და მის ამღვ-რეულ, ელამ თვალებში მოჩანს დანგრეულ საყდრის გუმბათი. ნამოსახლარზე დგას დაღლილი და ამაოებით დასჯილი კაცი, მხოლოდ სიცხისგან უჩრდილავს ქუდი, კატა გაჩხიკულ თათებს ილოკავს და გაუდია ყავარზე კუდი. ორღობეების გადაბლან-დულ ეკალ-ბარდებში კი

ნადირივთ დაშლიგინებს აშარი ქარი... დაძმარებულნი დავბრუნდით უკან, გამოვიყოლეთ სამყაროს და იმ სოფლის დარდი.

შვილს!

ჩამონაშალი კლდის ნატეხი ვარ, ცისფერი ზეცის ღრუბ-ლის ნაფლეთი, ცრემლმომდინარი იაია ვარ, ტირიფის ტირი-ლი ვარ, სისხლისფრად აფეთქებული ყაყაჩოს ერთი ფურ-ცელი ვარ,

გაბუტული მთის ქუჩი ვარ, ცეცხლის პატარა ნაპერწკალი ვარ,

მხოლოდ ჩემი ერთასათვის ანთებული.

გამღვალი სული

გზად მივდიოდი მგზავრი ერთი, დღე იყო თეთრი,

ცა ლურჯზე ლურჯი, ღიღილოსფერი, შორს ჰორიზონტზე მოჩანდა მთები - ზვიადი მთები... მზე დამნათოდა, ვით უმანკო ჩვილის ღიმილი, ბედნიერება იყო სრული და სრულზე სრული

და წამწამებზე მეკიდა ცრემლი - გამღვალი სული.

მირაჟი

ცისარტყელების ფერებს გამოვყევი შენკენ, გული თრთოდა და თვალებით ეძებდა ადამს, სად ჰორიზონტზე მირაჟი ქსოვდა ედემს, მახსოვს, ცა თითქოს ძირს ჩამოვიდა ფეხით... გზააბნეულნი ორნი ვიარებოდით ნისლში, მე ნათლად მახსოვს ახლაც

ის შორეული განცდა და იმ უცნაურ გრძნობის სინატიფე და ხიბლი.

* * *

გატეხილია ეს გული მჭადივით, ვერ გაამრთელებს ვერავინ, ქართლის ბედს განაგებს

კვლავ უცხოტომელი, მტერია ვერაგი... უსაზღვროებას შერწყმია ტატოს უბელო მერანი, რაც უნდა ბევრი ეცადონ, ვერ დაეწევა მდევარი.

ცხოვრება

ცხოვრება რთულია, სულ მუდამ ბრძოლაა, შიში და ძრწოლაა,

„ბრძოლაში ძლიერები იმარჯვებენ“, - ბრძანებს ბომარშე,

დუელი? დუელიც არ არის ადვილი, სჯობია, ჩავაგდოთ მანდილი

და გამოვითვალოთ მანძილი დედამიწიდან ზეცამდე...

„ცხოვრება არ არის იოლი,“ - კვერს მიკრავს ბიოლი.

მზითვი - შვილიშვილებს

მზითვებში ვატან ჩემს შვილიშვილებს:

„დედაენას“ და „ვეფხისტყაოსანს“, სიბრძნეს, სიქველეს, უფლის წყალობას, ქმრის ერთგულებას, ქართველ ქალობას,

„ბულბულის სტვენას, შაშვის გალობას“... ვუსურვებ დიდხანს ჯანმრთელ სიცოცხლეს და საიმედო შთამომავლობას.

ლიდა (ლილი) ჯანგველაძე დაიბადა 1936 წელს ქალაქ სოხუმში. სპეციალობით ბიბლიოთეკათმცოდნეა. 1979 წლიდან ცხოვრობს თბილისში. პირველი ლექსი დაწერა 2005 წელს. ორი პოეტური კრებულის ავტორია.

ლიდა (ლილი) ჯანგველაძე

დილით ვილოცოთ

დილით, როცა ალიონზე
ჩიტი იწყებს გალობას,
ეს ნიშანი იმის არის,
ის ღმერთსა სთხოვს წყალობას.
ღმერთს თუ მიენდე იცოდე
რომ სწორი გზებით გატარებს,
არ გაგიმრუდებს გზებსა და
მუდამჟამს გზებს გაგინათებს.
ყოველ დილით ჩვენც ვილოცოთ,
ღმერთს შევწიროთ მადლობა,
ღმერთი ყოვლის შემძლე არის,
ჩვენც გვიბოძებს წყალობას.
მზე რომ ჩავა, დაბნელდება
და ამოვა ბადრი მთვარე,
მაგრამ ძალა აღარ ყოფნის
გაანათოს არე-მარე.
ასეთია ეს სამყარო,
ხან ნათელი და ხან ბნელი
და მას ვერვინ ვეღარ შეცვლის,
რაც გინდ იყოს დიდი ბრძენი.

ღიმილით იარეთ

რთული არის ეს ქვეყანა,
ზოგს ჰგონია ადვილი,
მცოდნეს უმალ მიეცემა
სამუშაო ადგილი.
ყველამ დარდი მოიშორეთ
და იცხოვრეთ ლაღადა,
თორემ გულსა დაიმძიმებთ
და გახდებით ავადა.
ერთმანეთსა მოეფერეთ,
დრო მიფრინავს ჩიტივით,
სახეს წყენა მოიშორეთ
და იარეთ ღიმილით.
თუ ჩვენ ყველა ერთმანეთზე
ვიფიქრებთ და ვიზრუნებთ,
მტერი ვერ გაგვეკარება,
ბედნიერად ვიცხოვრებთ.
ცხოვრების წესს ვერვინ შეცვლის,
ეს ძალიან რთულია,
ყველაფერსა გადალახავ
თუ ცხოვრება გწყურია.

მეგობარი შეარჩიე

ყვავ-ყორნები დამესია
და დამიწყეს კორტნა,
ვხედავ რომ მათ უწერიათ
ქვეყნად დიდხანს ყოფნა.
თუ შენ ნივთსა აღარ ყიდი
და ვინც გეტყვის „მომყიდე“
ახლოს აღარ გაიკარო,
ბოროტია იცოდე.
ჩუმად გითხრის სამარესა
სურს რომ გაკონტროლოს,
დღე და ღამე იმას ცდილობს,
რომ შენ გაგაკოტროს.
მივხვდი რომ ამ ქვეყანაზე
ფლიდი, ბოროტი ბევრია
და მათთან ურთიერთობა
საშიშია და ძნელია.
ასეთი ადამიანი
მუდამ შენთანა ტრიალებს,
ის შენ არასდროს დაგინდობს,
იცოდე, გაგატიალებს.
ზურგი აქციე ისეთებს
და ახლოს არ გაიარო,
თორემ ისეთებს გაკადრებს
მთელი ცხოვრება ინანო.

ჩემი თხოვნა

ვხედავ, ვხედავ როგორ გაქრა
ჩემი ცხოვრება,
ღმერთო მითხარ, ღმერთო მითხარ
რა მეშველება?
დროს ვერავინ შეაჩერებს,
კარგად ვიცი მე,
მაგრამ, ღმერთო, შემიბრალე,
შენ გენაცვალე.
თუ ჩემს სხეულს ვერ მოვუვლი
და სხვას ტვირთად დავაწვები,
მაშინ უმალ მომაკვდინე
უფალო, მე გევედრები.
ამ ქვეყნად შენ ხარ უფალო
ჩემი პატრონ-მარჩენალი,
მე მგონია, სხვა ყველაა
სულ უბრალოდ მაცქერალი.
სად წავიდა ჩემი წლები?
ნეტავ ვინ მიითვისა,
ახალგაზრდობა წამერთვა,
მომენიჭა სიბერე.

ცხოვრება ბრძოლაა

ადამიანთა გულები
ყველა ჰგავს მოქმედ ვულკანსა,
ზოგი მოქმედებს და იბრძვის,
ზოგი კი უკრავს სხვას ტაშსა.
რა ძნელია ქვეყანაზე
ცხოვრება და ყოფნა,
თუ შენ მხარი არ აუბი,
გეტირება ყოფა.
საცოდავია ადამიანი,
მუდამ იბრძვის და ირჯება,
აზრადაც აღარ მოუდის
დრო გავა, - აღარ იქნება.
ჩვენი ცხოვრება ბრძოლის ველია,
ზოგჯარ ბრძოლაა, ზოგჯერ ფარფაში,
შიშველი ხმალი გვიჭირავს ხელში,
არ ღირსებია ჯერ მას ქარქაში.

სოფელი

სოფელსა ვერას გაუგებ,
ხან მარტივია, ხან რთული,
გვონია საქმე მოგვარდა,
კვლავ გიბრუნდაბა წარსული.
ამიტომ კარგად დაფიქრდი,
სიჩქარით საქმე ფუჭდება,
საქმის ბოლომდე მიყვანას
გახსოვდეთ, ცოდნა ჭირდება.
ეს სოფელი რთული არის,

სოფელ, სოფელ დაგატარებს,
სადმე თუკი წაბორძიკდი,
იცოდე, არ გაგახარებს.
ბედნიერება არ არის
მუდმივი, შეუცვლელია,
ყველაფერი რომ იცვლება,
ეს ღმერთის დადგენილია.

My Hobby is Poetry

Periodical Literary
Miscellany No 14